ს. ს. ს. რ. საქ. [illegible]
საინფორმ. ჟურნ-განყოფილების

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტის და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცენტრ. აღმასკომის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76 (მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24 მეორე სართული, ტელეფონი 10—49.
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 75 კ., დანარჩენებისათვის: ქალაქში 1 მ. ქალაქს გარეშე—1 მ. 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „ხიროდანს" და „მეცნიერება და ტეხნიკას". განცხადებანი: ნონპარელის სტრიქონი—20 კ. აწყობა ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხად. მიიღება 3 ს.
ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელეფონი 13—80.

კვირა, 10 მაისი 1925 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 105 (1260)

დღევანდელი გაზეთი შეიცავს 6 გვ.

დღიური

— ჩინეთის გლეხთა კავშირი შე[illegible] ინტერნაციონალს.
— კაიო ხარჯების „შესამცირებლად" [illegible]ბას შეუდგა.
— პოლონეთში გრძელდება კომუნისტების დაპატიმრება.
— გერმანელი სოციალ-დემოკრატები დასთანხმდნენ რეაქციონერებთან ერთად მთავრობაში შესვლაზე.
— კოვნოში შეიკრიბა პოლონელ მონარქისტების ყრილობა.

ახალი ეკონომიური პოლიტიკა სოფლად

პარტიის ლოზუნგი „პირით სოფლისაკენ"—საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიურ პოლიტიკაში ახალ სახეს იღებს—„ახალი ეკონომიური პოლიტიკა სოფელში". ამ ფორმულის შინაარსი საბჭოთა ეკონომიური განვითარების ეხლანდელ საფეხურზე შეიცავს იმას, რომ ჩვენ უნდა ვაღიაროთ სოფლის სამეურნეო (საწარმოო) ძალების მაქსიმალური განვითარების აუცილებლობა.

ახალი ეკონომიური პოლიტიკის ხაზი ჩვენმა პარტიამ მიიღო, როგორც სოციალისტური აღმშენებლობის მეთოდი. ახალი ეკონომიური პოლიტიკა სამხედრო კომუნიზმის მეთოდისაგან განსხვავდება, ლენინის მოსწრებული გამოთქმით, ისე, როგორც ციხე-სიმაგრის ხანგრძლივი ალყა განსხვავდება იერიშისაგან. სოციალისტური აღმშენებლობის დასაყრდენი პუნქტია, ანდა, როგორც ამბობენ, მბრძანებელი მწვერვალია ჩვენი მძიმე მრეწველობა.

ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღების დროს ჩვენი მრეწველობა მეტად დაშლილი და დანგრეული იყო. და პარტიის და მუშურ-გლეხური სახელმწიფოს პირველი ამოცანა იყო—ამ დანგრეული მწვერვალების აღდგენა, განმტკიცება და შენარჩუნება.

ამიტომ პარტია და საბჭოთა ხელისუფლება ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირველ წლებში მეტად ფრთხილად ეპყრობოდა იმ მტრულ სტიქიას (კაპიტალისტურს, წვრილ-ბურჟუაზიულს), რომელსაც ადვილად შეეძლო ჩვენი ჯერ კიდევ განუმტკიცებელი მაღლობების დაპყრობა.

ამიტომ პარტია და საბჭოთა ხელისუფლება იძულებული იყო მიემართა კერძო კაპიტალზე ზეგავლენის მოხდენის ადმინისტრატიულ და საგადასახადო (მაგალითად, შეზღუდვა საბანკო კრედიტისა კერძო მრეწველობისათვის) ღონისძიებებისათვის, რომ შეეჩერებინა მისი ზრდა და საშუალება მიეცა სახელმწიფო მრეწველობისათვის ფეხზე დამდგარიყო.

ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ ოთხი წლის განმავლობაში სავსებით გაამართლა საბჭოთა სამეურნეო აღმშენებლობის ხაზი. რას ვხედავთ ჩვენ ამ ოთხი წლის განმავლობაში? უპირველეს ყოვლისა, სოფლის მეურნეობის სწრაფ აღორძინებას; სოფლის მეურნეობამ, მიუხედავად მრავალი დაბრკოლებებისა (გაცვეთილი და მშრალი ინვენტარი, მუშა საქონლის ნაკლებობა, მოუსავლიანობა, სიმშილი და სხვა), დათესილი სივრცის მხრივ თითქმის მიაღწია ომის წინა ხანების დონეს. შემდეგ—ეგრედ წოდებული მსუბუქი ინდუსტრიის აღდგენას და ზრდას; აღორძინდა და განვითარდა საფეიქრო მრეწველობა, ტყავის წარმოება და სხვა დარგები, რომელთაც თავისი ნაწარმოებები გამოაქვეთ ფართო სამომხმარებლო ბაზარზე. და, ბოლოს, პარტიის მე-13 ყრილობას უკვე სერიოზულათ შეეძლო დაესვა პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების წინაშე ლითონის პრობლემა, პრობლემა მძიმე ინდუსტრიის აღდგენის შესახებ. ამასთანავე მტკიცდებოდა საბჭოთა ფინანსებიც. ვალიუტის სტაბილიზაციამ ფეხზე დააყენა არა მარტო მრეწველობა, არამედ საბანკო საქმეც.

ამრიგათ, ახალი ეკონომიური პოლიტიკის გასული ოთხი წლის განმავლობაში ჩვენ არა თუ არ გავანიავეთ სოციალისტური აღმშენებლობის მატერიალური ელემენტები, არამედ შევინარჩუნეთ ისინი ჩვენს ხელში და გავხადეთ ნამდვილ მბრძანებელ მწვერვალებათ.

და სწორეთ ამიტომ ჩვენ ეხლა შეგვიძლია ნაკლები შიში გვქონდეს იმისა, რომ ეს მწვერვალები დაპყრობილი იქნება კერძო კაპიტალის მიერ, წვრილ ვაჭრობაშიაც კი, სადაც კერძო კაპიტალი სჭარბობს, აქაც გაძლიერებული კოოპერაცია წარმატებითი ბრძოლას აწარმოებს კერძო კაპიტალთან ეკონომიური კონკურენციის გზით.

ამასთანავე ჩვენი სახელმწიფო მრეწველობის, ჩვენი ფინანსების და კოოპერაციის შემდგომი ზრდა მჭიდროთ დაკავშირებულია, უპირველეს ყოვლისა, გლეხთა ბაზართან. რაც უფრო მეტი იქნება გლეხთა მეურნეობების სყიდვითი უნარიანობა, რაც უფრო მეტია სოფლის ბაზრის ტევადობა, მით უფრო ჩქარი და მტკიცე იქნება ჩვენი მრეწველობის ზრდა,—იმ მრეწველობის, რომლის წინაშე ეხლა დასმულია სერიოზული პრობლემა ძირითადი კაპიტალის აღდგენის შესახებ (მანქანები, ფაბრიკების და ქარხნების ტეხნიკური მოწყობილობა).

აი ამიტომ ჩვენ შეგვიძლია შიში არ ვიქონიოთ იმის, რომ დაპყრობილი ვიქნებით წვრილ-ბურჟუაზიული სტიქიის მიერ და შეგვიძლია გავაფართოვოთ ახალი ეკონომიური პოლიტიკა სოფელში; მეორეს მხრივ, ეს საჭიროა გლეხთა მეურნეობის ზრდისა და ჩვენი მრეწველობის ბაზრის გაფართოვებისათვის.

დადგა დრო, როდესაც საბჭოთა ხელისუფლება სოფლათ ადმინისტრატიული ზეგავლენიდან მთლიანად უნდა გადავიდეს ეკონომიურ ზეგავლენის და სოფლად სოციალიზმის ეკონომიურის გზით დანერგვის ლიანდაგზე. კოოპერაციის განვითარება, სოფლის მეურნეობის გაუმჯობესება, გლეხთა მეურნეობის გაფართოვება და მისი დაკავშირება სახელმწიფო მრეწველობასთან,—ყველაფერი ეს საშუალებას გვაძლევს არ შეუშინდეთ კაპიტალისტური ურთიერთობის ზრდას სოფლად, რომელიც აუცილებელია გლეხთა მეურნეობის აღორძინების პირველ ხანებში.

სოფელი ეხლა საჭიროებს ახალი ეკონომიურ პოლიტიკის გაშლას, რასაც მოწმობს უმუშევრობა სოფლად. სოფელი ეხლა—ზედმეტი მუშა ხელის მთავარი მიმწოდებელია ქალაქში.

შინა-მრეწველობის გაფართოება (შინა-მრეწველობის უფლებების გაფართოვებასთან ერთად), მოჯამაგირეობის ნებადართვა სოფლად და მთელი რიგი სხვა ღონისძიებები—უპირველეს ყოვლისა შეამსუბუქებენ ამ უმუშევრობას. ამასთანავე ეს ხელს შეუწყობს სოფლის საწარმოო ძალების ზრდას.

ი. ფ.

პარტია და რემედასი

ჩვენს რესპუბლიკებში მრავალი ნებაყოფლობითი ორგანიზაცია არსებობს. მართალია, ბურჟუაზიულ სახელმწიფოებშიაც მოქმედობენ „საზოგადოებები", მაგრამ საბჭოთა კავშირმა ამ მხრივაც მთელ მსოფლიოში გადალახა რეკორდი. თითქმის შეუძლებელია ყველა ნებაყოფლობითი ორგანიზაციის სწორი აღნუსხვა. პარტიისა და ხელისუფლების წინაშე უკვე წამოჭრილია ამ საზოგადოებათა ქსელის უკვე არა შემდეგი განვითარება, არამედ მათი განმტკიცება.

კერძოთ ჩვენში, საქართველოში, არსებობს ათამდე ნებაყოფლობითი საზოგადოება. რასაკვირველია, ეს სასურველი მოვლენაა. ნებაყოფლობითი ორგანიზაციების აღმოცენება მრავალმხრივაა საყურადღებო. ეს გარემოება მოწმობს იმას, რომ საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელ მასსებში ადგილი აქვს თაოსნობას, თვითმოქმედებას. არც შეიძლება სხვანაირად იყოს. მუშებისა და გლეხების სახელმწიფოში მომქმედი ძალა თვით მუშებია და გლეხები.

აშკარაა, თუ როგორი პარტიული თვალსაზრისი შეიძლება არსებობდეს ნებაყოფლობითი ორგანიზაციების მიმართ. ჯერ კიდევ ძველი რეჟიმის პირობებში არსებობდენ საზოგადოებები. არც ერთ ხელისუფლებას არ შეუძლიან გვერდი აუხვიოს ნებაყოფლობით ორგანიზაციების ზრდა-განვითარებას. „უმწეო ბავშვების დამხმარე საზოგადოება", „წითელი ჯვარი", „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება", „პირუტყვების მეგობართა საზოგადოება" და მრავალი სხვა,—ყველა ესენი მოქმედებდნენ წინეთ, ნიკოლოზის დროს და მუშაობენ დღესაც, რა თქმა უნდა, გადახალისებული მეთოდით და შინაარსით.

ნებაყოფლობითი ორგანიზაციების რიცხვში რემედასი იპყრობს განსაკუთრებულ ადგილს. ორგანიზაციული თვალსაზრისით, რემედასი არის მასსიური, აგებული პარტიის სტრუქტურის მიხედვით. პოლიტიკურად რემედასი უაღრესად მნიშვნელოვანი ორგანიზაციაა. იგი არაა მარტო „საქველმოქმედო საზოგადოება", როგორც შეიძლება იფიქრონ ხოლმე. მისი დანიშნულება მშრომელი მასსის აღზრდა პოლიტიკურად, მშრომელი ხალხის ფართო წრეებში საერთაშორისო პარტიულ სოლიდარობის გრძნობის გაღვივება-განმტკიცება.

საბჭოთა კავშირში,—და მთელ მსოფლიოშიაც,—რემედასი ნობილია „საბჭოთა ორგანიზაციათ". აქ არაფერია გასაკვირალი. რემედასი სდგას საერთაშორისო კომუნისტურ წყობილების საფუძველზე, კომუნისტური ინტერნაციონალის პლატფორმაზე. რემედასის წევრობა ბევრ რამეს ავალებს ამ ორგანიზაციაში შემსვლელს. რემედასის წევრი აქტივია საზოგადოებრიობის.

ბურჟუაზიული პრესა რემედასს სთვლის კომინტერნის განყოფილებად ფორმალურად, აქ შეიძლება აზრთა სხვადასხვაობა. მაგრამ ერთი რამ უდავოა: რემედასი წითელი ზურგია, იგი აქტიური დამხმარე ძალაა მუშათა რევოლიუციონურ მოძრაობის. მისი მოქმედების მასშტაბი ისევე სამსოფლიოა, როგორც მასშტაბი კომუნისტურ ინტერნაციონალის მოღვაწეობის.

საბჭოთა საქართველოს პირობებში რემედასს ეკისრება განსაკუთრებული მოვალეობა. რემედასის პოლიტიკური სარჩული ყველაზე უფრო აშკარად საქართველოში გამოიყურება. საქართველოს გლეხკაცობა მთლიანად არაა აპოლიტიური, პარტიულ-საზოგადოებრივ მუშაობის წყურვილსა და უნარს მოკლებული. შეგნებული ქართველი მუშა და გლეხი პოლიტიკურ-საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩაბმისაკენ მიილტვის. ჩვენს ქვეყანაში ბლომად მოიპოვება საბჭოთა-პოლიტიკურ მუშაობის ასპარეზზე გამოსვლის მსურველი. განსაკუთრებით დღეს იღებს ეს მოვლენა მასსიურ და ამდენად სტიქიურ ხასიათს. საბჭოთა ხელისუფლების დაუღალავმა მუშაობამ, კომუნისტური პარტიის სწორმა პოლიტიკამ მუშათა, გლეხთა და ეროვნულ საკითხების გადაწყვეტაში გააშიშვლა ანტისაბჭოთა მიმართულებანი. მშრომელი მასსა განთავისუფლდა მენშევიკურ-ბურჟუაზიულ ცრუმორწმუნეობიდან. მუშებისა და გლეხების ახალი წყება მოაწყდა კომუნისტური პარტიის, საზოგადოთ—საზოგადოებრივ და პოლიტიკურ საქმიანობის კარებს! სწორედ აქ იშლება სერიოზული სიძნელე პარტიისა და ხელისუფლების წინაშე. ყველას მიღება პარტიაში შეუძლებელი და მიზანშეუწონელია. მეორე მხრივ, მუშაობას მოწყურებულ მასსის. საბჭოთა პლატფორმაზე შემდგარ მუშებისა და გლეხების გარიყვა საზოგადოებრივი პოლიტიკურ ცხოვრებიდან—ბავშური გულუბრყვილობაა და ნამდვილი დანაშაული.

რემედასი პოლიტიკურად მუშაობის მოწყურებულ მასსის ორგანიზაციაა. მუშა და გლეხი, რომელიც გულწრფელად დაინტერესებულია საერთაშორისო რევოლიუციის საქმისათვის თავისი წვლილი გაიღოს, საბოლოოდ განბანილია ანტიკომუნისტურ აზრებისაგან, საკუთარ კერას უსათუოდ რემედასში პოულობს. ვიმეორებთ, რემედასის უჯრედები საბჭოთა საზოგადოებრიობის აქტივია. რემედასი პოლიტიკური სკოლაა. იქ სწავლობენ „პოლიტიკურ ანბანს" საბჭოთა წყობილების ერთგული დამცველები. საქართველოს შეგნებული მუშები და გლეხები უხალისოთ როდი ეწერებიან რემედასის რიგებში. დღეს ჩვენ ხელთ გვაქვს რემედასის ერთი წლის მუშაობის შედეგები საქართველოში. 64.000 მშრომელი უკვე ირიცხება რემედასის ორგანიზაციებში, ეს ის მასსაა, რომელიც მექანიკურად კი არ ასრულებს თავის მოვალეობას საწევროს გადახდით. პირიქით, რემედასის წევრთა შორის საკმაოდ მოიმაგრა ფეხი იმ შეხედულებამ, რომ რემედასის წევრობა „პირუტყვთა მეგობრის საზოგადოების" წევრობა არაა. ეს არ არის ფრაზეოლოგია. ამას წინეთ ჩვენ მოწმენი ვიყავით შემდეგი საინტერესო და საერთო მდგომარეობის დამახასიათებელი ფაქტის: პარტიის ცენტრალურ კომიტეტში შემოიჭრა ერთი გლეხი, რემედასის საწევრო წიგნაკით ხელში, რომელმაც განაცხადა აღელვებით: „მილიციამ, ვილაცეების ჩაგონებით, დამაპატიმრა სამი დღით. ნუ თუ ეს შეურაცხყოფა არაა ჩემი ვინაობის, როგორც რემედასის წევრის? ნუ თუ ჩემში კიდევ ხედავდნენ მენშევიკობას? არსად მომაქციეს ყურადღება, გთხოვთ მილიციის უფროსი პასუხისმგებლობაში მისცეთო". თავისთავად უბრალო ამბავია ეს. არსებითად კი იგი ბევრს ლაპარაკობს ჩვენი გლეხობის შეგნებულ ნაწილზე, რემედასის აზრის სწორად შეთვისებაზე ამ ორგანიზაციის წევრთა საგულისხმო ნაწილის მიერ.

აღსანიშნავია პარტიულ ორგანიზაციების დამოკიდებულება რემედასთან. ადგილებზე ეს დამოკიდებულება ხშირად არ ატარებს „მეგობრულ" ხასიათს. პარტიული ორგანიზაციები სათანადოდ ვერ ხელმძღვანელობენ რემედასის მუშაობას. მართალია პარტიის უმაღლესი ორგანოები დიდ ყურადღებას აქცევენ რემედასის მუშაობას საქართველოში. სამწუხაროდ, ეს არ ითქმის ადგილობრივ პარტიულ კომიტეტების უმრავლესობის შესახებ. პრაქტიკულ გამოცდილებამ დაგვანახა, რომ რემედასის ორგანიზაციები ყველაზე უფრო ძლიერია იქ, სადაც სჩანს პარტიული ხელმძღვანელობა, ეს გარემოება უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში. **ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ რემედასის იდეურ ხელმძღვანელობას და მეტი პასუხისმგებლობით გაატარონ ცხოვრებაში პარტიის პოლიტიკა ნებაყოფლობითი ორგანიზაციების საკითხში.** მეორე მხრით, საჭიროა და აუცილებელი რემედასის თვითმოქმედების გაძლიერება, რემედასის ცენტრალურ ორგანოების მიერ დასახულ ამოცანების სერიოზულობის გათვალისწინება.

გ. მუშიშვილი.

გლეხკომების სრულიად რუსეთის ყრილობა

(ჩვენი მოსკოველი კორესპონდენტისაგან)

„კომუნისტი"-ს გადმოცემით 30 აპრილისათვის თბილისში შეიკრიბებოდა სრულიად საქართველოს გლეხთა ურთიერთ დამხმარე კომიტეტების პირველი ყრილობა.

დაახლოებით ამ დღეებისათვის მოსკოვში დასრულდა გლეხკომების სრულიად რუსეთის მესამე ყრილობა. საქართველოს სოფლის მუშაკებისათვის ინტერესმოკლებული არ იქნება იმის ცოდნა, თუ რა პირობებში მიმდინარეობს რუსეთის გლეხკომების მუშაობა, როგორია მისი დადებითი და მტკივანი მხარეები, და რა გვიჩვენა ჩვენ ამ მხრივ ახლად დასრულებულმა ყრილობამ.

გლეხკომების არსებობას რუსეთში ოთხი წლის ისტორია აქვს. ამ ხნის განმავლობაში ცხოვრებამ სავსებით გაამართლა ამ ორგანოების არსებობა; უფრო მეტი, ახალი საბჭოთა სოფელი, სადაც ჯერ კიდევ სუსტია, ან სულ არ არის სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია, დაჟინებით ითხოვს ღარიბ და საშუალო გლეხობის კოლექტიურ მეურნეობის და თანამშრომლობის ნიადაგზე გაერთიანებას.

მაგრამ გლეხთა ურთიერთ დახმარების საქმე იმ პრინციპებზე, რომელიც შექმნა საბჭოთა სინამდვილემ, ახალი დაწყებულებაა. და როგორც ყოველ ახალ საქმეში, აქაც ადგილი აქვს მნიშვნელოვან დეფექტებს, რომლებიც ზოგჯერ იმდენად ამახინჯებენ გლეხკომის მოქმედებას, რომ მან თუ ზიანი არ მოიტანა, სარგებლობაზე ზრუნვას თავი უნდა დაანებოთ.

პირველი და მთავარი კვანძი, საიდაც თავს იყრის გლეხთა საზოგადოებების მუშაობის თითქმის ყველა მტკივანი მხარეები, ესაა ჩვენი საერთო სენი, სახელმწიფოს მატერიალური სიღარიბე.

გლეხკომები, რომელთა ფულის ფონდები მეტნაწილად თვითდაბეგვრის საშუალებით იქმნება, დიდ ნივთიერ ხელმოკლეობას განიცდიან. ამას კიდევ ერთვის გლეხთა საზოგადოებების ხელმძღვანელ მუშაკთა თავის დანიშნულებისადმი შეუფერებლობა, რაიც შედეგია ერთის მხრივ ადგილობრივ პარტიული კომიტეტების უყურადღებობის გლეხკომებისადმი და მეორე მხრივ იმ ორგანიზაციულ თავისებურობის, რომელიც გლეხთა საზოგადოებებს დაეტყო ადგილ-ადგილ.

ეს ორგანიზაციული მხარის ნაკლია ინდივიდუალური წევრობა, რომელზედაც უმთავრესად შენდება აქამდე გლეხთა საზოგადოებები. თუ კოოპერაციაში და პროფკავშირში ჩვენ ამ პრინციპს შეგნებით ვატარებთ, გლეხკომის მუშაობაში ის გადაჭრით უნდა უკუგდებულ იქნას.

ინდივიდუალურ საფუძველზე აშენებული გლეხთა დახმარების საზოგადოებები ან გვაძლევს თითქმის მთლიანად ღარიბ გლეხობის გაერთიანებას ამ საზოგადოებებში, სადაც აქა-იქ თუ ურევია საშუალო და შეძლებული გლეხი, ან და მთლიანად საშუალო და შეძლებულ გლეხობის გაერთიანებას, სადაც თითქმის არ მოიპოვება ღარიბი სოფლის მოსახლეობა.

ამ მავნე ცალმხრივობის თავიდან ასაცდენად გლეხთა ურთიერთ დახმარების საზოგადოებები უნდა შენდებოდეს კოლექტიურ წევრობის ნიადაგზე: თემობრივ, სოფლის საზოგადო კრებებზე დადგენილებით და კუთხობრივ, ან უბნობრივ.

მაშინ უფრო მეტი შესაძლებლობა იქნება გლეხკომის შესაფერ მუშაკთა შესარჩევათ და მატერიალურ უსასრობის კითხვაც არ იქნება ისე მწვავეთ, როგორც ამას ადგილი აქვს დღეს უპეტესად ღარიბ გლეხობისაგან შემდგარ ურთიერთ დახმარების საზოგადოებებში.

ამ ორგანიზაციულ ნაკლთან ერთად გლეხკომის ყოველდღიურ საქმიანობას ახლავს მეორე მნიშვნელოვანი ნაკლიც. ის განსაკუთრებით მწვავეთ დგას ურთიერთ დახმარების საზოგადოებების წინაშე მას შემდეგ, რაც ამ საზოგადოების მოვალეობა გაფართოვდა სოციალურ უზრუნველყოფის საქმიდან სამეურნეო და ორგანიზაციულ მუშაობისაკენ.

გლეხკომს დღემდი კიდევ არ უნახავს თავისი ფუნქციების მკაფიოთ შემოხაზული ასპარეზი. ის ხშირი სტუმარია სოფლის კოოპერაციის და ამ კოოპერაციის ფუნქციების მითვისება, რაიც აიხსნება ფულის ფონდის გაძლიერების წყურვილით, ჩვეულებრივი მოვლენაა მისთვის.

კარგი სურვილით გატაცებული, ის იმის ნაცვლად, რომ, თუ თვით არ შესწევს ძალა, გზა უჩვენოს და ან უკიდურეს შემთხვევაში რეკომენდაცია მისცეს გლეხს სასოფლო-სამეურნეო ბანკიდან კრედიტის აღებაში, თვით კისრულობს ბანკის წინაშე მოვალეს მაგიერ ნივთიერ პასუხისმგებლობას.

ეს უსისტემო თავდებობა კიდევ უფრო სცემს და აუძლურებს გლეხთა დახმარების საზოგადოებათა ისედაც ღარიბ სალაროს.

კოოპერაციის და გლეხკომის ერთმანეთისაგან გამიჯვნა ისე, რომ ერთმანეთის ხელის შეწყობის ნაცვლად ისინი არ აფერხებდენ თავისავე მუშაობას, ორგანიზაციულ დეფექტების გამოსწორება, კრედიტის და ფინანსიური კითხვის მოგვარება, გლეხკომების პირად შემადგენლობის ხარისხოვან გაუმჯობესებაზე ზრუნვა,—აი მორიგი ამოცანები გლეხთა ურთიერთ დახმარების საზოგადოებების მუშაობაში, რომელიც გამოირკვა ახლად დასრულებულ სრულიად რუსეთის ყრილობაზე.

გლეხკომებს უნდა დაეთმოს კანონიერი ადგილი საბჭოთა აღმშენებლობაში. არ შეიძლება ქალაქის და სოფლის კავშირზე გულდამშვიდებით ლაპარაკი, როცა ამ დაახლოების ერთი ძლიერი ორგანოთაგანი უყურადღებობის და უხეირო ხელმძღვანელობის გამო ხშირად საცოდავ მდგომარეობაში იმყოფება.

უნდა გვახსოვდეს, რომ საბჭოთა სოფელში გლეხთა ურთიერთ დახმარების საზოგადოებები ღარიბ მოსახლეობის თვითმოქმედების და საზოგადოებრივ აქტივობის საუკეთესო სკოლაა.

აკ. ქობია

მოსკოვი, 2 მაისი.

ხაზით-დეპეშები

(„ზა პროსტა"-ს ცნობებით)

ამხ. ტროცკის პასუხი მუშათა გაზეთის შეკითხვაზე

მოსკოვი, 9 მაისი. ლონდონის კვირეული მუშათა გაზეთის „სანდეი უორკერ"-ის რედაქტორმა მიმართა ამხ. ტროცკის შემდეგი წერილით:

„ბურჟუაზიული პრესა სარგებლობს ამონაწერით ისტმანის წიგნიდან. თქვენ გამოყვანილი ხართ, როგორც ინტრიგის მსხვერპლი. იბადება აზრი, რომ თქვენ **დადებითათ უყურებთ დემოკრატიას და ვაჭრობის თავისუფლებას.** გთხოვთ გამოგვიგზავნოთ 200 საპასუხო სიტყვა „სანდეი უორკერ"-ისთვის.

ამის საპასუხოთ ტროცკიმ ლონდონის კვირეული მუშათა გაზეთის „სანდეი უორკერ"-ის რედაქტორს ერიკ ვერნეის გაუგზავნა შემდეგი პასუხი:

„ისტმანის წიგნს, რომელზედაც თქვენ სწერთ, მე არ ვიცნობ. ბურჟუაზიულ გაზეთებს, რომლებიც სარგებლობენ ამონაწერებით ამ წიგნიდან, ჩემამდი არ მოუღწევია. **რა თქმა უნდა, მე წინდაწინვე კატეგორიულათ უარვყოფ ყოველგვარ კომენტარიებს, რომლებიც მიმართულია რუსეთის კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ.**

საზიზღარი სიყალბეა ბურჟუაზიული პრესის მტკიცება, რომელზეც თქვენ ლაპარაკობთ, თითქოს მე თანაგრძნობით ვეპყრობი ბურჟუაზიულ დემოკრატიას და ვაჭრობის თავისუფლებას. მთელს პარტიასთან ერთად მე საბჭოთა სისტემას, პროლეტარიატის დიქტატურას და საგარეო ვაჭრობის მონოპოლიას ვსთვლი სოციალისტური აღმშენებლობის აუცილებელ პირობათ.

სახელმწიფოს მმართვა-გამგეობის საქმეში უპარტიო მასების—მუშების და გლეხების ფართოთ ჩაბმის პოლიტიკა, რომელსაც ჩვენი პარტია ანხორციელებს, **არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, თითქოს ჩვენ უახლოვდებით ბურჟუაზიულ-პარლამენტარულ სისტემას,** რადგან უპარტიო მასების ჩაბმა სახელმწიფოს მმართვა-გამგეობის საქმეში ხდება საბჭოთა რეჟიმის ფარგლებში,—იმ რეჟიმის, რომელსაც ხელმძღვანელობს კომუნისტური პარტია.

გლეხის, როგორც საქონლის წვრილი მწარმოებლის, ინტერესების დაწვრილებითი აღრიცხვის პოლიტიკა, რომელსაც პარტია ანხორციელებს, **არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გაგებული იქნეს ისე, თითქოს ჩვენ ვაღიარეთ თავისუფალი ვაჭრობის უპირატესობა სოციალიზმთან შედარებით,** რადგან საქმე იმაშია, რომ თანდათან და რაც შეიძლება უმტკივნეულოთ დავუახლოვოთ სოფელი სოციალიზმს იმ ღონისძიებების წყალობით, რომლებიც შეფარდებული უნდა იქნეს გლეხის ეკონომიკასთან და ფსიქოლოგიასთან.

მე დასაბეჭდათ მოვამზადე წიგნი, რომელშიაც ვარკვევ საკითხებს დემოკრატიის, დიქტატურის და ვაჭრობის თავისუფლების შესახებ ინგლისის პირობებთან შეფარდებით და იმ დასკვნამდი მივდივარ, რომ ინგლისის შემდეგი განვითარება შეუძლებელია ბურჟუაზიულ-პარლამენტარული დემოკრატიის ეკონომიურ და პოლიტიკურ პირობებში. **ისტორიული განვითარების მთელი მსვლელობა კი არ უარყოფს, არამედ ადასტურებს პროლეტარული რევოლიუციის ძირითად პრინციპებს იმ სახით, როგორც ისინი თეორიულათ ჩამოყალიბებული ჰქონდა ლენინს და როგორც პრაქტიკულათ ტარდება ცხოვრებაში ჩვენი პარტიის მიერ.**

ტროცკი".

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

დანია

საბჭოთა სრულუფლებიან წარმომადგენლის განცხადება

სტოკჰოლმი, 8 მაისი. საბჭოთა სრულუფლებიანმა წარმომადგენლობამ კოპენჰაგენში გამოაქვეყნა ოფიციალური ცნობა, რომელშიაც იგი აცხადებს, რომ 5 მაისს საელჩოში გამოცხადდა ორი კაცი, რომელნიც პირდებოდენ საელჩოს დანიის პოლიტიკურ წრეების გამოჩენილ პირთა მოკვლას, ქალაქში აფეთქების მოწყობას და სხვა.

საელჩოს განცხადებით ეს პირები დაუყოვნებლივ იქნენ დაპატიმრებულნი ქუჩაში გასვლისთანავე.

ინგლისი

ლონდონი, 8 მაისი. „რეიტერის" სააგენტო იუწყება, რომ ინგლისის გავლენიანი წრეები დიდ ინტერესს იჩენენ საბჭოთა მთავრობის მიერ ვაჭრობის დარგში განზრახულ ღონისძიებებისადმი. ამ წრეებში აღნიშნავენ, რომ თუმცა არ მოიპოვება არავითარი ცნობა იმის შესახებ, რომ რაიმე საერთო ცვლილება მოხდება ამ დარგში, **მაინც არის ნიშნები იმისა, რომ საბჭოთა რუსეთს სურს დააჩქაროს იმ საკითხების გადაჭრა, რომელიც წარსულში დიდ დაბრკოლებას ჰქმნიდა.**

„რეიტერის" სააგენტო აღნიშნავს, რომ ინგლისის პოლიტიკა საბჭოთა კავშირის მიმართ მდგომარეობს იმაში, თუ როგორ უნდა განხორციელდეს პრაქტიკულად ინგლის-საბჭოთა კავშირის სავაჭრო შეთანხმება.

იტალია

იტალია-საბჭოთა კავშირის მეცნიერთა კომიტეტი

რომი, 8 მაისი. იტალიის პროფესორთა და მეცნიერთა ერთი ჯგუფის ინიციატივით, რომში დაარსდა კომიტეტი იტალიასა და საბჭოთა კავშირს შორის ურთიერთობის განსავითარებლად.

შვეიცარია

შვეიცარიის ბოიკოტის შედეგი

პარიზი, 8 მაისი. საბჭოთა კავშირის წარმომადგენლების არდასწრება ჟენევის კონფერენციაზე, რომლის მიზანია კონტროლის დაწესება იარაღით ვაჭრობაზე, აფერხებს კონფერენციის მუშაობას. სამხრეთ-ამერიკის რესპუბლიკის სალვადორის წარმომადგენელმა პირდაპირ დააყენა კითხვა: **მიზანშეწონილი იქნება თუ არა კონფერენციის მუშაობა საბჭოთა კავშირის წარმომადგენლების მონაწილეობის გარეშე.** საფრანგეთის დელეგაციის მეთაურმა პოლ ბონკურმა უპასუხა, რომ საბჭოთა კავშირის კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობის შესახებ საკითხის განხილვა უდრის კონფერენციის დაშლას.

გადაწყდა „რუსეთის საკითხი" გადადებული იქნეს.

როგორ მუშაობენ ჯალათები

ბერლინი. 9 მაისი. ბელგრადის დიდ ბურჟუაზიულ გაზეთ „პოლიტიკა"-ში გამოქვეყნებულია ბულგარეთის სამხედრო მინისტრის საიდუმლო დოკუმენტი, რომლიდანაც სჩანს, რომ აფეთქება სოფიაში მოწყობილი იყო იმავე წესით და მიზნით, როგორითაც მეფის აგენტები აწყობდენ ასეთ აქტებს, რათა გაემართლებიათ უსასტიკესი ზომები რევოლიუციონერების წინაალმდეგ.

დოკუმენტი შეიცავს მთელ რიგ დარიგებებს, რომლებითაც მიმართავს მინისტრი ყველა გარნიზონის უფროსებს და სასტიკათ უბრძანებს დაუნდობლათ მოსპონ კომუნისტურ და გლეხურ მოძრაობის ყველა შეგნებული, გამბედავი და ნიჭიერი მონაწილენი. შემდეგ სიტყვა სიტყვით არის ნათქვამი: „**უნდა დაჭხოცოთ ყველა ხელადები! არავითარი შებრალება მათ! იმათი სახლები სულ ერთიან უნდა გადასწვათ. ავეჯეულობას ჯერ უნდა ნავთი გადაასხათ, რომ ცეცხლი უფრო კარგათ წაეკიდოს. ყოველი შეპყრობილი მოწინააღმდეგე 24 საათში უნდა გამოასალმოთ სიცოცხლეს. ის ოფიცრები, რომლებიც არ შეასრულებენ ამ ბრძანებას, დაუყოვნებლივ იქნებიან დასჯილი სიკვდილით**".

როგორ მოჰკლეს ლიბკნეხტი

ბერლინი. ვენის ბურჟუაზიული გაზეთი „შტუნდე" აქვეყნებს სრულიად ახალ საბუთებს კარლ ლიბკნეხტის მოკვლის შესახებ. ეს საბუთები სავსებით ადასტურებენ იმ ცნობებს, რომელთაც ყოველთვის იძლეოდენ კომუნისტები, მაგრამ მათ მოწინააღმდეგეებს კი არ უნდოდათ დაეჯერებინათ. გაზეთში დაბეჭდილია სამი ფოტოგრაფიული სურათი, საიდანაც აშკარათა სჩანს, რომ ლიბკნეხტი მოჰკლეს არა ექვსი მეტრის სიშორიდან ვითომდა **გაქცევის** დროს, როგორც ამტკიცებდენ ებერტის მეგობრები: ტყვია წინიდან აქვს ნასროლი და მოხვედრილი და არა ზურგში.

ეს სამივე სურათი მიღებულია ექიმ ჟაკობის საშუალებით. ის იყო მორიგე ექიმათ იმ საავადმყოფოში, სადაც მიასვენეს მოკლული ლიბკნეხტი. გაზეთი დამატებით აცხადებს შემდეგს

„**იმ შემთხვევაში, თუ გერმანიის სასამართლო მოისურვებს ხელახლა გაარჩიოს ამ მკვლელობის საქმე, ჩვენ დიდის სიამოვნებით გადავცემთ მის განკარგულებაში ამ სურათებსო**". რადგან კლიშეები პოლიციის ხელში იმყოფებოდა, სასამართლოს ყველაფერი „წესზე მოგვარებულათ" ეჩვენა და 1919 წ. 15 მაისის განაჩენით სრულიად გაამართლეს მკვლელები.

ამ ცნობებმა დიდი აურ-ზაური გამოიწვიეს მთელს გერმანიაში. „ფორვერტსი" გაცხარებით ეწევა ახალ კამპანიას რუსეთისა და სახ. პოლიტმმართველობის წინააღმდეგ მარტოვის ძმის დაპატიმრების გამო, მაგრამ კრინტსაც არა სძრავს იმ სამ ფოტოგრაფიულ სურათზე, რომელიც დაბეჭდილია გაზეთებში.

რეაქცია გერმანიაში

ფაშისტების დემონსტრაცია

ფაშისტების დემონსტრაცია

ბერლინი. 8 მაისი. მაგდენბურგში „ფოლადის მუზარადის" წევრთა მიერ გამართულ დღესასწაულზე მძიმედ დაჭრილი **იქნენ რესპუბლიკანურ დროშის 4 წევრი.** პრუსიის ლანდტაგში შინაგან საქმეთა მინისტრმა ზევერინგმა განაცხადა რომ „რესპუბლიკანურ დროშის კავშირმა შეასრულა თავისი ისტორიული როლი და უმჯობესი იქნებოდა ყველა ამ კავშირების დაშლა". ზევერინგმა საყვედურით მოიხსენია რესპუბლიკანური დროშის კავშირი, რომელსაც, მისი სიტყვით, „ძალიან თავხედურათ ეჭირა თავი".

პრუსიის ლანდტაგის წინასწარი.

სოციალ-დემოკრატების თანამშრომლობა რეაქციასთან.

ბერლინი. 6 მაისი. პრუსიის ლანდტაგის იმ სხდომის წინ, რომელზედაც უარყოფილი იყო ნაციონალისტების მიერ შეტანილი რეზოლიუცია ბრაუნის კაბინეტისათვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ, გაიმართა ლანდტაგის წინასწარი მოკლე სხდომა.

კომუნისტი პიკი ამჟღავნებდა „რესპუბლიკანელების" ფარულ მოლაპარაკებას მემარჯვენეებთან და ხაზი გაუსვა რომ „**სოციალ-დემოკრატია, ასრულებდა რა იგი თავის ისტორიულ ამოცანას უარს ამბობდა პროლეტარიატის კლასიურ ფრონტის გაძლიერებაზე**". სწარმოებდა გაცხოველებული მოლაპარაკება მთავრობის რეორგანიზაციის შესახებ. აღნიშნავდენ, რომ კაბინეტში **შევლენ ნაციონალისტების, ცენტრის და სოციალ-დემოკრატების ორ-ორი წარმომადგენელი და თითო წარმომადგენელი სახალხო პარტიიდან, სამეურნეო პარტიიდან და დემოკრატებიდან.** როგორც სჩანს, ნაციონალისტები აღარ ილაშქრებენ ახალ კაბინეტში სოციალ-დემოკრატების მონაწილეობის წინააღმდეგ სახალხო პარტიის ზეგავლენით, რომელიც იმუქრებოდა, რომ თუ ნაციონალისტები არ შეთანხმდენ ის მხარს დაუჭერდა ეხლანდელ სამთავრობო კოალიციას და შექმნიდა ე. წ. „დიდ კოალიციას".

მოლაპარაკების დროს სოციალ-დემოკრატები დაჟინებით მოითხოვდენ, რათა თავდაპირველად უარყოფილი ყოფილიყო უნდობლობის რეზოლიუცია, რომელიც ნაციონალისტებმა შეიტანეს. მისი უარყოფა გაადვილებული იყო მით, რომ მრავალი ნაციონალისტები, თუმცა ისინი ლანდტაგის შენობაში იმყოფებოდენ, განზრახ არ დაესწრენ სხდომას.

კენჭის ყრის შემდეგ დაიწყო საქმიანი კამათი დღის წესრიგში დასმულ საკითხების გარშემო. იმ დროს, როდესაც კამათი სწარმოებდა დეპუტატთა ძალიან მცირე რიცხვის თანდასწრებით, კულუარებში ადგილი ჰქონდა გაცხოველებულ მოლაპარაკებას მთავრობის რეორგანიზაციის შესახებ. მოლაპარაკება ჯერ კიდევ გრძელდება და მდგომარეობა გამოურკვეველი რჩება.

რადგან მოელოდენ ლანდტაგის დათხოვნას, შენობა **გარშემორტყმული იყო პოლიციის აგენტების მიერ იმ მიზნით, რათა დაეპატიმრებიათ კომუნისტი—დეპუტატები, რომელნიც მიცემული არიან სამართალში და ლანდტაგის დათხოვნის შემდეგ კი დეპუტატები დაუყოვნებლივ დაჰკარგავდენ ხელშეუხებლობის უფლებას.**

ბრაუნის კაბინეტი ბეწვზე ჰკიდია

ბერლინი. 8 მაისი. პრუსიის ლანდტაგმა უარყო ნაციონალისტების მიერ შეტანილი რეზოლიუცია ბრაუნის კაბინეტისათვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ რეზოლიუცია უარყოფილი იქნა **222 ხმის უმრავლესობით** წინააღმდეგ 216 **ხმისა**

გერმანიის პოლიტიკური პატიმრები.

ბერლინი. 8 მაისი. გასამართლებულთა სასჯელის შემამსუბუქებელი კომისია სოციალ-დემოკრატ მოზესის თავმჯდომარეობით იხილავს საკითხს 1921 წ. რურში მომხდარ აჯანყების მეთაურის მაქს გელცის განთავისუფლების შესახებ.

მოაბიტის საგამომძიებლო ციხეში 40 კომუნისტმა ნიშნად პროტესტისა მკაცრი მოპყრობის წინააღმდეგ სიმშილობა გამოაცხადეს. ეს კომუნისტები დაპატიმრებული არიან 1924 წლის ოქტომბრიდან.

7 ჰამბურგელ კომუნისტს ქალაქის საბჭოს წევრს წაერთვათ დეპუტატის ხელშეუხებლობის უფლება, რადგან ბრალად ედებათ სახელმწიფოებრივი ღალატი.

ყვითელი ინტერნაციონალი

პარიზი, 8 მაისი. შესდგა რეაქციონური ორგანიზაციის—„წარმოების, წესრიგის და მშვიდობიანობის საერთაშორისო კონფედერაციის" აღმასკომის სხდომა, რომელზედაც კონფედერაციის თავმჯდომარემ ლარმერუმ განაცხადა შემდეგი:

— საერთაშორისო კონფედერაციაში მისი დაარსების პირველ მომენტში, 1924 წლის ოქტომბერში, ვითომ, ითვლებოდა 32 ქვეყანაში არსებული გაერთიანებები, რომლებშიც ირიცხებოდა 25 მილიონზე მეტი წევრი. კონფედერაციის აღმასკომი ამ ჟამად ისწავლის საბჭოთა კავშირის მოსაზღვრე სახელმწიფოებში დაარსებულ ორგანიზაციებს.

შემდეგ ლარმერუ მიესალმა გრაფ ადამ ზამოისკის—პოლონეთის ასოციაციების კავშირის თავმჯდომარეს; ამ ასოციაციებში, თითქოს, შედის რამოდენიმე მილიონი კაცი.

ლარმერუმ აღმასკომს გააცნო აგრეთვე იმ მოლაპარაკების შინაარსი, რომელიც სწარმოებს ესტონეთის და ლატვიის ჯგუფებთან ამ ქვეყნებში დაწყებულ მღელვარების გამო.

აღმასკომმა მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც საჭიროთ სთვლის ბრძოლის გაძლიერებას იმ პროპაგანდის წინააღმდეგ, რომელსაც აწარმოებენ სოციალისტები და კომუნისტები. აღმასკომი წინადადებას აძლევს ბურჟუაზიული ქვეყნების მთავრობებს მოიწვიონ კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო კონფერენცია.

აქამდი ამ კონფერენციას თითქმის არ ეტყობოდა სიცოცხლის ნიშნები.

ლენინის გზით



ინგლისისა და საბჭოთა პროფკავშირების ერთიანი ფრონტი კაპიტალიზმის წინააღმდეგ

(ინგლისური „უორკერს უიკლი"-დან).

კაიო „მუშაობს“

ხარჯების შემცირებაც ასეთი უნდა

პარიზი, 8 მაისი. „ჰავასის“ სააგენტო იუწყება: „მიიღო რა მოხელეები, რომელნიც დანიშნული არიან ხარჯთ აღრიცხვის გასავლის ნაწილის შესამოწმებლათ ყველა სამინისტროებში, ფინანსთა მინისტრმა კაიომ დაბეჯითებით განაცხადა, რომ იმ მომენტში, როდესაც მთავრობა მოსთხოვს პარლამენტს და ერს მნიშვნელოვან მსხვერპლის გაღებას, საჭირო იქნება გადამხდელების დარწმუნება, რომ ხარჯები ყველა სამინისტროების დეპარტამენტებში შემცირებულია შეძლებისდაგვარად და რომ სამინისტროს მოსამსახურეები იჩენენ უკიდურეს მომჭირნეობას.

კაიომ დაავალა კონტროლიორებს თვალყური ადევნონ იმას, რათა შტატების შემცირება გატარდეს მთელი სიმკაცრით და წინადადება მისცა მათ მოახსენონ ყოველგვარ შემცირების შესახებ, რომელიც შეიძლება შეტანილი იქნას 1926 წლის სავარაუდო ბიუჯეტში.

კაიო სცდილობს საფრანგეთის სამფლობელოების გაფართოებას.

პარიზი. 8 მაისი. თუმცა მოროკკოდან მოდის მოკლე ცნობები, მთავრობის მიერ გამოქვეყნებული ცნობები მაინც ამტკიცებს, რომ საფრანგეთის ჯარების ოპერაცია მაროკკოში თანდათან ფართოვდება. საქმიან წრეების ორგანო „ენფორმასიონი“ სწერს: „ადგილი აქვს ნამდვილ სამხედრო ოპერაციებს ვრცელ ფრონტზე, ამასთანავე რაც უნდა დიდი არ იყოს დანაკლისი, მაინც იგი სამწუხარო რაოდენობას აღწევს.

„იუმანიტე“ სტეხს განგაშს და მოიგონებს ფეცში ლაშქრობას, რომელიც კაიოს მთავრობამ დაიწყო 1911 წელს. გაზეთი სწერს, რომ კაიოს, რომელიც ყოველთვის იმპერიალისტი იყო, სურს აღადგინოს თავისი პრესტიჟი რეაქციონერთა თვალში და პატივმოყვარეობისათვის სცდილობს დაიპყროს რიფფების ტომები და გააფართოვოს საფრანგეთის პროტექტორატი მაროკკოში.

ზოგიერთი რადიკალური გაზეთები აგრეთვე აცხადებენ პროტესტს ყოველგვარ შეტევითი ხასიათის ოპერაციების წინააღმდეგ. მაგრამ ნაკლები იმედია იმისა, რომ ამ გაფრთხილებას მოჰყვეს რაიმე შედეგი.

გამოხატავს რა ფინანსიურ წრეების აზრს „ენფორმასიონი“ ხაზს უსვამს, რომ მაროკკოში დაბანდებულია საფრანგეთის მნიშვნელოვანი თანხები და ეს პირდაპირ აყენებს კითხვას: როგორი საზღვრები უნდა დაედოს ფრანგების ოპერაციებს მაროკკოში, რათა ყოველგვარი მუქარა ასცდეს საფრანგეთის სამფლობელოებს. გაზეთი აღნიშნავს, რომ ესპანეთმა არ შეასრულა თავის თავზე დაკისრებული ვალდებულებანი მაროკკოს ესპანურ ნაწილის მიმართ.

პროფმოძრაობის მთლიანობისათვის

ტრედ-იუნიონების კონგრესის გენერალურ საბჭოს ცნობა

ლონდონი. 8 მაისი. ინგლისის ტრედ-იუნიონების კონგრესის გენერალურმა საბჭომ გამოაქვეყნა ცნობა გენერალურ საბჭოსა და საბჭოთა პროფკავშირების დელეგაციის შორის წარმოებულ მოლაპარაკების შესახებ.

ცნობაში მოყვანილია ინგლისის პასუხი ტომსკის სიტყვაზე, რომელიც მოსმენილი იქნა 6 აპრილის კონფერენციაზე და აგრეთვე საბჭოთა დელეგაციის დეკლარაცია, რომელიც გამოქვეყნდა 7 აპრილის სხდომაზე.

ინგლის-საბჭოთა პროფკავშირების დეკლარაცია პროფმოძრაობის მთლიანობის შესახებ.

ლონდონი. 8 მაისი. გაზეთებიდან მხოლოდ „ტაიმსი“ და „მანჩესტერ გარდიენი“ იხილავენ მოწინავე წერილში ინგლის-საბჭოთა პროფკავშირების დეკლარაციას პროფმოძრაობის მთლიანობის შესახებ.

„ტაიმსი“ აღნიშნავს, რომ ინგლისის პროფკავშირთა გენერალურ საბჭოს არ ჰქონია დავალებული პროფკავშირთა კონგრესისაგან მუქარა შეეთვალა ამსტერდამის ინტერნაციონალისათვის.

„მანჩესტერ გარდიენი“ აცხადებს, რომ გენერალურ საბჭოს ზრახვები პატივისცემის ღირსია, მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, რომ გერმანიის პროფკავშირთა მოღვაწენი, რომელთაც ყველგან თავს ესხმიან კომუნისტები, მიიღებენ ასეთ „ალტრუისტურ“ შეხედულებას.

წითელი გლეხები იღვიძებენ

შეერთდებიან წითელ პროფინტერნს.

პეკინი. 8 მაისი. სრულიად ჩინეთის მუშათა კავშირების მეორე ყრილობამ, 285 დელეგატის შემადგენლობით, რომელნიც წარმოადგენენ 450.000 დარაზმულ მუშას, დაადგინა ერთხმად შეუერთდეს წითელ პროფინტერნს.

კვანტუნის პროვინციის გლეხობა უერთდება გლეხთა ინტერნაციონალს.

პეკინი. 8 მაისი. 1 მაისს კანტონში გახსნილმა გლეხთა კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც გაეგზავნა გლეხთა ინტერნაციონალს. რეზოლიუციაში ნათქვამია: „200.000 დარაზმული გლეხის სახელით პირველი გლეხთა კონფერენცია ერთხმად ადგენს შეუერთდეს გლეხთა ინტერნაციონალს“.

ბულგარეთის ამბები

გლეხთა ინტერნაციონალის მოწოდება

მოსკოვი, 9 მაისი. ბულგარეთში ტერორის გაძლიერების გამო, გლეხთა ინტერნაციონალმა მიმართა ყველა ქვეყნების მუშებს და გლეხებს მოწოდებით მხარი დაუჭირონ ბულგარეთის გლეხებს.

„კრებებზე, კონფერენციებზე, მიტინგებზე, პარლამენტში—ნათქვამია მოწოდებაში—ყველგან განაცხადეთ თქვენი ზიზღი, თქვენი პროტესტი სოფიის ჯალათების სისხლისმღვრელი მუშაობის წინააღმდეგ. მოითხოვეთ, რათა ბულგარეთის მუშების და გლეხების მკვლელთა წარმომადგენლები—სისხლისმსმელ ცანკოვის დიპლომატიური წარმომადგენლები გაძევებული იქნან თქვენი ქვეყნიდან.

ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის და ამერიკის გლეხებო და მუშებო, მოითხოვეთ თქვენი მთავრობებისაგან, რათა მათ შესწყვიტონ მტაცებლური თავდასხმები ბალკანეთის მშრომელებზე.

მოითხოვეთ, რათა მათ მხარი არ დაუჭირონ ცანკოვის ბანდიტურ მთავრობას, რომელიც ხვრეტავს ჩვენ ძმებს, გლეხებს და მუშებს.

ბალკანეთის ქვეყნების გლეხებო და მუშებო, მოითხოვეთ, რათა თქვენმა მთავრობებმა დახმარება არ გაუწიონ ბანდიტ-გენერლების ხროვას, რომელმაც ხელში ჩაიგდო ძალა-უფლება ბულგარეთის გლეხებსა და მუშებზე. გახსოვდეთ, რომ მათი დამარცხება ნიშნავს თქვენ საკუთარ ქვეყნების უკეთეს მომავლისათვის ბრძოლის დამარცხებას.

კალფოვის გასტროლები

ვენა, 8 მაისი. ბულგარეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა კალფოვმა, რომელიც ბელგრადში სამხრეთ-სლავიის გარეშე საქმეთა მინისტრ ნინჩიჩთან აწარმოებდა მოლაპარაკებას „ბოლშევიკურ საფრთხის წინააღმდეგ“ საბრძოლველ ზომების შესახებ, განუცხადა ჟურნალისტებს, რომ სოფიაში მომხდარი აფეთქებაში დამნაშავეა კომინტერნი, რომელსაც სურს ბულგარეთში შექმნას ბაზა ბალკანეთში რევოლიუციის განვითარებისათვის. აღნიშნა რა, რომ ნინჩიჩი კარგადაა გაცნობილი ბულგარეთის მდგომარეობას, კალფოვმა განაცხადა, რომ ის გაემგზავრება შემდეგ რომში, პარიზში და ლონდონში, რათა მიაღწიოს ევროპის მხრივ მორალურ „დახმარებას კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში“.

მასიური დაპატიმრებანი სოფიაში

ვენა, 8 მაისი. სოფიიდან იუწყებიან, რომ დაპატიმრებულია სოფიის ტაძრის 3 მღვდელი, რომელთაც ბრალად ედებათ აფეთქებაში მონაწილეობის მიღება. პროვინციაში გრძელდება მასიური დაპატიმრებანი.

პანების სამეფოში

ტროიანოვსკი—„ოხრანკის“ აგენტია.

ვარშავა. 8 მაისი. პოლონეთის სოციალისტურ პარტიის შეკითხვაში პროვოკატორ ტროიანოვსკის შესახებ აღნიშნულია, რომ ტროიანოვსკი, როგორც სავსებით დამტკიცდა, არის ოხრანკის აგენტი და მისი სპეციალური დავალებით მუშაობდა „ვალკალიუტუს“ რედაქციაში, ტროიანოვსკიმ მიიღო „ოხრანკისაგან“ განკარგულება მოემზადებია პირველი მაისისათვის რამდენიმე ასაფეთქებელი ყუმბარა და მიეწოდებია იგი კომუნისტებისათვის. ამ გზით „ოხრანკა“ ფიქრობდა კომუნისტებისათვის წაეყენებია ბრალდება აფეთქების მოწყობაში.

„ოხრანკის“ მუშაობა.

ვარშავა. 8 მაისი. ირკვევა, რომ გარდა ტროიანოვსკის უშედეგო პროვოკაციისა აფეთქების ასეთივე ცდას ადგილი ჰქონდა სხვა ქალაქებშიაც. 5 მაისს ლიუბლინის თეატრში აღმოჩენილი იქნა ბომბა პატრუქით. 2 მაისს ზემო სილეზიაში მოხდა ორი ნაღმის აფეთქება. ყველა აღნიშნულ აფეთქებას არავითარი მსხვერპლი არ მოჰყოლია, ჩაიმტვრა მხოლოდ ფანჯრების მინები.

კარპატის მხარის გლეხობა დამშეულია.

ვარშავა. 8 მაისი. სეიმის სხდომაზე დეპუტატმა—ქსენძმა ილიკოვმა განაცხადა, რომ კარპატის მხარეში გლეხობა ისეთ მძიმე მდგომარეობაში იმყოფება, რომ საჭმელათ ხმარობს სეროგატებს. ამის დასამტკიცებლათ დეპუტატმა მიწათ-მოქმედების მინისტრს აჩვენა პური, რომელიც გამოცხობილია ქატოსაგან და დამპალ კართოფილისაგან.

ეკონომიური კრიზისი პოლონეთში.

ვარშავა. 8 მაისი. საერთო ეკონომიურ კრიზისის გამო მაღაზიების და სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა მეპატრონეები შეუდგენ მოსამსახურეთა შტატების შემცირებას.

კომუნისტების დაპატიმრება.

ვარშავა. 8 მაისი. 5 მაისს ვარშავაში დაპატიმრებული იყვნენ შემდეგი კომუნისტები, ვითომდა პარტიის ცეკას წევრები: ალექსანდრე ტომაშევსკი, ფრანც გელშაკი, ლუკიან ფრომანი, გენრიხ მუშკეტი და აგრეთვე იმავე ბინაზე მყოფი დამტვირთველ მუშათა კავშირის წევრები: იოსებ სესბლიუმი, ანდრია ლევანდოვსკი, სტეფანე ბაუმი, მაქს ლაპონი, ფელიქს დიმოვსკი, სტანისლავ შიპანსკი, ალექსანდრე ფანიშევსკი და ფრანცისკა პლონაცკაია.

ტომაშევსკის, რომელიც ვითომდა ცეკას მოლარეა, აღმოაჩნდა 8000 ოქრო, გელშაკს—1.500 ოქრო, სხვადასხვა ქაღალდები და ანგარიშები. ფულები ჩამოერთვათ.

დაპატიმრებულები ჩასვეს ავტომობილში და წაიყვანეს ოხრანკაში. გზაში ისინი მღეროდნენ „ინტერნაციონალს“ და იძახდნენ: „გაუმარჯოს პროლეტარიატის დიქტატურას“.

პოლონეთის მონარქისტების ყრილობა.

ვარშავა. 8 მაისი. პოზნანში მოწვეულია პოლონეთის მონარქისტების ყრილობა. გენერალმა დოვბორმუსნიცკიმ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა. ყრილობას.

ვან დელივერის პროექტი

პარიზი. 8 მაისი. ჰავასის სააგენტოს ცნობით, ბელგიის კათოლიკურ პარტიის ბელადი ვან დელივერი ფიქრობს შეადგინოს კაბინეტი, რომელშიც შევლენ ეხლანდელი კათოლიკე მინისტრები და რამდენიმე—პარლამენტის გარეშე მყოფი პირი.

„ეროვნული სირცხვილის დღე“ ჩინეთში

პეკინი. 8 მაისი. 7 მაისს „ეროვნული სირცხვილის დღიდან“ ათი წლის თავზე (ჩინეთში ამ დღით აღნიშნულია იაპონიის 1915 წლის ცნობილი ულტიმატუმი, რომელიც შეიცავს 21 მოთხოვნილებას ჩინეთისადმი), პეკინში ადგილი ჰქონდა სერიოზულ მღელვარებას. იაპონიის და ჩჟან-ძო-ლინის მთავრობის ზეგავლენით მთავრობამ კატეგორიულად აკრძალა მიტინგები და დემონსტრაციები, ყველა სკოლები გარშემორტყმული იქნენ შეიარაღებული პოლიციელების მიერ. რამდენიმე პატარა შეტაკების შემდეგ ათასამდე სტუდენტმა გამართა მიტინგი, რომელზედაც აკრიტიკებდენ მთავრობის და განსაკუთრებით, განათლების მინისტრის მოქმედებას. მიტინგის შემდეგ დაახლოვებით 200 სტუდენტი გაემგზავრა მინისტრის სახლისკენ და მოახერხეს შიგ შესვლა, მაგრამ თვით მინისტრი შინ არ დახვდათ. სტუდენტებმა ჩალეწეს ფანჯრები და დაამტვრიეს კარები. პოლიციის ძლიერი რაზმის მოსვლის შემდეგ დაიწყო ბრძოლა სტუდენტებსა და პოლიციელებს შორის. ორივე მხარეზე ბევრია მძიმედ დაჭრილი. დაპატიმრებულია დაახლოებით 200 სტუდენტი.

„ეროვნული სირცხვილის დღე“ ტოკიოში.

ტოკიო, 8 მ. „ეროვნული სირცხვილის დღის“ აღსანიშნავათ ჩინელთა კოლონიამ მოაწყო მრავალრიცხოვანი მიტინგი. ჩინელი სტუდენტები გლეჯდენ და აფურთხებდენ იაპონიის ეროვნულ დროშას, რასაც შედეგათ მოყვა ჩინელი სტუდენტების შეტაკება იაპონიის პოლიციასთან. სტუდენტები დააპატიმრეს.

რუსეთის საბჭოთა მეთორმეტე ყრილობა

ფინანსიური პოლიტიკის [illegible]

[illegible] ბიბლიოთეკა

ამხ. მილიუტინის მოხსენება

მოსკოვი, 9 მაისი. 8 მაისს დილის სხდომაზე სემაშკოს საბოლოო სიტყვის შემდეგ ყრილობამ მოისმინა რ. ს. ფ. ს. რ-ის ფინსახკომის რწმუნებულის მილიუტინის მოხსენება.

ჩვენი ფინანსიური პოლიტიკის საფუძველი.

ჩვენი ფინანსიური პოლიტიკის თავისებურობა—სთქვა მან—მდგომარეობს იმაში, რომ სახელმწიფოს ხელშია მეურნეობის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი დარგები. ამრიგად, სახალხო მეურნეობის ზრდაზე დამოკიდებულია ჩვენი ბიუჯეტის ზრდა.

დეფიციტი ისპობა.

ჩვენი ამოცანაა ავაგოთ ბიუჯეტი ისეთ საფუძველზე, რომ ადგილი არ ექნეს დეფიციტიანობას. თუმცაღა წელს ჩვენ კიდევ გვაქვს დეფიციტი, მაგრამ ეს დეფიციტიანობა შეუჩერებლად მცირდება. ეს სჩანს თუნდაც იქიდან, რომ 1924 წელს დეფიციტი უდრიდა 133 მილიონს, ხოლო 1925 წელს—53 მილიონს.

დეფიციტის შემცირება საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ მომავალ წელს ჩვენ შევსძლებთ უდეფიციტო გავხადოთ ჩვენი ბიუჯეტი.

ხარჯები კულტურულ მოთხოვნილებებზე გაიზარდა.

ჩვენი ბიუჯეტის ეხლანდელ მდგომარეობის დროსაც ჩვენ საშუალება მოგვეცა გაგვედიდებია ხარჯები კულტურულ მოთხოვნილებებზე და სასოფლო მეურნეობაზე. ხარჯები კულტურულ საჭიროებაზე გაიზარდა 60 პროცენტით, ხოლო სასოფლო მეურნეობაზე—192 პროცენტით.

მილიუტინი ეხება იმ მიღწევებს, რომლებიც არსებობს ნაციონალურ რესპუბლიკებთან და ოლქებთან საბიუჯეტო ურთიერთობის მოგვარების საქმეში.

შემოსავალი მომავალში გაიზრდება

შემდეგ მომხსენებელი ეხება იმ შესაძლებლობას, რომელიც ჩვენ გვაქვს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის გადიდების მხრივ. ჩვენ საშუალება გვაქვს გავადიდოთ შემოსავალი ჩვენი ტყეებიდან 50 პროცენტით, სამუშაოების გაფართოებლად. ასევე ითქმის მრეწველობაზედაც. იმისათვის, რომ გავადიდოთ ჩვენი მეურნეობის ამ დარგების შემოსავლიანობა, აუცილებელია გავანაწილოთ ქონება სრულიად საკავშირო, რესპუბლიკანურ, სამეურნეო, სამაზრო და სათემო ბიუჯეტებს შორის. ჩვენს მეორე ამოცანას წარმოადგენს ზედნადები ხარჯების შემცირება.

ადგილობრივი ბიუჯეტი

„ადგილობრივ ბიუჯეტების როლი ჩვენს მეურნეობაში—განაგრძობს მილიუტინი—უსათუოდ გაიზარდა. 1922—23 წელს ადგილობრივი ბიუჯეტი უდრიდა 246 მილიონს, 1924—25 წელს ის აღწევს 629 მილიონ მანეთამდე“.

აღნიშნავს რა სოფლებში შექმნილ მძიმე მდგომარეობას, მილიუტინი საჭიროდ სთვლის მიექცეს ყურადღება სათემო ბიუჯეტს. „ფინსახკომის ცნობების მიხედვით—ლაპარაკობს მომხსენებელი—ხარჯები ადმინისტრატიულ აპარატზე სათემო ბიუჯეტში შეადგენენ 34 პროცენტს, რაც იმას მოწმობს, რომ ბიუჯეტი ვერ არის სათანადოთ აგებული და არსებობს ნაკლი დაბალი საფეხურის ორგანოების მუშაობაში. სათემო ბიუჯეტი ვერ სწვდება თემის სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებას, აქედან აუცილებლად უნდა გამოვიყვანოთ დასკვნა, რომ საჭიროა გავაუმჯობესოთ და განვამტკიცოთ სათემო ბიუჯეტი, გადავსცეთ ყველა წარმოებები და დაწესებულებები, რომლებიც მდებარეობენ თემის ტერიტორიაზე, სათემო ბიუჯეტის განკარგულებაში. აუცილებელია შემოსავლის ისეთი წყაროების გამოძებნა სათემო ბიუჯეტისათვის, რომელიც აუცილებელია მისი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ამას გარდა საჭიროა გადაირიცხოს სათემო ბიუჯეტში მთელი 100 მილიონი მანეთი, რომელიც უწევს ადგილობრივ ბიუჯეტებს სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან.

საგადასახადო ტვირთის შემსუბუქება

„ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარების ძირითადი ამოცანა—ლაპარაკობს შემდეგ მილიუტინი—არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საგადასახადო მუშაობას. ჩვენი ფინანსების საერთო გაუმჯობესებამ საშუალება მისცა ფინანსთა სახალხო კომისარიატს მიდგომოდა ამ საკითხის გადაჭრას საგადასახადო ტვირთის შემსუბუქების გზით. ამ მიზნით გადადგმულია დიდი ნაბიჯები სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ტვირთის შემსუბუქების და შინამრეწველობისა და კოოპერაციისათვის შეღავათების მიცემის მხრივ. გლეხობას მიეცა მთელი რიგი შეღავათებისა შინაური საქონლის დაბეგვრის დროს, მიეცა საერთო შეღავათი ღარიბ და საშუალო გლეხობას.

ბრძოლა უკანონო გადასახადებთან

ფინანსთა სახალხო კომისარიატის ამოცანას წარმოადგენდა აგრეთვე ბრძოლა თვითნებურად გადასახადის გაწერასთან, რაც აღელვებდა მოსახლეობას და არღვევდა საფინანსო ორგანოების გეგმაშეწონილ მუშაობას. ადგილობრივ გადასახადებს შორის არის 17 ისეთი, რომლებიც შეიძლება გაერთიანებული იქნენ, ანდა სავსებით გაუქმებული. არის ისეთი გადასახადებიც, რომლის აკრებისათვის საჭირო ხარჯები აღემატება ასაკრებ გადასახადის რაოდენობას.

საკრედიტო საქმე

საკრედიტო მუშაობის განვითარება დაიწყო 1923 წლის ოქტომბერში. მანამდე საკრედიტო მუშაობა სწარმოებდა მხოლოდ საერთოსაკავშირო მასშტაბით; სულ მოიპოვებოდა 133 საკრედიტო ორგანო. 1924 წლის ივნისში მათი რიცხვი გაიზარდა 300-დე, ხოლო 1925 წლის აპრილში—344-დე. ამავე დროს გაფართოვდა ქსელი ადგილობრივ საკრედიტო ორგანოებისა, რომელთა რიცხვი 1925 წლის აპრილისათვის აღწევდა 11,500-ს. სახელმწიფო კრედიტის განვითარებამ საშუალება მოგვცა შევსდგომოდით სახალხო მეურნეობის აღდგენას და განვითარებას. სესხების სახით სახელმწიფოს საშუალება ეძლევა მოახმაროს კერძო პირთა ხელში არსებული ზედმეტი თანხები სახალხო მეურნეობის აღდგენას. კომუნალური კრედიტი შესაძლებელს ხდის ქალაქების მდგომარეობის გაუმჯობესებას. კერძოთ კრედიტი ხელს უწყობს ქვეყნის აღებ-მიცემობის გაუმჯობესებას. ამრიგად, ჩვენში საკრედიტო მუშაობის განვითარების შემდეგ ჩვენ საშუალება მოგვეცა შევსდგომოდით ქვეყნის მეურნეობის უფრო გეგმაშეწონილად განვითარებას და განმტკიცებას.

ცენტრალურ სასოფლო-სამეურნეო ბანკის და აგრეთვე რ. ს. ფ. ს. რ-ის სასოფლო-სამეურნეო ბანკის მოწყობამ საშუალება მოგვცა დაგვეწყო სასოფლო მეურნეობისათვის კრედიტების მიცემა. ეს მუშაობა ჩვენში ძალიან მოისუსტებს. ჩვენს ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენს გლეხობის საკრედიტო ორგანოების მუშაობაში ჩაბმა და აგრეთვე სასოფლო მეურნეობისათვის კრედიტების მიწოდების გაფართოება“.

საფინანსო კონტროლი

მოხსენების დასასრულს მილიუტინი ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ ადგილებზე ცუდათ არის დაყენებული საფინანსო კონტროლი. მომხსენებლის აზრით, სათემო აღმასკომებთან უნდა დაარსდეს სარევიზიო კომისია, რომელსაც დაევალება საფინანსო კონტროლი. ამ ღონისძიებით ჩვენ ერთი მხრით ჩავაბამთ გლეხობას დაბალი საფეხურის ორგანოების მუშაობაში, ხოლო მეორე მხრით უფრო სწორად დავაყენებთ სათემო ბიუჯეტს.

მეტის ატანა შეუძლებელია

ორიენტაციის საკითხის ირგვლივ

> აწ ენა მინდა გამოთქმად, გული და ხელოვანება
> **რუსთველი**

XII

მეტის მეტად ძნელია ორიენტაციის საკითხზე ლაპარაკი საერთოდ და განსაკუთრებით ისეთი ერის ორენტაციაზე, როგორიც ქართველი ერია, რომელსაც რამდენიმე ათეული საუკუნოების კულტურული წარსული აქვს, რომელსაც ასეთი დიდი დროს განმავლობაში ერთხელაც არ ღირსებია მოსვენებული ცხოვრება, ერთხელაც არ ჩაუგია ხმალი ქარქაშში... ძნელია ლაპარაკი იმ ერზე, რომელსაც ასეთი დიდი დროს განმავლობაში უბრძოლია, სისხლი უღვრია, რომელსაც აუტანელი, პირდაპირ ტიტანიური ტანჯვა-წვალებით შეუნარჩუნებია თავისი ნაციონალური სახე, თავისი ეროვნული მეობა, რომელსაც თითქმის ხელუხლებლად შეუნარჩუნებია თავისი ათასჯერ სისხლის რუებით მორწყული, როგორც ისტორიით, ისე ბუნებრივად მდიდარი „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტი“ ქვეყანა.

საკმაოა გაითვალისწინოთ საქართველოს გეოგრაფიული რუკა და თქვენთვის ცხადი იქნება, თუ რა დიდი ტანჯვა-ვაება უნდა გამოეარა თავისი არსებობისთვის ბრძოლაში იმ ერს, რომელიც ისტორიის განაჩენს საქართველოს ტერიტორიაზე დაუსახლებია უხსოვარის დროიდან. საქართველოს ტერიტორია ეს ერთად-ერთი გზაა, აზისა და ევროპის შემაერთებლად გაჭიმული. ამ გზაზე ათასის წლობის განმავლობაში სწარმოებდა დაუსრულებელი ჭიდილი აზიასა და ევროპას შორის; საქართველოს ტერიტორია იყო ამ ორი, ერთმანეთის მოწინააღმდეგე კულტურის დაუსრულებელი ბრძოლის ასპარეზი. თვით ის გარემოება, რომ პოეზიის მეუფე ძველი საბერძნეთის მდიდარმა ფანტაზიამ საქართველო დასახა ადამიანის ღმერთებზე გამარჯვების უკვდავი სიმბოლო ამირანის სამშობლოდ, ის გარემოება, რომ ძველად საბერძნეთის ფანტაზიამ კავკასიის მთის ქედს მიაჯაჭვა ეს კაცობრიობის უდიდესი მოსარჩლე, პროგრესისა და კულტურის პირველი მებაირახტრე ამირანი, ნუ თუ იმის მაჩვენებელი არ არის, რომ საქართველო მუდამ შეუწყვეტელი ბრძოლის ქვეყანა ყოფილა, რომ საქართველოს, პოეტის სიტყვებით რომა ვსთქვათ, მუდამ ესეოდა ყვავყორნები, მუდამ დაფლეთილი ჰქონდა გული... და თუ ადამიანის ფანტაზიით შექმნილი ეს მშვენიერი ლეგენდა საკმაო არ არის საქართველოს მუდამ ქარიშხლიანი წარსულის შესასწავლად, მაშინ ჩინგის ხანი, ხორეზმ-შახი, თემურ-ლენგი, შახ-აბასი და ვინ მოსთვლის კიდევ ვინ, ხომ ცოცხალი, რეალური ძალა იყვნენ, ისინი ხო ისტორიული ფაქტია, მათ საშინელ საქმეებს ქვებიც ხო ლაღადებენ საქართველოში!..

ასეთი იყო იმ თავითვე საქართველოს ბედი, მაგრამ „შავ ბედმა ველარ გასტეხა მის გული ანდამატისა“. ერი გადარჩა და მან მაინც შესძლო თავისი მდიდარი კულტურის შექმნა. მან მტრის ცეცხლში გამოაწრთო თავისი პოეტური ენა, გამოიმუშავა თავისი საკუთარი ეროვნული სახე, თავისი საკუთარი ქართული ტიპი.

თუ ამ ერს ოდესმე კი ღირსებია მყუდრო ცხოვრება, მას საკვირველის ენერგიით უსარგებლია მით კულტურულ ღირებულებათა შესაქმნელად. ბევრი რამ წაუშალა საქართველოს ულმობელმა ისტორიამ, ბევრი რამ შთანთქა მისი მონაპოვარიდან მტრის ცეცხლმა, მაგრამ მან მაინც საკმაოთ დარჩა ძველი კულტურის საგანძურები, რომელნიც ცხადყოფენ, რომ მას ტყუილად არ უცხოვრია ასეთი დიდი დროის განმავლობაში, რომ ის ნამდვილი სრულუფლებიანი წევრია კულტურული კაცობრიობისა და არა მცონარე მონა, რომელმაც ბოძებული ტალანტი მიწაში ჩაფლა და სარგებელი არ გამოაღებია. იმ გრძელ ჯაჭვში, რომელიც ამ ერს აერთებს სხვა კულტურულ ერებთან, ჩვენ ვხედავთ ისეთ რგოლებს, როგორიც არიან რუსთაველი, ბარათაშვილი, ილია, აკაკი.

მაგრამ ქართველ ერს ამით არ განუსაზღვრავს თავისი წინსვლა. რუსეთის საფარველ ქვეშ ის სულაც არ მისცემია სიზარმაცეს, მას არ გამოუჩენია სულიერი დაღლილობა, რაც ასე ბუნებრივი უნდა ყოფილიყო მის მდგომარეობაში. პირიქით, ის ახალგაზრდული ენერგიით ამოუდგა გვერდში რუსეთის ხალხს, დემოკრატიას, მან უდიდესი მსხვერპლი გაიღო კაცობრიობისათვის საუკეთესო მერმისისათვის ბრძოლაში. [illegible]: ვენატეს, სილვას, არჩილის, ჭოლას, ალიოშას, ერისენი და სხვა მრავალ ათას მებრძოლთა სახელები, და საქართველოს თვით ქვებიც კი ალაპარაკდებიან მათ საგმირო საქმეებზე.

რუსეთის დიდი რევოლიუციის ისტორიაში ის ბუზი კი არ არის, რომელიც სხვისი ოფლით თავს იწონებს, რომელიც შრომით დაღლილ-დაქანცულ ხარს რქებზე აჯდება და მედიდურათ გაიძახის: აი შემომხედეთ, რა დიდი მუშა ვარ, როგორ დავიღალეო. არა, ქართველი დემოკრატია—ეს თვით ხარია, ქედკურთხეული, რომელმაც მართლაც დახნა, მართლაც დათესა და რომელსაც დღეს სრული უფლება აქვს თავისი შრომით, თავისი სისხლითა და ოფლით მონაპოვარი რევოლიუციის მიერ ნაბოძვარი თავისუფლებით ისარგებლოს. მას სრული უფლება აქვს სრულიად დამოუკიდებლად, სხვისი ხელზე შეუყურებლად, იცხოვროს.

საქართველოს სრული უფლება აქვს უთხრას ყველას: მე ჩემთა შვილთა ათასის წლობით შეუწყვეტელი ბრძოლითა და სისხლის ღვრით ჩემი თავისუფლება დღემდე მომიტანია და მე დღესაც არავის მივცემ ნებას გზაზე გადამეღობოს და ჩემი პროგრესისა და კულტურის გზაზე წინსვლა შემაჩეროსო.

ასეთია საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიული და ისტორიული საფუძველი.

XIII.

რუსეთის ძველი იურიდიული ტრაფარეტი სახელმწიფოს არსებობისთვის აუცილებელ პირობათ სთვლის: მოსახლეობას (население), ტერიტორიასა და ხელისუფლებას. სახელმწიფოს შესაქმნელად უნდა არსებობდეს ხალხი, მას უნდა ჰქონდეს საცხოვრებელი ტერიტორია და უნდა ჰქონდეს სურვილი ხელისუფლების, თავისი სუვერენობის შესანარჩუნებლად.

როგორც ხედავთ, ქართველ ერს აქვს ყველა ეს ნიშნობრივი თვისება. მას აქვს თავისი საკუთარი მოსახლეობა, აქვს საკუთარი ტერიტორია, აქვს დაუშრეტელი სურვილი თავისი სუვერენობის შესანარჩუნებლად.

მაშ რაღა დარჩა?

საქართველოს დამოუკიდებელი არსებობის მოწინააღმდეგენი ამას სრულიად ეთანხმებიან. მხოლოთ თავის აზრს ისინი ეკონომიური მოტივებით ასაბუთებენ:

როგორ შეუძლია დამოუკიდებლად იარსებოს საქართველომ, როცა მას საკმაო პურიც კი არ მოეპოვება?

საქართველოს დამოუკიდებლობის მოწინააღმდეგეთა ეს არგუმენტი მართალი არ არის. ეს არგუმენტი მათ ნასესხები აქვთ თვითმპყრობელი რუსეთის კაციჭამია პოლიტიკოსებისაგან. ამას მხოლოდ ისინი ამტკიცებდნენ:- ჩვენ კი მოგცემთ თავისუფლებას, მაგრამ რად გინდათ ეს თავისუფლება, როცა საკუთარი პურიც კი არ მოგეპოვებათ და რუსეთის პურის უმისოდ შიმშილით დაიხოცებითო.

რა თქმა უნდა, ეს საბუთი არ არის. არა მარტო პურითა ცოცხალ არს კაცი. ასე რომ იყოს, არც ინგლისსა აქვს საკმაო პური; მას წელიწადში ორი თვეც არ ჰყოფნის თავისი პური, მაგრამ ეს გარემოება სულაც არ უშლის ხელს მის დამოუკიდებელ არსებობას. შეიძლება სახელმწიფოს თავისი საკუთარი პური სულაც არ მოეპოვებოდეს, მაგრამ შეიძლება მას ჰქონდეს ათასი სხვა წყარო, პურიც იყიდოს და თავისი დამოუკიდებლობაც შეინარჩუნოს. საქართველო, რა თქმა უნდა, ინგლისი არ არის, მაგრამ ბევრი რამ დოვლათი მოეპოება მას თავისი სახელმწიფოებრივი სახის შესანარჩუნებლად. ეს ასეა, მაგრამ იმდენად გაუდგამს ფეხი ჩვენს აზროვნებაში ამ თვითმპყრობელ რუსეთის აგენტების საბუთს, იმდენად დაურევია მას ხელი არა მარტო საქართველოს დამოუკიდებლობის შეურიგებელ მტრების, მისი ზოგიერთი მოყვრებისთვისაც, რომ ამ სრულიად უსაბუთო საბუთს დღესაც ხშირად გაიგონებთ.

ჯერ კიდევ განსვენებული ილია ჭავჭავაძე ამტკიცებდა თვითმპყრობელობის ამ არგუმენტის სრულ უსუსურობას. ილია პირდაპირ ასახელებდა საქართველოს ასეთი ნაკლის თავიდან ასაცილებელ საშუალებებს. ერთ-ერთ ასეთ საშუალებად მას მიაჩნდა „თამარის დროინდელ წყალსადენი არხების“ აღდგენა და კერძოთ ალაზნის ველის მორწყვის საქმის მოწყობა. ილიას ანგარიშით, თუ საქართველოს ამ პლანების აღსრულება ოდესმე ღირსებოდა, მას არა თუ გარეშე ქვეყნიდან პურის შემოტანა არ დასჭირდებოდა, ის, პირიქით, თვითონ გაიტანდა ხორბალს ბაზარზე გასასყიდად. მაგრამ ილიას დროს ამ პლანების განხორციელება თვითმპყრობელ რუსეთისათვის ხელსაყრელი არ იყო. ის მხოლოდ იმითი იყო დაინტერესებული, რომ საქართველოს არავითარი ცხოვრების სალარო არ ჰქონოდა, რომ მას არ შესძლებოდა რუსეთის უმისოდ არსებობა.

დღეს საქართველოს სხვა დღე დაუდგა: საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება სულ სხვა მიზნებს ისახავს; ის სცდილობს გამდიდრებისა და განვითარების გზაზე დააყენოს ქვეყანა, შეუქმნას მას დამოუკიდებელი არსებობის საკუთარი წყარო და მას ამისთვის სრული შესაძლებლობაც აქვს, როგორც ტეხნიკური ისე ნივთიერი. მაგრამ, სამწუხა როდ ამ თვითმპყრობელობის მიერ ნაანდერძევ არგუმენტს აქა-იქ დღესაც გასავალი აქვს. მას კიდევ მეტი გასავალი ჰქონდა მენშევიკების ხელისუფლების დროს. აი ამის ერთი საბუთიც:

საქართველოს პროფესიონალური კავშირების ყოველდღიურმა გაზეთმა „შრომამ“ დაბეჭდა საქ. დემ. რესპუბლიკის ყოფილი მიწადმოქმედების მინისტრის ნ. ხომერიკის „დღიურიდან“ ამოკრეფილი ადგილები „საგულისხმიერო აღსარების“ სათაურით (იხ. „შრომა“, № 17, 1922 წ.) ნ. ხომერიკი თურმე სწერდა:

„საქართველოს რესპუბლიკას არ შეუძლია დამოუკიდებელი არსებობა, ის რომელიმე ქვეყნის მფარველობისა და მზრუნველობის ქვეშ უნდა იყოს... ამას აიძულებს მას არა მარტო სამხედრო სისუსტე, არამედ უფრო ეკონომიური უძლურება“.

საქართველოს დამოუკიდებლობის ეკონომიურ მიზეზებზე ასეთი შეხედულება, სამწუხაროდ, მარტო ხომერიკის აზრი კი არ იყო. ასეთი აზრის იყვნენ იმ დროს ჩვენი ამხანაგების დიდი უმეტესობა, განსაკუთრებით ისინი, რომლებიც პრაქტიკულად მუშაობდენ იმ დროს რესპუბლიკის აღმშენებლობის საქმეში. მაგრამ ეს აზრი ვერ იყო მეცნიერულად დასაბუთებული. ჩვენი პრაქტიკოსები ხედავდენ, რომ რესპუბლიკა ჩიხში იყო მომწყვდეული, რომ ის არა თუ ყოველდღე მოელოდა კატასტროფას, ის თვით კატასტროფაში იყო. ჩვენი პრაქტიკული მოღვაწეები აშკარად ხედავდენ, რომ რესპუბლიკას მართლაც არ ჰქონდა არც პური, არც სათბობი მასალა, არც სხვა რაიმე საქონელი. მაგრამ ყოველი ამის უქონლობა იმ დროს კიდევ იმას არ ნიშნავდა, რომ საქართველოს „სავალიუტო საქონელი“ არ მოეპოვებოდა. აბა ერთი მიბრძანეთ, რომელი სახელმწიფო, თუკი ის რუსეთის დიდი რევოლიუციის „ორბიტაში“ იყო მოქცეული, ცხოვრობდა იმ დროს უკეთესს პირობებში. იმ დროს თვით რუსეთი, მთელი ევროპის პურით მარჩენალი რუსეთი, სიმშილს განიცდიდა. ნუ თუ ეს იმას ნიშნავდა, რომ რუსეთს დამოუკიდებელი არსებობა არ შეეძლო, ან და მას „სავალიუტო საქონელი არ ჰქონდა“? აბა ვის რათ გამოადგებოდა ამ დროს „სავალიუტო საქონელი“? საქმე ამ „საქონლის“ ქონება-არქონებაში კი არ იყო ამ დროს, არამედ იმაში, რომ ანტანტის ინტერვენციით ალყაშემორტყმული მთელი რუსეთი და მისი ყოფილი ნაწილები, როგორიც არიან საქართველო და სხვა რესპუბლიკები, ყოველსავე საშუალებას იყვნენ მოკლებული თავისი „სავალიუტო საქონელი“ გამოეყენებიათ, ფულად ან პურად ექციათ იგი და მით კატასტროფიდან თავი გადაერჩინათ. მარგანეცი, ხე-ტყე, ღვინო, მატყლი, აბრეშუმი და ათასი სხვა „საქონელი“, რაც დღეს ასე ბლომად გადის საქართველოდან, დღეს კი არ გაჩენილა ჩვენში, ის უწინაც იყო. მაგრამ საქმე ის იყო, რომ რევოლიუციის დროს შეუძლებელი შეიქნა ყველა ამ სიმდიდრის გამოყენება. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის უდიდესი ტრაგედია იმაში იყო, რომ მას დიდი სიმდიდრე ჰქონდა, მაგრამ ამ სიმდიდრის გამოყენების საშუალება კი არა ჰქონდა. და იმავე დროს პოლიტიკური პირობები კი ისეთი ჰქონდა, რომ მუდამ თავდაცვაზე უნდა ეზრუნა. ჯარსა და გვარდიას მარგანეცით ხომ ვერ გამოკვებავდა და მარგანეცის ფულად გადაქცევა შეუძლებელი იყო. ეს გარემოება პირდაპირ სასოწარკვეთილებაში აგდებდა რესპუბლიკის ბედის გამგეებს და ისინი რაკი ამ კრიზისიდან გამოსავალს ვერ პოულობდენ შექმნილი მდგომარეობის ასახსნელად, თვითმპყრობელობის არქივში ეძებდენ მასალას და ამტკიცებდენ, რომ „საქართველოს რესპუბლიკას დამოუკიდებელი არსებობა არ შეუძლიაო, რადგან მას პური არა აქვს და არც სავალიუტო საქონელი გააჩნიაო“. მოდით და ნუ იტყვით: თურაშაულის პატრონი ტყეში დაეძებს კუნელსაო.

ამრიგად წარმოსდგა ეკონომიურისა და პოლიტიკური მიზეზების სრული არევ-დარევა. რესპუბლიკის ბედის გამგენი ქვეყნის ყოფნა-არყოფნის საკითხს სჭრიდენ ისეთი დროებითი და წარმავალი საბუთებით, როგორიც იყო მთელ მსოფლიოში რუსეთის დიდი რევოლიუციის მიერ გამოწვეული ეკონომიური კრიზისი. და ამ დროებითი არევ-დარევით გამოწვეული კრიზისით სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი ხალხი საქართველოს დამოუკიდებლობაზე ხელს იღებდენ: „მას არ შეუძლია დამოუკიდებელი არსებობა, ის რომელიმე ქვეყნის მზრუნველობისა და მფარველობის ქვეშ უნდა იყოსო“, ესე იგი რომელიმე ძლიერი სახელმწიფოს კოლონიათ, მის საწველ ფურად უნდა გადაიქცესო.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელების უმეტესობა რომ საქართველოს ისტორიის ცოდნაზე ცოტა მწყრალად არ ბრძანებულიყვენ, იმათ აუცილებლად ეცოდინებოდათ, რომ საქართველო ბუნებას დაუჯილდოებია აღურაცხელი სიმდიდრით, რომ ამ ქვეყანას აღურაცხელი „სავალიუტო საქონელი“ აქვს, მხოლოდ მას მოხმარა და გამოყენება უნდა; მათ ეცოდინებოდათ, რომ საქართველო ძველადვე ცნობილი იყო ოქროს, ვერცხლისა და ათასი სხვა მადნეულობით, როცა ამას ვლაპარაკობ, მე სულაც არ ვეყრდნობი ძველი ბერძნების ფანტაზიით შექმნილ ლეგენდას იაზონების კოლხიდაში მოგზაურობისა და ოქროს მატყლოვანი ვერძის მოტაცების შესახებ. ამისათვის ჩვენ აუარებელი ისტორიული და ფაქტიური ცნობები მოგვეპოება. ძველი ისტორიკოსები მანუ, ჰეროდოტი (480—426 წ. ქრისტეს დაბადებამდე) და სტრაბონი (66 წ. ქრისტეს დაბადებამდე) ერთხმად მოწმობენ, რომ ჯერ კიდევ ძველი კოლხიდელს სცოდნია ოქროს, ვერცხლისა და რკინის დამუშავება, ის სილიდან რეცხდა ოქროს ან მადნებიდან იღებდა და წმენდავდა მას. ისტორიკოსები ერთხმად აღიარებენ კოლხიდელების სიმდიდრეს და იაზონებისა და ფრიკას კოლხიდაში მოგზაურობის ლეგენდის შექმნის მიზეზად სწორედ იმ გარემოებას აღიარებენ, რომ „კოლხიდელებს აუარებელი ოქრო და ვერცხლი ჰქონდათო“.

პლინიუსი (29—79 წელი ქრისტეს დაბადებიდან) მოგვითხრობს, რომ „კოლხების მეფე სოვტაკმა სვანების ყამირი მიწიდან დიძალი ოქრო და ვერცხლი ამოიღოვო“, ძველი იბერების მეფეები თურმე ისე მდიდრები იყვნენ ოქროთი, რომ პლუტარხის (50—120 წ. ქრისტ. დაბადებიდან) მოწმობით, იბერების (ქართველების) მეფემ რომის გამოჩენილ მთავარ სარდალს პომპეუსს, რომელიც სწორედ ამ ხანებში მიტრიდატს გამოუდგა და გზათ იბერიაში შემოიჭრა, „იბერების მეფემ გაუგზავნა სტოლი, კრავატი და ტახტი—ყველა წმინდა ოქროსაგან გაკეთებულიო“. ისტორიული ფაქტია, რომ უხსოვრის დროიდან თვით ფინიკიელები ამუშავებდენ ჩვენში სხვადასხვა მადნეულებს. ისიც ისტორიული ფაქტია, რომ არც საშუალო საუკუნოების ქართველები იჯდნენ გულ-ხელ დაკრეფილი: ისინიც სცდილობდნენ დედა-მიწის გულის გახსნას და იქიდან ოქრო-ვერცხლისა და სხვა მადნეულობის ამოღებას. აიღეთ მარი-ბროსეს რედაქციით გამოცემული მასალები: „Переписка грузинских царей с русскими государями“ და თქვენ იქ დაინახავთ, თუ როგორ იყვნენ დაინტერესებული ძველი რუსეთის მეფეები საქართველოს მადნებით, როგორ ეკვროდენ ისინი პირობით საქართველოს მეფეებს ამ მადნების სანახევროდ დასამუშავებლად.

მაგრამ რათ გვინდა ძველი ისტორიის მოწმობა, როცა დღეს ჩინებულად არის გამორკვეული ახტალისა და ალავერდის მადნების ისტორია. იქ ქარხნები დაარსებული იყვნენ 1770 წელს მეფე ირაკლი II მიერ, რომელმაც იქ სამუშაოთ დაასახლა საბერძნეთიდან გამოწვეული მადნების საქმის მცოდნე ბერძნების 800 ოჯახი. ახტალის ქარხანამ დაარსების პირველ წელსვე მისცა 480 ლიტრა—91 ფუთი და 23 გირვანქა წმინდა ვერცხლი. აქ თვითეულ ლიტრა ვერცხლიდან იღებდენ 46 მისხალ ოქროს. სპილენძის ქარხნები კი იძლეოდენ წლიურად 5—15 ათასამდე ფუთს წმინდა სპილენძს. ეს ქარხნები დაარბია 1783 წელს ომარ-ხან ავარიელმა და 1795 წელს სრულიად გაანადგურა იგი აღა-მაგომედ ხანმა. ცნობილია, რომ ახტალის ქარხანა იძლეოდა წელიწადში საშუალო რიცხვით 60—100 ფუთ ვერცხლს და იქ მუშაობდა 1000 მუშა.

ასეთი იყო საქართველოს ეს „სავალიუტო საქონელი“ ძველად. ჩვენმა ქვეყანამ ბევრი რამ დაკარგა დროთა ვითარებაში, მაგრამ ეს „საქონელი“ არავის არ გაუტაცია; ის ჯერ ისევ ისე ინახება მიწის წიაღში. თვითმპყრობელმა რუსეთმაც ვერ შესძლო მისი მოხმარა. ამ სიმდიდრეს მხოლოდ დამუშავება უნდა და ეს ხომ დღეს ჩვენთ ხელთ არის... ამას დაუმატეთ მარგანეცი, ქვა-ნახშირი, ნავთი, ხე-ტყე... და თქვენ მიიღებთ საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიურ სურათს...

ასეთია საქართველოს დამოუკიდებლობის ისტორიული, ტერიტორიალური, იურიდიული და ეკონომიური საფუძველი. ყოველი ეს აშკარად გვეუბნება, რომ თუ რომელიმე ერს აქვს ჩვენს დროში დამოუკიდებლად არსებობის უფლება, ქართველ ერსაც ვერავინ შეედავება ამ უფლებაში.

ს. ს. ს. რ. სახ. კომისარიატი საბჭ

უკანასკნელი ცნობები

პრეზიდენტის არჩევნების დამტკიცება

ბერლინი, 8 მაისი. ვოლფის სააგენტოს ცნობით არჩევნების გამომრკვევმა კომისიამ კანონიერად აღიარა ჰინდენბურგის არჩევა გერმანიის პრეზიდენტის თანამდებობაზე.

კაიოს სურს სენატში გასვლა

პარიზი, 8 მაისი. ჰავასის სააგენტოს ცნობით კაიოს სურს თავისი კანდიდატურის წამოყენება სენატში სარტის დეპარტამენტიდან სენატორ ჟიგონის ადგილზე, რომელიც სამსახურიდან გადის.

რუმინელ კომუნისტების პროცესი
პროლეტარული სიმტკიცე

ვენა. 8 მაისი. რუმინელ კომუნისტების გასამართლების მე-6 დღე ბუქარესტში დასრულდა საბრალმდებლო ოქმის კითხვით. დამცველებმა აღძრეს საკითხი, სასამართლოს არაკომპეტენტობის შესახებ, ვინაიდან საალყო წესები, რომლის ნიადაგზე სწარმოებს ეს პროცესი, 1918 წლისათვის არ არის ნამდვილი. სასამართლომ უარჰყო დამცველთა მოთხოვნილება და დაადგინა განაგრძოს საქმის გარჩევა.

ბრალდებულნი გადაჭრით უარყოფენ მათთვის მიწერილ ბრალდებებს. არისტესკუ არ სცნობს თავს დამნაშავედ უშიშროების წინააღმდეგ აგიტაციის გაწევაში.

შიმშილობის გამო ის, ნახევრად გულშეწუხებული, ეხება რუმინეთის მთავრობის ტერორს, რომელიც მიმართულია არა მარტო კერძო პირთა წინააღმდეგ, არამედ მთელ მშრომელთა კლასის წინააღმდეგ.

კომუნისტურ გაზეთის ყოფ. რედაქტორი ფაბიანი ამტკიცებს, რომ საბრალმდებლო ოქმის მტკიცება, თითქოს ის არალეგალურად რედაქტორობდა პარტიულ გაზეთს, სიყალბეა, რადგანაც იგი ამ დროს საზღვარ-გარედ იმყოფებოდა.

შენგოფის განთავისუფლება

ვენა, 9 მაისი. ვექილმა შენგოფმა, რომელიც ჩამოვიდა ვენაში, პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს განაცხადა, რომ მისი განთავისუფლება 6 დღის დაპატიმრების შემდეგ მოხდა უცხოეთის პროლეტარიატის ზედგავლენით.

შენგოფის სიტყვით, იგი დააპატიმრა რუმინეთის „ოხრანკამ" 30 აპრილს. „ოხრანკა" სცდილობდა მუქარითა და ძალადობით აეძულებია იგი, რომ მას ხელი მოეწერა განცხადებაზე, თითქოს იგი გაგზავნილი იყო ბუქარესტში, ვენაში არსებულ საბჭოთა სრულუფლებიან წარმომადგენლობის მიერ და რუმინეთში წაიღო ფულები კომუნისტური აგიტაციისათვის.

შენგოფმა აღნიშნა, რომ რუმინეთის იუსტიცია სცდილობს, რაც არ უნდა დაუჯდეს დამნაშავედ სცნოს ბრალდებული კომუნისტები.

სოფიაში მომხდარ აფეთქების საქმე
პროკურორის სიტყვა

ვენა, 9 მაისი. სასამართლოს სხდომაზე, რომელიც არჩევს სოფიის ტაძარში მომხდარ აფეთქების საქმეს პროკურორმა საბრალმდებლო სიტყვაში განაცხადა, რომ საიდუმლო კომუნისტურ ორგანიზაციების მოქმედებას უშუალო ხელმძღვანელობას უწევდა მოსკოვი. პროკურორის სიტყვით 1923 წ. სექტემბრის აჯანყების შემდეგ გლეხთა და კომუნისტთა ერთიანი ფრონტის მომხრეებმა დაადგინეს შესდგომოდენ ტერორისტულ აქტების მოწყობას, რათა სახელმწიფოში შეექმნათ სათანადო მდგომარეობა და ძალად ძირს ჩამოეგდოთ მთავრობა. სოფიის ტაძარში მომხდარი აფეთქება წარმოადგენს ერთიანი ფრონტის მომხრეთა საქმეს, რომელსაც ხელმძღვანელობდა 11 კომუნისტისაგან შემდგარი კომიტეტი.

პროკურორი სასიკვდილო განაჩენს მოითხოვს ფრიდმანისათვის, დიაკვან ზაგორსკისათვის, კოევისა და დასკალოვისათვის და 8 წლით ციხეში დაპატიმრების კამბუროვისათვის.

შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკა
ნავთსადგური ვლადივოსტოკი

ვლადივოსტოკი, 8 მაისი. 5 მაისს გაიხსნა სატრანზიტო სავაჭრო ფლოტის ნავთსადგური ვლადივოსტოკი.

ახალი იერიში
„პრავდა"-ს წერილი

მოსკოვი, 9 მაისი. „პრავდა" წერილში: „ახალი იერიში" სწერს:

„სოფიაში მომხდარ აფეთქების შემდეგ საერთაშორისო ბურჟუაზიის და მისი აგენტების მთელმა პრესამ დაიწყო შეტევა ერთის მხრივ კომინტერნის და მეორის მხრივ საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ. სოფიაში მომხდარ აჯანყების შემდეგ ბურჟუაზიული პრესა განსაკუთრებული დაჟინებით ავრცელებს ყალბ ხმებს, ცილისწამებას და ინსინუაციებს კომინტერნის და საბჭოთა მთავრობის შესახებ.

ამავე დროს ადგილი აქვს მთელ რიგ პროვოკაციულ ცდებს, რომელიც თავის თავხედობით და უაზრობით ამტკიცებს „ბურჟუაზიულ გენიის" უმწეობას.

ვარშავაში „ვოლკა ლიუდუს" რედაქციაში აფეთქდა ბომბა. პრესამ მაშინვე ასტეხა განგაში კომუნისტების წინააღმდეგ და ყველაფერი მოსკოვს გადააბრალა. მაგრამ რა აღმოჩნდა? აღმოჩნდა ის, რომ თვით პოლონეთის სოციალისტურ პარტიის აღიარებით, ბომბა აუფეთქებია მთავრობის პროვოკატორს ტროიანოვსკის, რომელიც მსახურობდა რედაქციაში „ოხრანკის" პირდაპირი დავალებით.

კოპენჰაგენის საბჭოთა წარმომადგენლობაში მიდის ორი კაცი და აცხადებს, რომ თუ მათ ჯილდოს მისცემენ, მოჰკლავენ მინისტრებს. კიდევ კარგი, რომ ჩვენმა ამხანაგებმა ქოჩრით არ გაათრიეს ეს ვაჟბატონები გარედ, არამედ გადასცეს ისინი პოლიციას. ეხლა დანიის და შვეციის პოლიცია ამტკიცებს, რომ ისინი არიან ქურდ-ბაცაცები. მაგრამ ადვილი გასაგებია და უფრო სარწმუნოა, რომ ეს „ქურდ-ბაცაცები" არა უბრალო ქურდ-ბაცაცებია, არამედ ისინი, ალბათ, როგორც ჯაშუში ტროიანოვსკიც, ასრულებდენ რაიმე „დავალებას".

ინგლისში გამოქვეყნდა „შეთქმულება" ჩემბერლენის წინააღმდეგ და იქაც მთავარ როლს ამ საქმეში აკუთვნებენ „უცხო სახელმწიფოს" და კომინტერნს.

ეს თავხედური პროვოკაციული თამაში, ეს უსირცხვილო, უსინიდისო და პირდაპირი საზიზღარი სიცრუის და ცილისწამების კამპანია აიხსნება იმით, რომ კაპიტალისტური სახელმწიფოები შეშინებული არიან ჩვენი ზრდით. სამეურნეო დარგში ჩვენ ვიზრდებით, პოლიტიკურად ვმტკიცდებით. ვალების უღელში არ ვებმებით. შინაურ უთანხმოებას ვსძლევთ. საგარეო პოლიტიკის დარგშიაც უფრო ძლიერი ვხდებით.

ყველა ეს გარემოებანი აიძულებენ ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს ახალი იერიშები მოიტანონ ჩვენს წინააღმდეგ. ამ ისტორიულ კამპანიის მიზანია ჩვენი დაშინება. მაგრამ ჩვენი პროლეტარიატი და გლეხობა მშიშრები არ არიან. გასაკვირი არ იქნება, თუ მორიგი კამპანიაც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ დამთავრდება ჩქარა იმავე დანარცხებით, როგორც ყველა წინანდელი ცდები—ძირი გამოუთხარათ პროლეტარიატის დიქტატურისათვის".

პარტიული ცხოვრება

კომკავშირის სამაზრო კონფერენციების შედეგები და ჩვენი უახლოესი ამოცანები

თითქმის ყველგან ჩატარდა ს. ა. ლ. კ. კავშირის სამაზრო კონფერენციები, რომლებმაც მოგვცეს ჩვენი ორგანიზაციების ნამდვილი სახე. მთავარი მიღწევა, რომელიც მოგვიპოვებია ამ ხნის განმავლობაში, არის გლეხური ახალგაზრდობის აქტივობის ზრდა. თვით ის ფაქტი, რომ კონფერენციების მუშაობის სადავე ხელთ ჰქონდა გლეხურ ახალგაზრდობას, ამის საუკეთესო მომასწავებელია.

კომკავშირის ხაზი, რომელიც მიმართული იყო სოფლის ახალგაზრდობის უღარიბესი ნაწილის დაპყრობისაკენ, სავსებით გამართლებული და დროული აღმოჩნდა.

დღეს სოფლად ჩვენი ორგანიზაციების რიგებში ირაზმება დიდი უმრავლესობა გლეხური ახალგაზრდობისა. ამასთან ერთად ჩვენი კავშირი თავის რიგებში თავს უყრის საშუალო გლეხურ ახალგაზრდობას და საუკეთესო ნაწილს მოსწავლე ახალგაზრდობისას. ასე რომ კომკავშირის მიერ დასმული ამოცანა მშრომელ ახალგაზრდობის დაპყრობის შესახებ, თანდათან აღწევს თავის მიზანს.

მაგრამ კომკავშირი იზრდება არა მარტო რიცხობრივად, არამედ ის იზრდება უდიდესი შემოქმედების და თვითინიციატივის საფუძვლებზედაც. ამის დამამტკიცებელი არის ის ფაქტი, რომ კონფერენციებზე გამოსული გლეხი ახალგაზრდა თავის მსჯელობის საგნად ხდიდა არა მარტო კომკავშირის საკითხებს, არამედ ჩვენი ქვეყნის საჭირბოროტო საკითხების გაშუქებასაც.

კომკავშირის სოფლად მუშაობაში მრავალი შეცდომები ჰქონდა, მაგრამ დღეს ეს შეცდომები თანდათან ისპობიან და კომკავშირი გამოდის კომპარტიასთან ერთ-ერთ მთავარ ძალად ახალი სოფლის შენების საერთო საქმეში.

მთავარი ნაკლი, რომელიც გაბატონებული იყო ჩვენს კავშირში, ეგრეთწოდებული „მიტინგოვშჩინა" დღეს თავიდან აცილებულია.

კომკავშირში ახალგაზრდა ქალთა რაოდენობაც საგრძნობლად იზრდება. თუ გასულ წელს კავშირში ირიცხებოდა წევრთა მხოლოდ 4 პროც., დღეს ქალთა რაოდენობა აღწევს 10 პროც. აღსანიშნავია ის, რომ ჩვენი რიგებისაკენ ილტვის ქალთა გლეხური მასა.

კომკავშირის ხელმძღვანელობით ბავშვთა კომუნისტურ ორგანიზაციების ქსელიც თანდათან ფართოვდება და ძლიერდება.

ამრიგად ზემოხსენებული მიღწევები იძლევიან საუკეთესო პერსპექტივებს ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდისათვის. მაგრამ ეს მიღწევები მხოლოდ დაწყებაა იმ დიდი საქმის, რომელსაც უნდა ემსახურებოდეს კომკავშირი.

როგორი უნდა იყოს ჩვენი ამოცანები ასეთ პირობებში?

1. კომკავშირმა კიდევ უფრო მეტის ენერგიით უნდა განავრცოს თავის რიგებში თავმოყრა მოჯამაგირე, ღარიბი და საშუალო გლეხების საუკეთესო ნაწილის. დღევანდელ პირობებში, როდესაც წვრილბურჟუაზიული სტიქია იზრდება, ახალგაზრდობის დაპყრობის საკითხი არის ერთი უმთავრესი და საჭირბოროტო საკითხი. აქედან უნდა გამომდინარეობდეს ჩვენი ორგანიზაციების შემდეგი ზრდა. ამასთან ერთად ჩვენ უნდა შევსძლოთ კომკავშირში დარაზმვა გლეხ-ქალების დიდი უმრავლესობის. ჩვენ კავშირში ახალგაზრდა ქალიშვილთა 10 პროც. მეტად მცირე რიცხვია. საქართველოს კომკავშირმა მომავალი ყრილობამდე უნდა შესძლოს ამ პროცენტის 25 პროც. აყვანა.

2. „პირი სოფლისაკენ"—აი რა არის დღეს მთავარი საზრუნავი საგანი როგორც კომკავშირის, ის საბჭოთა ქვეყნის ყველა სასიცოცხლო ძალების. არაა დასამალავი ის ფაქტი, რომ ზოგიერთ შემთხვევებში აქა-იქ ჩვენი კომკავშირელი ვერ უდგებოდა გლეხობას ისე, როგორც ამას მოითხოვს ლენინელი. კომკავშირმა უნდა ისწავლოს გლეხობისადმი მიდგომა, უნდა ჩასწვდეს სოფლის მაჯისცემას და წარმართოს თავისი მუშაობა იმ რიგად, როგორც ამას მოითხოვს თანამედროვე სოფელი, რადგან ამ მუშაობისაკენ მოუწოდებს დღეს კომპარტია თავის რეზერვს.

3. ჩვენმა კავშირმა უნდა შესძლოს სულ მოკლე ხანში აღმზრდელობითი მუშაობის მოწესრიგება შიგნით. ახალი ნაკადები ახალგაზრდობისა, რომელიც მოდის ჩვენ კავშირში, მაშინ იქნება გამართლებული, თუ კი მათში შევსძლებთ ღრმა აღმზრდელობითი მუშაობის წარმოებას. აღმზრდელობითი მუშაობა უნდა წარიმართოს ორი საშუალებით: შეთვისება და სწავლა იმის, რაც მუშათა კლასს თავის ბრძოლით დაუგროვებია თავის განვითარებაში და საბჭოთა ქვეყნის აღმშენებლობითი მუშაობაში აქტიური მონაწილეობის მიღებით. **არც ერთი კომკავშირელი არ უნდა დარჩეს ამ საქმიანობის გარეშე. ყველანი აქტიურად უნდა ჩაებან სოციალისტურ აღმშენებლობაში.** ეს კი უთუოდ ასწევს ინიციატივას ჩვენი ორგანიზაციის ყველა ფენებისას, რომელიც უეჭველად დასაბამია კომკავშირის შემოქმედებითი მუშაობისა.

4. დღეს, განსაკუთრებით სოფლად, შემჩნეულია, რომ კომკავშირელი დატვირთულია სხვა და სხვა საზოგადოებრივი საქმეებით და ის ნაკლებ ყურადღებას აქცევს თავის მეურნეობას. ხშირია შემთხვევები, როდესაც სოფლის კომკავშირელის მეურნეობა უფრო მოუწესრიგებელია, ვიდრე უპარტიო გლეხის. ეს მეტად ცუდი მოვლენაა. **კომკავშირელი მაშინ იქნება მაგალითის მაჩვენებელი გლეხკაცობისათვის, როდესაც ის პირველად სამაგალითოდ მოაწყობს თავის მეურნეობას.**

5. როგორც ვიცით, კოოპერაციის ქსელი თანდათან ედება ჩვენ სოფელს. დღემდე კომკავშირის მონაწილეობა ამ ორგანიზაციაში არ იყო დამაკმაყოფილებელი. მომავალ ამოცანად უნდა გავიხადოთ, რათა კომკავშირის მთელი მასსა ჩაბმული იქნეს ამ მუშაობაში. კომკავშირელთა შეგნებაში უნდა განვამტკიცოთ აზრი იმის შესახებ, თუ როგორი უდიდესი მნიშვნელობა აქვს სოციალიზმის დასამყარებლად ჩვენს ქვეყანაში კოოპერაციის განვითარების საქმეს.

აი ჩვენი კავშირის ამოცანები ამ უახლოეს პერიოდში. სამაზრო კონფერენციები მაჩვენებელია ჩვენი განმტკიცების და გამაგრების. მომავალში უფრო მეტი ენერგიით უნდა ვაწარმოთ მუშაობა, რომ კომკავშირი შეიქნას ნამდვილ ლენინურ სკოლად.

ა. კეკელია.

განათლების მუშაკთა კავშირის კომუჯრედი

ამას წინად შესდგა 1 რაიონის განათლების მუშაკთა კომუჯრედის ღია სხდომა, რომელსაც დაესწრენ როგორც უპარტიო მასწავლებლები, ისე საბავშვო სახლის აღსაზრდელებიც. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: მოხსენება გლეხობის საკითხის შესახებ კომინტერნის პლენუმზე და საანგარიშო მუშაობა კომუჯრედის ბიუროს მუშაობის შესახებ.

1-ლ საკითხზე მოხსენებას აკეთებს ამხ. დოიჯაიშვილი, რომელიც ნათლად განმარტავს გლეხთა საკითხს კომინტერნის პლენუმზე.

მოხსენების გამო მიღებული იქნა რეზოლიუცია, რომელშიაც, სხვათა შორის ნათქვამია, რომ მხოლოთ მუშათა და გლეხთა გაერთიანებული ბრძოლით შეიძლება განთავისუფლება კაპიტალის უღლიდან და ევროპაში აღვირ-ახსნილი რეაქციის საბოლოო სიკვდილი... ჩვენ, მასწავლებლობა, ჩვენის მხრივ ფიცსა ვსდებთ, რომ აღვზარდოთ და გამოვსჭედოთ ჩვენი შრომის სკოლებიდან რევოლიუციისათვის გამბრძმედილი მებრძოლნი, რომლებიც მტკიცედ და ურყევად დაიცავენ ჩვენს საბჭოთა წყობილებას და გააფთრებულ ბრძოლას აწარმოებენ საერთაშორისო იმპერიალიზმის წინააღმდეგ. გაუმარჯოს კომინტერნს და მსოფლიო სოციალისტურ რევოლიუციას.

მეორე საკითხის, ბიუროს მუშაობის ანგარიშის შესახებ გაკეთებულ მოხსენებიდან გამოირკვა, რომ დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც დაარსდა ზემოხსენებული უჯრედი. ბიუროს მთელი მუშაობა მიმართული იყო უჯრედის საერთო მუშაობის გაჯანსაღებისა და განმტკიცებისაკენ. ამ მიზნით უჯრედთან კიდეც დაარსებულ იქნა სხვა და სხვა კომისიები, რათა ყველა წევრები აქტიურად ჩაბმული ყოფილიყო პრაქტიკულ მუშაობაში.

სხვათაშორის აქ აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ უჯრედს ესწრება უპარტიო მასწავლებლობა და ახალგაზრდობა. მომავლისათვის საჭიროა უფრო მეტი, გაათკეცებული ენერგიით მუშაობა, რომ უჯრედმა სავსებით გაამართლოს თავისი არსებობა და ის დადგეს თავისი დანიშნულების სიმაღლეზე.

დასასრულ მოხდა ახალი ბიუროს არჩევა.

თებრო დოლიძე.

ოფიციალური ცნობა

ჩვენი მოსკოვში ს. ს. რ. კ. საბჭოთა ყრილობაზე გამგზავრების გამო ს. ს. ცაკის თავმჯდომარის მოვალეობის აღსრულებას — [illegible] ამხ. ლ. ქართველიშვილს, ს. ს. ცაკის მდივნის მოვალეობის აღსრულებას—ამხ. ი. ვარძიელს.

ს. ს. ცაკის თავმჯდომარე—ფ. მახარაძე
ს. ს. ცაკის მდივანი—სილ. თოდრია.

სასოფლო მეურნეობა

სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკუმი ს. გორა--ბერეჟეულში
(გურია)

სოფ. გორა-ბერეჟეული მდებარეობს დ. ჩოხატაურის მახლობლად 3—3 ნახევარ ვერსის მანძილზე, სადაც ვინმე თავად ერისთავს ჰქონებია მშვენიერი დიდი მამული. რევოლიუციის შემდეგ აღნიშნული მამული ჩამოურთმევია ხელისუფლებას ერისთავისთვის და 1924 წლის შუა ოქტომბერში იქ დაარსებულა სასოფლო-სამეურ. ტეხნიკუმი, რომელსაც გადაცემული აქვს მთელი ეს ადგილი.

მშვენიერი, ბუნებით შემკული მდებარეობა, მაღლობი ადგილი, რომელსაც ორი მხრით ჩამოუდის მდ. სუფსა და გუბაზეული, იპყრობს ყურადღებას.

აღნიშნული ადგილი შეიცავს 37 დესეტინა სახნავ მიწას ერთ ფარგალში მომწყვდეულს და აგრეთვე შესანიშნავ 1 ნახევარ დესეტინა დეკორატიულ ბაღს ძვირფასი ტროპიკული მცენარეებით.

აღნიშნული სასწავლებელი განზრახულია მთელი გურიისათვის. ძალიან ბევრი ყოფილა მსურველები, მაგრამ სასწავლებელში მიუღიათ მხოლოდ 62 მოწაფე, ამათში 11 ქალი; 67 მოწაფესთვის კი უადგილობის გამო უარი უთქვიათ. ეს ფაქტი საკმარისად ადასტურებს მას, რომ მოთხოვნილება აღნიშნული ტიპის სკოლების მეტად დიდია. სასწავლებელს აქვს მშვენიერი ფიზიკური კაბინეტი, აქვს ბიბლიოთეკა, რომელიც შეიცავს 300-მდე წიგნს, მაგრამ აღნიშნული წიგნები გარდა მცირე გამონაკლისისა რუსული გამოცემებია.

სკოლას აქვს 13 ძირი ფუტკარი, რომელსაც განაგებს მეფუტკრე სპეციალისტი 8 წლის პრაქტიკული სტაჟით, მას მეფუტკრეობის კურსები დაუმთავრებია ქ. უმანში. აქვს სამეურნეო იარაღები და მცირეოდენი ცოცხალი ინვენტარიც: 2 ხარი, 1 ცხენი და 2 კარგი ჯიშის ძროხა.

დიდ დაბრკოლებას განიცდის სასწავლებელი სათანადო შენობის უქონლობით. სასწავლებელი მოთავსებულია საცხოვრებელ სახლში, რომელიც შესდგება 10 ოთახისაგან, მაგრამ აღნიშნული ოთახები ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებენ თავის დანიშნულებას, რადგან იგი სპეციალურად საცხოვრებელ ბინად არის გაკეთებული.

სასწავლებელს არა აქვს ახლოს წყალი, რაც საჭიროა როგორც სახნავ ადგილების სარწყავად, მით უმეტეს იმ მშვენიერი ბაღისთვის, რომელიც მოითხოვს ხშირ მორწყვას.

დღიდან დაარსებისა სასწავლებელს მიუღია მხოლოდ 2.000 მან. აქედან მიწად-მოქმედების სახ. კომისარიატს მიუცია 1.000 მანეთი, სახ. განათლების კომისარიატს 600 მანეთი და ოზურგეთის სამაღმასკომს 400 მან., მაგრამ აღნიშნული თანხა ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებს მის მოთხოვნილებას.

აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, რათა აღნიშნულ სასწავლებელს მიექცეს ჯეროვანი ყურადღება, რადგან მას ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს მთელი გურიის გლეხობისათვის. მართალია, ის ბევრ ხარჯებს მოითხოვს, მაგრამ, რათაც უნდა დაჯდეს, იგი ინდა მოეწყოს კარგად, რომ მან მართლა გაამართლოს სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკუმის სახელწოდება.

საჭიროა ახალი შენობის აგება სასწავლებლისათვის და აგრეთვე წყლის გაყვანა, მაგრამ, რაც თავი და თავია, იქ უთუოდ უნდა მოეწყოს პანსიონი, თორემ ასეთი სასწავლებელი, თუ მას პანსიონი არ ექნა და იქ მხოლოდ მიმავალი მოწაფეები იქნა, თავის მიზანს ვერ მიაღწევს.

სასწავლებელს განაგებს მოქ. აბაშიძე, რომელსაც ქ. კალიფორნიაში (ამერიკა) მიუღია უმაღლესი სამეურნეო განათლება, პიროვნება მეტად ენერგიული და დაინტერესებული ხსენებული სასწავლებლის კარგად დაყენებაში. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ აღნიშნულ სასწავლებელს ჯეროვან ყურადღებას მიაქცევენ ის ორგანიზაციები და დაწესებულებანი, რომელთაც ხსენებულ სასწავლებელზე მზრუნველობის გაწევა ევალებათ.

მ. ა.

XIV

მაგრამ, სამწუხაროდ, ამა თუ იმ პატარა ერის,—ისეთი ერის, როგორიც საქართველოა,—დამოუკიდებელი არსებობის შესაძლებლობა არ გამომდინარეობს მარტო ზემოდ დასახელებული საფუძვლებიდან, ან თვითონ ამ ერის ასეთი სურვილიდან: არა მარტო პურითა ცოცხალ არს ადამიანიო,—იტყვიან და სახელმწიფოს დამოუკიდებლად არსებობისთვისაც არც მარტო მისი ეკონომიური სიმდიდრეა საკმაო. პირიქით, ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრე შეიძლება ხშირად დიდი უბედურების მიზეზიც იყოს მისი დამოუკიდებლად არსებობისთვის, თუ მას ამ სიმდიდრის დაცვა და პატრონობა არ შეუძლია, თუ მას ამისთვის საკმაო ძალა არ მოეპოვება. ძნელია, თითქმის შეუძლებელია პატარა სახელმწიფოს დამოუკიდებელი არსებობა, სანამ არსებობს იმპერიალიზმი, სანამ დიდი და ძლიერი მეზობელი სუსტი მეზობლისთვის მგელს წარმოადგენს...

ეს გარემოება ძალიან კარგად ჰქონდათ შეგნებული ჩვენში იმ დემოკრატიულ ჯგუფს, რომელმაც 70 წლებში გაზეთი „დროების" ირგვლივ მოიყარა თავი. გიორგი წერეთელი და სერგო მესხი თავგამოდებით იცავდენ კავკასიის აქეთა მხარეში სამი ადგილობრივი ერის (ქართველის, თათრებისა და სომხების) საერთო ინტერესებზე დამყარებულ ნაციონალურ იდეას. „დღეს კავკასიის აქეთა მხარის ნიადაგი სამ მკვიდრს, განათლების მიმდევარ ხალხს უჭირავს: ქართველს სომეხს და თათრის ტომებს. ეს სამტომი დღეს კავკასიის აქეთა მხარეში მკვიდრი მოსახლენი არიან. ერთმანეთის **დახმარებით აშენდებიან**, ერთმანეთის **მტრობით** კი დაიქცევიან... ჩვენ, საქართველოს ხალხს და ამათ დაწინაურებულ კაცებს ბაირაღზე ეს უნდა გვეწეროს: ერთმანეთის დახმარება, ერთმანეთის პატივისცემა, **სამივე ერისთვის ერთად ზრუნვა, ძმური კავშირი.** (იხ. „დროება", №№ 13—16, 1879 წ.) ასე სწერდა გიორგი წერეთელი, ეს იყო „დროების" პროგრამა.

ჩვენი მამების მიერ დიდი ხნის წინად წამოყენებული კავკასიის აქეთა მხარის უმთავრესი ერების სოლიდარობისა და ძმური კავშირის იდეის განხორციელება რუსეთის დიდმა რევოლიუციამ წილად არგუნა ს. ს. დ. პარტიას, რომელიც მთელი თავის ძალღონით შეეცადა შეექმნა კავკასიის აქეთა მხარის ერებისათვის საერთო საკანონმდებლო და საადმინისტრაციო ცენტრი. მათი ასეთი ცდის შედეგი იყო კავკასიის აქეთა მხარის სეიმი. მაგრამ რა შედეგი მოჰყვა ამას? კავკასიის აქეთა მხარის დემოკრატიის სამწუხაროდ და სავალალოდ სულ მალე გამოირკვა, რომ ასეთი კავშირის შექმნა მაშინ შეუძლებელი იყო. ჩვენმა სეიმმა ორ თვესაც ვერ იარსება; მალე გამოირკვა, რომ ის დაბადებიდანვე მახინჯი იყო. თავი მეტის მეტად დიდი ჰქონდა, ფეხები კი სულ არ უვარგოდა, და აბა რა გასაკვირველია, რომ ეს რევოლიუციის ერთ მზიან დღეს დაბადებული სეიმი, 47 დღის ტანჯვა-წვალების შემდეგ, 1918 წლის 26 მაისის ღრუბლიან დღეს გარდაიცვალა.

სეიმი მოკვდა. მის ალაგას სამი სხვადასხვა რესპუბლიკა წარმოიშვა. ამ პატარა ტერიტორიაზე შეიქმნა დამოუკიდებელი სახელმწიფო. ეს ახალი სახელმწიფოები აღიჭურვენ სახელმწიფოსთვის აუცილებელი ატრიბუტებით: პარლამენტით, შეიარაღებული ძალებით, დიპლომატიით... სამივე რესპუბლიკა აღიჭურვა, მაგრამ, სამწუხაროდ, ერთი საზოგადო მტრის წინააღმდეგ კი არა, ერთმანეთის წინააღმდეგ, მხოლოდ ერთმანეთს დაერივნენ. ატყდა მათ შორის ომები და აურზაური და ანტანტასაც მეტი და უნდოდა? მან თავისი მგლური კბილები დროებით მიმალა და ამ რესპუბლიკების მსაჯულისა და არბიტრის როლში გამობრძანდა. გაჩნდა ამ რესპუბლიკათა შორის ნეიტრალური ზონები, რაც იმას მოასწავებდა, რომ ამ რესპუბლიკათა პოლიტიკის ხელმძღვანელები ჯერ იმდენად ვერ მომწიფებულიყვნენ, რომ ერთმანეთის მტრობის მაგიერად ერთმანეთისათვის ხელი მიეცათ, თავისი საქმეები თვითონ თავისი საკუთარის ძალღონით მეზობლურად და ძმურად მოეგვარებიათ და მოსისხლე მტრებს მოსაშუალეობა და ვექილობა არ დასჭირდებოდათ. მაგრამ უბედურებაც იმაში იყო, რომ ამ ახალ გაჩენილ დამოუკიდებელ რესპუბლიკებს, რაკი შეიარაღებული ძალები კი მოეპოვებოდათ, ბრძოლის ველზე გამოცდა უნდა დაეჭირათ და ამისათვის ერთმანეთს დაერივნენ. თვითოეულმა მოინდომა კავკასიის აქეთა მხარეში ჰეგემონიის როლის თამაში და ეს კი უსისხლოდ და უომრად არ შეიძლებოდა. დიდი უბედურებაა საზოგადოთ მებრძოლი ნაციონალიზმი, მაგრამ ყველაზე უფრო დიდი უბედურებაა პატარა სახელმწიფოების მებრძოლი ნაციონალიზმი. თუ დიდი სახელმწიფო [illegible] მიზნებს [illegible] მოფიქრებულად, უფრო დინჯად და, თუ გნებავთ, გონიერად ახორციელებს, პატარა სახელმწიფოების მოქმედებაში ყოველთვის გრძნობა სჭარბობს. ამათ არც საზომი აქვთ, არც სასწორი.

რა თქმა უნდა, ამ საქმეში ერთობ თვალსაჩინო როლი ითამაშეს ანტანტის ადგილობრივმა წარმომადგენლებმა, რადგანაც მათთვის არ იყო მაინცა და მაინც სასურველი კავკასიის აქეთა მხარის ყველა ერების ძმური კავშირი, მათი ერთ გუმბათ ქვეშ თავის მოყრა. ჩვენ კარგად გვახსოვს, თუ როგორ მოაწყეს ანტანტის წარმომადგენლებმა სომხეთსა და საქართველოს შორის სისხლისღვრა. ჩვენ ყველამ დავინახეთ, რომ ანტანტის ადგილობრივი წარმომადგენლები თავისი აქ მოვლინების პირველ დღიდანვე შეეცადენ კავკასიის უმთავრესი ერების ერთმანეთზე გადაკიდება. ანტანტა ყოველ ღონეს ხმარობდა გამოეწვია მათ შორის უკმაყოფილება და სისხლისღვრა და მით მიზეზი ეშოვნა ამ რესპუბლიკების შინაურ საქმეებში ჩასარევათ, მათ დასამონებლად. მარტო საფრანგეთის წარმომადგენელი პოლკოვნიკი ცნობილი შარდინიეს როლის მოგონება რადა ღირს! მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ და სავალალოდ უნდა აღვიაროთ, რომ ანტანტამ თვით აქ, ჩვენში, მონახა ჩინებული ნიადაგი თავისი ვერაგული პოლიტიკის საწარმოებლად.

XV

ამ უბედურების კიდევ ერთი ძირი მიზეზი იყო ერთის მხრით სათათრეთისა და სომხეთის შორის მუდმივი მტრობა, რომელსაც კიდევ მეტი საზრდო მისცა დაშნაკელების მოღალატეობრივმა პოლიტიკამ; მეორეს მხრით ის, რომ ადერბეიჯანი, რომელსაც ერთი სარწმუნოება აქვს სათათრეთთან, რასაც მუსულმანებისთვის ჯერჯერობით გადამჭრელი მნიშვნელობა აქვს, ყოველთვის იხრებოდა სათათრეთისაკენ. ამ სარწმუნოებით ნათესაურ კავშირს თავისთავად სულაც რომ არ ჰქონოდა არავითარი მნიშვნელობა, ამ ქვეყნის უმაღლესი წოდება მაინც გაიღვივებდა იმას, მაინც გამოიყენებდა იმას თავის კლასობრივი მიზნებისათვის, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ რაც შეიძლება უფრო შორს გაქცეოდა რევოლიუციონურ რუსეთს და ყველაზე უფრო ჩამორჩენილ სახელმწიფო სათათრეთისათვის თავი შეეფარებინა. ამ წოდებამ კარგად იცოდა, რომ სათათრეთთან ერთად ის უფლებებს და [illegible] შეინარჩუნებდა თავის კლასობრივ პრივილეგიებს, რასაც რუსეთში ახლავე ემუქრებოდა დიდი რევოლიუცია.

სომხეთი, ეს ოდესღაც დიდი და კულტუროსანი სომხეთი, რომელიც ისტორიის ბრმა კანონს დღეს სათათრეთის მხოლოდ რამდენიმე ვილაიეტად გადაუქცევია, რაკი ვერ პოულობს ევროპისაკენ გასავალ გზას, მან ძალაუნებურად სხვა მხრისაკენ უნდა იბრუნოს პირი, ის ძალა-უნებურად იძულებულია რუსეთისაკენ გაიწიოს, მისი მეგობრობა და მფარველობა ეძებოს. ეს ქვეყანა სრულიად ობიექტიურად იყო იძულებული მოქცეულიყო ასე მთელი თავისი გრძელი ისტორიის განმავლობაში და განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ბიზანტიის ალაგას სათათრეთი გაბატონდა და სომხეთს განვითარების ყოველივე საშუალება წაერთო.

შეიძლება მიბრძანოთ: თუ სომხეთის მდგომარეობა ასეთია, მან ხომ კარგად იცის, რომ ტერიტორიალურად მასთან საქართველო უფრო ახლოა ვიდრე რუსეთი; ამ ორ ერს ისტორიულადა და კულტურულადაც უფრო დიდი ნათესაური კავშირი აქვთ, ვიდრე რუსებსა და სომხებს. ამიტომ სომხეთი ძალაუნებურად უნდა ცდილიყო საქართველოსთან კავშირს. ამ ორ ერს ხომ შეეძლოთ შექმნათ ორთა კავშირი და საერთო ძალით თვისი არსებობის დაცვაო.

სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა და იცით რატომ? პირველად იმიტომ, რომ აქ ერთმანეთს დაუპირდაპირდა ორი მებრძოლი ნაციონალიზმი: სომხური დაშნაკური და ქართული—მენშევიკური. ამას მოჰყვა ამ ორ ერში განხეთქილება და სისხლის ღვრა. მაგრამ ესეც რომ არ ყოფილიყო, ეს ორთა კავშირი მაინც შეუძლებელი იქნებოდა და აი რა მიზეზით.

ფსიხოლოგიური და თუ გნებავთ პოლიტიკური კანონია, რომ ყოველი სუსტი, კერძო ადამიანია იგი თუ მთელი სახელმწიფო, სცდილობს მეგობრად, მფარველად, დამცველად გაიჩინოს რაც შეიძლება უფრო დიდი, მდიდარი და ძლიერი მეზობელი. აშკარაა, რომ გლეხს ბატონი არ უყვარდა, რომ მას თავისუფლად და სრულიად დამოუკიდებელი ცხოვრება სურდა. მაგრამ რა კი ეს მოუხერხებელი ხდებოდა, რაკი ის იძულებული იყო ვინმე მფარველი ეძებნა, ის სცდილობდა რაც შეიძლებოდა უფრო დიდი მებატონისთვის შეეფარებია თავი; თუნდაც ეს მებატონე თვით იოვანე მრისხანე ყოფილიყო გლეხი მაინც არ მოშორდებოდა მას და უფრო სუსტსა და უძლურ მებატონესთან არ გადავიდოდა, თუნდაც ეს უკანასკნელი უფრო ლმობიერი და გულკეთილი ყოფილიყო. ასეთსავე მოვლენას ვხედავთ სხვა და სხვა ერებისა და სახელმწიფოთა ურთიერთ დამოკიდებულებაში. სომხეთსაც, რა თქმა უნდა, მუდამ სურდა და დღესაც სურს თავისი დამოუკიდებლობის შენარჩუნება, ტყუილად კი არ ულვრია მას სისხლი ათასის წლობით თავისი ეროვნული სახისა და ტერიტორიის შესანარჩუნებლად! რა თქმა უნდა მას სურს დამოუკიდებელი არსებობა, მაგრამ მხოლოდ იმ პირობით თუ მას ამის შესაძლებლობას არ მოუსპობენ, თუ მას თუ არა მის ისტორიულ, ფაქტიურ ტერიტორიას მაინც დაანებებენ, თუ მასაც აღირსებენ ზღვის ჰაერით სუნთქვას, თუ მას მოაშორებენ გულზე მიბჯენილ ხანჯალს.

მაგრამ თუ მას ამ პირობებს არ შეუსრულებენ, ის ძალაუნებურად ხდება იძულებული ვინმე მეზობლის მფარველობა ეძებოს, მაგრამ მიმართოს ისეთი მეზობლის მფარველობას, რომელსაც მართლა შეეძლოს ამ დევნილი და განაწამები ერის დახმარება და მფარველობა. სომხეთისათვის სულ ერთია საქართველო იქნება ასეთი მეზობელი თუ ვინმე სხვა, მხოლოდ ძლიერი კი იყოს იგი. და რაკი სომხეთმა იცის, რომ საქართველო ასეთ დიდ ძალას ვერ წარმოადგენს, ისიც გვერდს უვლის მას და ხელს უწოდებს დიდსა და ძლიერ რუსეთს... და დაშნაკების სომხეთი ისევე მართალი იყო, როცა ის ხელს თვითმპყრობელ რუსეთისაკენ იშვერდა, როგორც მართალია დღევანდელი სომხეთი, რომელიც გრძნობს, რომ მას კომუნისტური რუსეთის უმისოთ არსებობა არ შეუძლია.

სომხეთის რუსეთისაკენ ასეთი ლტოლვილება იმდენად ბუნებრივია, რომ მისი მნიშვნელობა ჩინებულად ჰქონდა შეგნებული რუსეთის ისეთ ჰკუაზე მწყრალად მყოფ მონარხს, როგორიც იყო პავლე I, რომელიც თავის ინსტრუქციებში გენერალ კნორინგს უბრძანებდა: სომხების გული მოიგე და ჩვენი საქმე კარგად იქნებაო („Ищите Армению интересовать к сближению для торгу и торгом, дабы канал иметь через них и далее". იხ. Н. Дубровин. „Георгий XII" გვ. 186). სომხეთის რუსეთთან ასეთი კავშირის დიდი მნიშვნელობა ჩინებულად ჰქონდა შეგნებული სომხეთის კათალიკოსს იოსებ არღუთინსკის, რომელიც სწორედ იმ დროს, როცა იმავე გენერალი კნორინგის განკარგულებით თბილისის მცხოვრებელ ქართველებს ზარბაზნებითა და ჯარებით ალყაშემორტყმულ სიონის ტაძარში ძალით ერეკებოდენ პავლე პირველის ერთგულებაზე ფიცის მისაღებად (იხ. Н. Дубровин „Закавказье" 1803—1806 г., გვ. 83),—აი ასეთ დროს სომხების კათოლიკოსი დღესასწაულებრივად მორთულ ეპისკოპოსებითა და მთელ სამღვდელოების თანხლებით ქუჩაში მუხლებს იყრიდა პავლე I პორტრეტის წინ და წინასწარმეტყველურის ექსტაზით შეღაღადებდა თავის „სამწყსოს": „აი ჩვენი ხსნის დღე! აი დღე ჩვენი ბედნიერებისა, რომელსაც მივყევართ ჩვენ ნამდვილ სიტკბოებასა და მყუდრო ცხოვრებაში; აი დღე ჩვენი კეთილი ხვედრის გაძლიერებისა! დღე, რომელსაც ვერ მოესწრნენ ჩვენი წინაპრები! (Н. Дубровин. „Георгий XII", 200).

ასეთია ის პირობები, რომელიც სომხეთს რუსეთის ორიენტაციას უკარნახებს.

ახლა თქვენ წარმოიდგინეთ საქართველოს რესპუბლიკის მდგომარეობა, იმ საქართველოს მდგომარეობა, რომელიც ნ. ჟორდანიას ძველ, მის მიერ ახლა უკვე უარყოფილ რეცეპტის მიხედვით უნდა იდგეს ერთ ადგილზე და არც აქეთ, არც იქით არ უნდა იხედებოდეს! ადერბეიჯანი მუდამ სათათრეთისაკენ იყურებოდა, სომხეთი დიდი და ძლიერი რუსეთისაკენ, რადგანაც მან ათასის წლობის გამოცდილებით ჩინებულად იცის, რომ მრავლათ პატარა და სუსტი საქართველო მას ფიზიკურად მოსპობისაგან ვერ იხსნის, რადგანაც მან გამოცდილებით იცის, რომ საქართველო ვერ მოაშორებს მას გულზე მიბჯენილ ხანჯალს, ვერც ზღვისკენ გასავალს ვერ მისცემს, ვერც სათათრეთთან მის მორიგებას ვერ შესძლებს. აბა რათ უნდა ასეთი მფარველი და, თუ გნებავთ, მოკავშირე. ყოველი ეს უნდა იკისროს რომელიმე დიდმა და ძლიერმა სახელმწიფომ, რომელსაც ყველა მორიდება, რომლის ავტორიტეტსაც ყველა უჯერის, იმიტომ, რომ ძლიერია და კარგად იციან, რომ თუ მას სიტყვას არ დაუჯერებენ, ის ძალით დააჯერებს. ასეთი დიდი სახელმწიფო რუსეთია, დაშნაკელების სომხეთისათვის ერთმორწმუნე, ქრისტეს მიერ ძმა რუსეთი, კომუნისტური სომხეთისათვის კი — სოციალიზმის მიერ ძმად აღიარებული რუსეთი.

ახლა ვიფიქროთ, რომ საქართველომ მიიღო დიდი ნაპოლეონის პოზა და გულზე ხელდაკრეფილი შესდგა თავისი საკუთარის ძალის მოიმედე, მან არც აქეთ მოიხედა, არც იქეთ. მერე რა მდგომარეობაში ვარდება იგი? ის რჩება მარტოთ მარტო, უმეგობროდ, უკავშიროთ, დაუხმარებლად, რჩება მარტო თვისი სუსტი ძალღონის შემყურე.

შესაძლებელია ასეთი სახელმწიფოს არსებობა? ჩვენის აზრით, არა; ასეთ ერს არ შეუძლია დამოუკიდებელი არსებობა. ასეთი საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებელი არსებობა შეუძლებელი იქნებოდა მაშინაც კი ის რომ სახარის უდაბნოში ან ტუნდრებში გაეჩინა ბუნებას და არა იმ ტერიტორიაზე, რომელზეც დღეს ის მოსახლეობს.

ამ შემთხვევაში ჩვენ არასოდეს არ უნდა დაგვავიწყდეს ერთი თავი და თავი გარემოება. ჩვენ არასოდეს არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ, ჩვენდა საუბედუროდ, საქართველო მოსახლეობს ისეთ ტერიტორიაზე, რომელიც წარმოადგენს აზიისა და ევროპის შემაერთებელ გზას. ეს ტერიტორია ყველა დიდ სახელმწიფოს ესაჭიროება, ყველა დიდ სახელმწიფოს ეჭირა მასზე თვალი უხსოვარის დროიდან.

ამ მხრით ჩვენ უფრო ბედნიერები და, ალბათ, ამიტომაც უფრო უბედურები ვართ, ვიდრე სათათრეთი, რომელსაც ხელთ უპყრია დარდანელის სრუტეები. ეს სრუტეები იყო მიზეზი ბიზანტიის სამუდამოთ დაღუპვისა, იგივე სრუტეებია ოტტომანის იმპერიის დაღუპვის მთავარი მიზეზი. საქართველოს ასეთივე სიმდიდრე, მისი ასეთი გეოგრაფიული მდგომარეობა იყო ამ ქვეყნის უთვალავ უბედურებათა მიზეზი მისი საისტორიო ასპარეზზე გამოსვლის პირველ დღიდანვე. სწორედ ამიტომ ეხეთქებოდა ერთმანეთს აზია და ევროპა, სპარსეთი და ბიზანტია. მაგრამ საქართველოს მდგომარეობა კიდევ უფრო აუტანელი იყო, ვიდრე დარდანელის სრუტეების მფლობელი სათათრეთის მდგომარეობა. და ეს არა იმიტომ, რომ ოტტომანების სახელმწიფო საქართველოზე უფრო ძლიერი იყო, რომ მას უფრო მეტი ჯარი ჰყავდა. არა; ჩვენ უფრო იმით ვიყავით უდიდეს უბედურებაში, რომ ჩვენი ქვეყანა, რომელიც ევროპისა და აზიის შემაერთებელ ხმელ „სრუტეს" წარმოადგენს, კიდევ უფრო ესაჭიროებოდა დიდ სახელმწიფოებს, ვიდრე დარდანელის სრუტეები.

რაკი ამაზე ლაპარაკი გვიხდება, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ გარემოებასაც ჰქონდა ერთი დადებითი მნიშვნელობა, თუ დღეს საქართველო და სომხეთი კიდევ არსებობენ, თუ ისინი ათასის წლობით ომებსა და სისხლის ღვრაში სულ არ მოისპნენ, თუ მათ თავისი ტერიტორია შერჩათ,—საქართველოს მაინც,—ეს **არა მარტო** იმიტომ, რომ ეს ერები დიდი მებრძოლები იყვნენ; ამის მიზეზი ისიც უნდა ყოფილიყო, რომ ის ორი ერთიმეორის მოწინააღმდეგე ძალა, რომელიც სომხეთისა და საქართველოს ტერიტორიაზე ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ ეხეთქებოდენ, ერთისა და იმავე ძლიერების გამოდგა. ისინი ერთმანეთს არ უთმობდენ ამ მათთვის უსაჭიროეს გზას და იმავე დროს ვერც ერთმანეთს ერეოდენ სამუდამოთ. ამიტომ ისინი ისევ იმას ამჯობინებდენ, რომ ეს მათი ბრძოლის საგანი—ტერიტორია დროებით ისევ პატარა და უძლურ სახელმწიფოს ხელში დაეტოვებიათ და თვითონ კი უფრო მოხერხებული დრო ჩაეგდოთ ხელში თავისი ძლიერი მოქიშპეს დასათრგუნავად. ამ შემთხვევაში სრულიად ბუნებრივ მოვლენას ჰქონდა ადგილი. არაფერი არ არის იმაზე ადვილი, როგორც სანთლის სუსტი ალის სულის წაბერვით გაქრობა. მაგრამ თუ სანთელს ერთსა და იმავე დროს თანასწორი ძალით ორი სხვადასხვა მხრიდან უბერვენ, მისი ჩაქრობა შეუძლებელია. ასეთ მოვლენას უნდა ჰქონოდა ალაგი სომხეთისა და საქართველოს ისტორიაში. ასეთ მოვლენას ჰქონდა ადგილი ოტტომანიის სახელმწიფოს ისტორიაშიც. დარდანელზე დაპატრონებას რომელი დიდი სახელმწიფო არ სცდილობდა. თვითოეული მათგანი სულ ადვილად დასძლევდა სათათრეთს და თავის სურვილს შეასრულებდა. მაგრამ ყველა დიდი სახელმწიფოები ერთმანეთს ხელს უშლიდენ ამაში, გაჭირვების დროს დარდანელის სრუტეების ისევ შედარებით სუსტი სათათრეთის ხელში დატოვებას ამჯობინებდენ, ვიდრე მისი რომელიმე დიდი სახელმწიფოს ხელში გადასვლას. ამ მიზეზით ვერ შეასრულა ძველმა რუსეთმა თავისი ისტორიული სურვილი „ცარგრადის დაპყრობის" შესახებ. ამ მიზეზით დარჩნ ცოცხალი და შერჩნ თავის ტერიტორიებს სომხები და ქართველები.

ყარიბი.

(გაგრძელება იქნება).

საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოებთან დაკავშირების შესახებ

საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების კომისიების, მათი მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოებთან დაკავშირების და საწარმოო თათბირების შესახებ

პროფკავშირების მასიური ეკონომიური მუშაობის გაძლიერება და მუშათა და გლეხთა ინსპექციის და პროფკავშირების შეერთებული აქტიური დახმარება ამ მუშაობაში მათ გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს შრომის ნაყოფიერების გადიდების, ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარების და წარმოების გაუმჯობესების საქმეში; ამ შეერთებული მუშაობის და ურთიერთ დახმარების წყალობით შექმნილი იქნება ისეთი პირობები, როდესაც შესაძლებელი იქნება წარმოებაში მომუშავე მუშების ყოველდღიური და კულტურული ცხოვრების გაუმჯობესება.

ჩვენი მრეწველობის სისუსტისა და მისი ერთგვარი ჩამორჩენილობის გამო, ამიერ-კავკასიის სინამდვილის პირობებში ამ მუშაობას კიდევ უფრო მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ პროფკავშირებმა, სამეურნეო ორგანიზაციებმა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოებმა.

ამიერ-კავკასიის საოლქო საკონტროლო კომისიის ქვემოთ მოყვანილი ღონისძიებები წარმოების სფეროში, ცირკულიარი, რომელიც შეთანხმებულია ადგილობრივ პირობებთან, და სადირექტივო მასალები მიღებული უნდა იქნეს სახელმძღვანელოთ საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების ყველა კომისიების და საწარმოო თათბირების მუშაობის პრაქტიკული გამოცოცხლების საქმეში.

განზოგადოებული უნდა იქნეს მათი მოღვაწეობის შემდგომი გაშუქება პრესის ფურცლებზე და წაქეზებული უნდა იქნეს ამ სფეროში მიღწეული შედეგები, რითაც ნამდვილათ განხორციელდება პროფკავშირების სწორი მონაწილეობა წარმოებაში.

ნ. ლეჟავა.

ყველა საკონტროლო კომისიებს, მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოებს და პროფორგანიზაციებს

მუშათა კლასის პირდაპირ დაინტერესებას ჩვენი მეურნეობის წარმატებითი განვითარებით მივყევართ იქითკენ, რომ მუშათა ფართო მასები აძლიერებენ ინტერესს და ყურადღებას ორგანიზაციულ-სამეურნეო მოთხოვნილებებისადმი.

უკანასკნელი დროის განმავლობაში ცხოვრებამ იმდენათ ძლიერათ წამოაყენა პროფკავშირების და, კერძოთ, საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების წინაშე აუცილებლობა რაც შეიძლება მეტი მუშები იქნენ ჩაბმული პრაქტიკული სამეურნეო აღმშენებლობის საქმეში, რომ საჭიროა პროფესიონალური ორგანიზაციების გაძლიერებული დახმარება სახელმწიფო და ადგილობრივი აპარატების გაუმჯობესების საქმეში.

სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურმა საბჭომ და ს. მ. უ. ს. სპეციალურ წერილში აღნიშნის ის თემები, რომლებშიაც უნდა ჩამოყალიბდეს კავშირების ორგანიზაციული მონაწილეობა სამეურნეო აღმშენებლობაში. მუშაობის სიმძიმის ცენტრი მოთავსებულია კავშირების ქვედა საფეხურის უჯრედებში, საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებში. ამასთანავე უკანასკნელი დროის განმავლობაში ფაბრიკებში და ქარხნებში შეიქმნა მთელი რიგი ორგანიზაციები, როგორიც არის: საწარმოო თათბირები, საცეხო კომისიები, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის უჯრედები, ლიგა „დრო"-ის უჯრედები და სხვა. ამ ორგანიზაციების მოღვაწეობა არ არის საკმაოთ გაერთიანებული და არ იძლევა საჭირო ნაყოფს. ვ. ი. ლენინის მითითების მიხედვით გარდაქმნილი მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატი კი, რომელიც უპირველეს ყოვლისა მიზნათ ისახავს ჩვენი სახელმწიფო და სამეურნეო აპარატის გაუმჯობესებას, საჭიროებს, რომ პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა და, უპირველეს ყოვლისა, მსხვილი წარმოებების საქარხნო კომიტეტებმა დახმარება გაუწიონ მას ჩვენი მუშაობის ნაკლულევანებათა გამორკვევაში და იმ ღონისძიებათა გატარებაში, რომლებიც მიმართულია წარმოების გაუმჯობესებისაკენ.

ამ მხრივ მუშათა და გლეხთა ინსპექციის წინაშე სდგას ამოცანა გააძლიეროს დახმარების გაწევა პროფკავშირებისათვის და, პირველ რიგში, საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებისათვის მათი იმ ძირითადი ფუნქციების შესრულების საქმეში, რომლებიც დაკავშირებულია წარმოების ცხოვრების ყველა მხარეებთან; მათ დახმარება უნდა გაეწიოს მუშების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების სფეროში, ყოფა-ცხოვრების, წარმოების, კულტურულ განმანათლებელი მუშაობის გაუმჯობესების და სხვა სფეროებში. მეორეს მხრივ, საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტები ხელს უწყობენ მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოებს ყველა იმ დაწესებულებების გამოკვლევის საქმეში, რომლებიც დაკავშირებულია მუშების ცხოვრებასთან და რომლებიც მოთავსებულია ამა თუ იმ წარმოების რაიონში.

ამიტომ ამიერ-კავკასიის პროფკავშირთა საბჭოს და ა|კ. ს. ფ. ს. რ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატი საჭიროთ სთვლიან:

1. საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებთან არსებულ კომისიების გარდა (კულტურული და სხვა კომისიები) მსხვილ წარმოებებში შეიძლება შექმნილი იქნეს კომისიები: ა) წარმოების, ბ) ვაჭრობის, გ) საბინაო აღმშენებლობის და დ) გასაღების სფეროებში. ეს კომისიები, როგორც წარმოებებში არსებული შრომის დაცვის კომისიებიც, თავისი მიმდინარე მუშაობის შესრულებასთან ერთად იღებენ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სპეციალურ დავალებებს.

შენიშვნა: მუშათა და გლეხთა ინსპექციის ხელის შემწყობი უჯრედები, რომლებიც არსებობენ წარმოებებში და სახელმწიფო და სამეურნეო დაწესებულებებში, საბოლოოთ გაუქმებულია.

2. კომისიებს ჰქმნიან საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტები შემდეგი წესით: 3—5 ამხანაგი, რომლებიც ძირითად ჯგუფს შეადგენენ, შეიძლება არჩეული იქნენ საერთო ან სადელეგატო კრებაზე. კომისიის მუშაკების ეს ძირითადი ჯგუფი შემდეგ შევსებული უნდა იქნეს ნებაყოფლობითი მუშაობის და აგრეთვე საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტის მიერ კომისიის შემადგენლობაში რამოდენიმე ამხანაგის გაგზავნის ნიადაგზე.

კომისია მუშაობს საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტის ხელმძღვანელობით, რომელსაც ანხორციელებენ საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტის ერთ-ერთი წევრი ანდა წარმომადგენლები.

3. სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესების მიზნით კომისიები შეიძლება დაარსდეს დაწესებულებებშიც ადგილკომებთან. ამასთანავე როგორც წარმოებებში, ისე დაწესებულებებშიც მუშაობის ამ ნაწილს ხელმძღვანელობას უწევენ მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოები.

4. წარმოების კომისიის ამოცანაა საწარმოო დაწესებულების საწარმოო-სამეურნეო და ადმინისტრატიული მოღვაწეობის დადებითი და უარყოფითი მხარეების შესწავლა, ხელმძღვანელობის გაწევა საწარმოო თათბირებისათვის და საქმის გაუმჯობესებისაკენ მიმართულ კონკრეტიული წინადადებების დამუშავება.

შენიშვნა: შრომის მეცნიერული ორგანიზაციის კომისიები, ლიგა „დრო"-ის უჯრედები და სხვა, რომლებსაც ასეთივე მიზნები აქვთ დასახული, უერთდებიან საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებთან არსებულ საწარმოო კომისიებს.

5. საწარმოო კომისიის ყველა კონკრეტიული წინადადებები (მათ გატარებამდი) დამტკიცებული უნდა იქნეს საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტის მიერ.

წარმოების ხელმძღვანელმა ყოველის მხრივ უნდა გამოიყენოს საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტის დახმარება საწარმოო-სამეურნეო და ადმინისტრატიული მუშაობის გასაუმჯობესებლად და უნდა მისცეს მას ყველა საჭირო მასალები, ცნობები, ანგარიშები და განმარტებები.

6. საწარმოო კომისიას, როგორც საქარხნო კომიტეტსაც, არა აქვს უშუალო და ადმინისტრატიული უფლებები. იმ შემთხვევაში, თუ წარმოების ანდა დაწესებულების ხელმძღვანელი უარყოფს საქარხნო კომიტეტის მიერ წამოყენებულ ღონისძიებებს, რომელთა მიზანია ორგანიზაციულ-სამეურნეო და ადმინისტრატიული მუშაობის გაუმჯობესება, მაშინ საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებმა დახმარებისათვის უნდა მიმართონ პროფესიონალური ორგანიზაციების უმაღლეს ორგანოებს და მუშათა და გლეხთა ინსპექციას.

7. სავაჭრო კომისიის ამოცანაა ყოველმხრივი დახმარების გაწევა კოოპერატიული აპარატის გაუმჯობესების საქმისათვის იმ მიზნით, რომ კოოპერაციამ რაც შეიძლება სრულათ დააკმაყოფილოს კოოპერაციაში ჩაბმული მასების მოთხოვნილებები, და აგრეთვე თვალყურის დევნება იმისათვის, რომ სახელმწიფო, კოოპერატიულმა და კერძო სავაჭრო ორგანიზაციებმა შეასრულონ ვაჭრობის მომწესრიგებელი ორგანოების დადგენილებები. ამას გარდა, კომისიამ თვალყური უნდა ადევნოს კოოპერატივის და ამა თუ იმ წარმოების მუშების მუშაობის და მუშათა კრედიტის საქმის განვითარებას და გაუმჯობესებას. ასეთი დახმარების და მეთვალყურეობის კონკრეტიულ ფორმებს განსაზღვრავს სპეციალური ინსტრუქცია, რომელსაც ადგენს ა|კ. ს. ფ. ს. რ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატი ამიერ-კავკასიის პროფკავშირთა საბჭოსთან ერთად.

8. საბინაო და ყოფა-ცხოვრების კომისიის ამოცანაა ამა თუ იმ წარმოების მუშებისათვის დახმარების გაწევა ბინების მოწყობით, სანიტარული პირობების დაცვა, კონტროლის გაწევა საბინაო სივრცის სწორათ განაწილებისათვის მახლობელ რაიონში რაიონულ საბჭოსთან შეთანხმებით; მუშების ჩაბმა მუშათა საბინაო კოოპერატივებში და საბინაო ამხანაგობებში, და აგრეთვე ზომების მიღება იმისათვის, რომ რაც შეიძლება უკეთესათ და სრულათ იქნეს დაკმაყოფილებული მუშების კომუნალური მოთხოვნილებები (სასადილოები, სამრეცხაოები).

9. შრომის დაცვის კომისიის ამოცანაა, თავისი მიმდინარე მუშაობის გარდა, თვალყური ადევნოს ჯანმრთელობის დაცვის საქმის სწორათ დაყენების (საბავშვო სახლები, ბავშვთა ბაგეები, დედობის და ბავშვობის დაცვის სახლები, სამშობიარო სახლები, სამკურნალოები და სხვა, რომლებიც დაკავშირებულია წარმოებასთან, მათ სანიტარულ მდგომარეობასთან), და აგრეთვე სოციალური დაზღვევის საქმის სწორათ დაყენებას.

10. ა|კ. ს. ფ. ს. რ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს ამიერ-კავკასიის პროფკავშირთა საბჭოსთან და სათანადო სახალხო კომისარიატებთან შეთანხმებით ეკისრება შეიმუშავოს საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებთან არსებულ საწარმოო, სავაჭრო და სხვა კომისიების მუშაობის პროგრამა.

11. საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტები მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის ორგანოებს პერიოდულათ აუწყებენ მათ მიერ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის სპეციალური დავალებების შესრულებას.

12. საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტები მოვალე არიან კომისიის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთონ წარმოების საერთო სადელეგატო კრებაზე.

13. კომისიის წევრები არ თავისუფლდებიან წარმოებაში მუშაობისაგან და არ იღებენ განსაკუთრებულ ჯილდოს.

შენიშვნა: განსაკუთრებულ შემთხვევებში მუშათა და გლეხთა ინსპექციის მოთხოვნით კომისიის წევრები თავისუფლდებიან წარმოებაში მუშაობისაგან მუშათა და გლეხთა ინსპექციის სპეციალური დავალებების შესასრულებლათ. ამ შემთხვევაში წარმოებები არ იხდიან გაცდენილი დროის ხელფასს, კომისიის წევრებს ჯილდოს აძლევს მუშათა და გლეხთა ინსპექცია კომისიის ამა თუ იმ წევრის საშუალო თვიური ხელფასის მიხედვით.

14. რ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისიის 1925 წლის 24 იანვრის დადგენილების თანახმად, იმ მიზნით, რომ განვითარებული და შევსებული იქნეს ეს ცირკულიარი, და აგრეთვე სისწორით განსაზღვრული იქნეს პროფკავშირების და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოების ფუნქციები იმ მუშაობაში, რომლის მიზანია ხელმძღვანელობის გაწევა და მიმართულების მიცემა პროფკავშირების ქვედა საფეხურის ორგანოების ეკონომიური მუშაობისათვის, საჭიროა სახელმძღვანელოთ მიღებული იქნეს შემდეგი ინსტრუქცია:

1) საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების კომისიების მუშაობას უშუალო ხელმძღვანელობა უნდა გაუწიონ პროფკავშირებმა. საკონტროლო კომისიებმა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოებმა მხოლოდ დახმარება უნდა გაუწიონ პროფკავშირების ქვედა საფეხურის ორგანოების ეკონომიურ მუშაობას. საკონტროლო კომისიების და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოების ყველა ღონისძიებები მასიური ეკონომიური მუშაობის სფეროში შეთანხმებული უნდა იქნეს პროფკავშირების ორგანოებთან და უნდა გატარდეს მათი საშუალებით.

2) მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოებმა პროფკავშირებს დახმარება უნდა გაუწიონ შემდეგ საქმეში:

ა) კომისიების მოწყობა საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებთან;

ბ) ამ მუშაობის მოგვარება ისე, რომ მას გეგმაშეწონილი და სისტემატიური ხასიათი მიეცეს; ეს მუშაობა ქარხნის მმართველობის შემწეობით დაკავშირებული უნდა იქნეს წარმოების ნორმალური ორგანოების მუშაობასთან;

გ) მათი მუშაობის აღრიცხვა;

დ) საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების კომისიებისა და საწარმოო თათბირების მიერ წინადადებების შესრულება და

ე) მუშათა ფართო მასების და ადმინისტრატიულ-ტეხნიკური პერსონალის დაინტერესება წარმოებით.

3) ასეთი დახმარების პრაქტიკული განხორციელებისათვის მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოები

ა) საკონტროლო კომისიების წევრებს და მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაკებს საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების დახმარებით გზავნიან ცალკე კომისიებში იმ მიზნით, რომ მონაწილეობა მიიღონ მათ მუშაობაში;

ბ) მონაწილეობას იღებენ საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების კომისიების იმ საინსტრუქციო თათბირების მუშაობაში, რომლებსაც აწყობენ პროფესიონალური კავშირები.

გ) მონაწილეობას იღებს როგორც პროფკავშირების ორგანოებში, ისე სპეციალურ საუწყებათაშორისო კომისიებში იმ საკითხების განხილვის დროს, რომლებიც დაკავშირებულია საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების კომისიების მუშაობასთან;

დ) სწავლობენ ქვედა საფეხურის მასიური ეკონომიური ორგანიზაციების მუშაობას, რისთვისაც პროფკავშირებთან შეთანხმებით სარგებლობენ ყველა იმ მასალებით, რომლებიც მათ აქვთ (საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების კომისიების და საწარმოო თათბირების ოქმები, მათი ანგარიშები, წინადადებები და სხვა).

4) იმ მიზნით, რომ აღმოფხვრილი იქნეს მრავალსახიანობა საწარმოო კომისიების სტრუქტურაში და პარალელიზმი ამ კომისიების მაგვარ ორგანიზაციების მუშაობაში (შრომის მეცნიერული ორგანიზაციის უჯრედები, შრომის ნაყოფიერების გასადიდებელი კომისიები და სხვა) საჭიროა ყველგან დაჩქარებული იქნეს საწარმოო კომისიების რეორგანიზაცია, ამ ცირკულიართან შეფარდებით; ამასთანავე წარმოების გაუმჯობესებისაკენ მიმართული მასიური მუშაობის სიმძიმის ცენტრი გადატანილი უნდა იქნეს საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების კომისიებში და საწარმოო თათბირებზე.

5) ამიერ-კავკასიის საოლქო საკონტროლო კომისია და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატი ხაზს უსვამენ იმას, რომ ამ კომისიებმა უნდა გამონახონ ისეთი მუშები, რომელთა წამოყენება შეიძლება წარმოების ქვედა საფეხურის ადმინისტრატიულ-ტეხნიკურ თანამდებობებზე. აუცილებელია აგრეთვე საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების კომისიების რაც შეიძლება ფართოდ ჩაბმა როგორც წარმოებების გამოკვლევაში, რომელსაც აწარმოებენ მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოები, ისე ამ გამოკვლევათა შედეგების განხორციელებაში.

ამ ცირკულიარის გამო მიღებულ ღონისძიებების შესახებ გვაცნობეთ მორიგ ანგარიშებში.

ამიერ-კავკასიის საოლქო საკონტროლო კომისიის თავმჯდომარე და ა. კ. ს. ფ. ს. რ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარი

ნაზარეტიანი

ამიერ-კავკასიის პროფკავშირთა საბჭოს მდივანი **ხიმკოვი.**

შავი ზღვის რკინისგზა

(საუბარი ინჟ. კაციტაძესთან)

რკინისგზის გაყვანა დამთავრებული იქნება

წინასწარი სამუშაოებისათვის გადადებულია 400.000 მ.

შავი ზღვის რკინის გზის უფროსად დანიშნულმა ინჟ. კაციტაძემ ჩვენ თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა:

— ჯერ კიდევ 1912 წელში, მეფის მთავრობა, რომელიც დიდ მნიშვნელობას აძლევდა სატრანზიტო გზის აშენებას, ცენტრალურ რუსეთსა—ტფილისსა და სპარსეთს შორის, შეუდგა მუშაობას შავი ზღვის გზის ასაშენებლად. მუშაობა სწარმოებდა თებერვლის რევოლიუციამდე და ამ ხნის განმავლობაში შესრულებული იყო მუშაობის 70 პროცენტი ლიანდაგი დაგებული იყო ტუაფსედან-სოჩამდე და ახალ-სენაკიდან-ხეთამდე.

რევოლიუციის პირველ წლებში გზა დანგრევის გზას დაადგა. ხის ხიდეებიდან ნაწილი დაინგრა, ნაწილი დალპა.

საქ. მენშევიკურ მთავრობამ ვაივაგლახით აღადგინა ეს გზა ახალ-სენაკიდან ხეთამდე. მაგრამ მენშევიკების გაქცევის შემდეგ, თითქმის ყველა ხიდები აფეთქებულ იქნა და გზის ეს ნაწილიც დაიკეტა.

ეხლა უკვე გადაწყვეტილია ერთხელ და სამუდამოდ დამთავრდეს შავი ზღვის რკ. გზის აშენება.

საბჭოთა კავშირის მთავრობამ უკვე გადასდო ამ საქმის წინასწარი სამუშაოსათვის 400.000 მან.

პირველ ყოვლისა ჩვენ ვფიქრობთ დავაგოთ გზა ახალ-სენაკიდან ზუგდიდამდე.

დიდი ღონისძიებები დაგვჭირდება გზის გაფუჭების წინააღმდეგ საბრძოლველად.

ამ გზის გაყვანას აქვს უდიდესი ეკონომიური და პოლიტიკური მნიშვნელობა.

პირველ ყოვლისა საგრძნობლად მოკლდება მანძილი მოსკოვსა და ტფილისს შორის და მეორე—ცენტრს მოწყვეტილი აფხაზეთი და სამეგრელოს მაზრები დაუკავშირდებიან მას რკინის გზით.

ახალი ქარხანა ბორჯომში

ბორჯომში შენდება ქარხანა კასრებისათვის წიფლის ფირფიტების დასამზადებლად.—გადადებულია ნახევარი მილიონი მანეთი.—ქარხანა წლიურად მოგვცემს 600.000 კომპლექტ ფირფიტას მუშაობის თვითეულ ცვლაზე.

ციმბირის ერთ-ერთ მთავარ საექსპორტო პროდუქტად ითვლება კარაქი. მეფის მთავრობას, რათა უცხო ბაზრები მიეჩვია ციმბირის კარაქისათვის გაჰქონდა იგი უცხოეთში დანიის წიფლისაგან დამზადებულ კასრებში.

დანიიდან საკასრე ფირფიტების შემოტანა რუსეთში გრძელდებოდა გასაბჭოების შემდეგაც. 1924 წლამდე სულ შემოტანილ იქნა 600.000 კომპლექტი ფირფიტებისა.

ჩვენში სრული შესაძლებლობა მოგვეპოება—დავაკმაყოფილოთ მოთხოვნილება კარაქის გამტან ორგანიზაციებისა საკასრე ფირფიტებზე საკავშირო მთავრობამ გადასწყვიტა მოაწყოს ეს წარმოება ჩვენში.

ამ საქმისათვის გადადებულია უკვე ნახევარი მილიონი მანეთი, რომლიდანაც 350.000 მანეთი მოხმარდება ქარხნის მოწყობას, ხოლო დანარჩენი თანხა მოიხმარება, როგორც საბრუნავი.

საზღვარგარედ იგზავნება სპეციალისტი საკასრე წარმოებისა პროფ. როდერი, ქარხნისათვის აუცილებელ მექანიკურ მოწყობილობების და საჭირო ნაწილების ამოსარჩევად.

ქარხანა მოეწყობა ისე, რომ იგი ყოველწლიურად მოგვცეს 600.000 კომპლექტ ფირფიტას—ერთ ცვლით მუშაობაში; ორ ცვლაში კი—1.140.000 კომპლექტს.

მოკლე ხანში დაიწყება წინასწარი მუშაობა: ქარხნის მოსაწყობად, ნედლეულის დასამზადებლად, მისავალ გზების შესაკეთებლად და სხვა.

როგორც წინასწარ მუშაობებზე ისე სხვა არა საკვალიფიკაციო საქმეებზე — გამოყენებული იქნებიან ადგილობრივი გლეხები.

ფირფიტები თეთრი წიფლისა, რომელსაც გამოიმუშავებს ქარხანა, თავისი ხარისხით არ ჩამოუვარდება უცხოეთისას და ამასთან ერთად იგი უფრო იაფად დაჯდება.

ნედლეულით ქარხანა უზრუნველყოფილი იქნება სავსებით. უნდა ვიფიქროთ, რომ ქარხანა მუშაობას დაიწყებს მიმდინარე წლის შემოდგომაზე.

ა. ქ.

საქართველოს პროფკავშირების კულტკონფერენცია

წერა-კითხვის უცოდინარობის ან მცირემცოდნეობის ლიკვიდაცია

(მომხსენებელი ამხ. ლ. რუხაძე)

წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლას ჩვენში—ამბობს მომხსენებელი,—4 წლის ისტორია აქვს, მაგრამ სისტემატიური გეგმიანი მუშაობა დაიწყო მხოლოდ 1924 წლიდან. ამავე წელს საქ. სტატისტ. სამმართველოს მიერ დამუშავებული ცნობებით საქართველოში იყო სულ 18 წლიდან 40 წლ. 369 ათასი წერა-კითხვის უცოდინარი მოქალაქე, რომელთა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია უნდა მომხდარიყო 1927 წლ. ე. ი. ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავისათვის: ყოველ წელიწადზე მოდის 123 ათასი უცოდინარის გადასწავლა.

გასულ წელს მოწყობილ ორგანიზაციის და მტკიცე ხარჯთაღრიცხვის უქონლობის გამო მოხერხდა მხოლოდ 73 ათასი უცოდინარის განსწავლა. ამ ჟამად პოლიტ-განათლების განყოფილებას აქვს მტკიცეთ ჩამოყალიბებული ორგანიზაციები, დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვები, რაც აუცილებლად გააცხოველებს მუშაობას. რაც შეეხება პროფკავშირის წევრებს შორის წ. უ. მოსპობას, განყოფილების მუშაობას შემდეგი ციფრები გამოხატავს: თელავში წ. კ. უც. სკოლა გაიარა კავშირის 40 წევრმა, სიღნაღში—162, სენაკში—39, ახალციხეში—60, ახალ-ქალაქში—80, შორაპანში—421, თბილისში—1512, რკინისგზაზე—432, წ. კ. უც-ის სკოლა დაასრულა სულ კავშირის 2,800 წევრმა.

შემდეგ მომხსენებელი ეხება მცირემცოდნეობის სალიკვიდაციოთ წარმოებულ მუშაობის შედეგებს.

მოხსენება კინოს შესახებ

(მომხსენ. ამხ. პელიძე)

ეხება რა კინოს მიზნებს მუშათა ინტერესების თვალსაზრისით, მომხსენებელი კონფერენციას აცნობს პროლეტკინოების დღევანდელ მდგომარეობას.

თბილისის პროფ-ორგანოებს მოეპოვებათ კინო-ეკრანების საკმაო რიცხვი, რომელიც ამ ჟამად 33 უდრის. კინო-ეკრანები მოწყობილნი არიან დამაკმაყოფილებლად, მხოლოდ არ არიან უზრუნველყოფილნი ტეხნიკური მუშაკებით და აგრეთვე მუშებისათვის იდეოლოგიურად მისაღები სურათებით, რასაც მომავალში უნდა მიექცეს უფრო მეტი ყურადღება კინო ეკრანების რიცხვის გადიდება საჭირო არ არის, საჭიროა მხოლოდ მათი ამაღლება ღირსებით, რისთვისაც უნდა მოეწყოს კურსები ტეხნიკი მუშაკის მოსამზადებლად.

მაზრებისათვის ეწყობა მოძრავი კინო აპარატები.

მოხსენებათა გარშემო გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

უკანასკნელი სხდომა

საკლუბო მუშაობა

(ამხ. პელიძის მოხსენება)

მომხსენებელი ახასიათებს კლუბების მდგომარეობას და იძლევა მის უარყოფით შეფასებას. კლუბების უმრავლესობა ვერ არის სათანადოთ მოწყობილი, რის გამოც ისინი ვერ ასრულებენ თავიანთ დანიშნულებას. ლენინის კუთხეები კლუბებში იმ სახით, როგორი სახითაც ისინი არსებობენ; უნდა მოისპოს, დანარჩენი კუთხეებიდან უნდა დარჩეს ისეთი კუთხეები, სადაც მოსახერხებელი გახდება მეცადინეობა.

შემდეგ მომხსენებელი აცნობს კონფერენციას მოსაზრებებს საკლუბო მუშაობის გასაჯანსაღებლად კლუბები უნდა გახდნენ შეფები. ერთიმეორის მუშაობის გასაცნობად უნდა იმართებოდეს ექსკურსიები ერთი კლუბიდან მეორე კლუბში.

მომხსენებელი ჩერდება აგრეთვე საზაფხულო მუშაობაზე, რომელსაც მისი აზრით სჭიროა გადახალისება.

მოხსენების გარშემო გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

რეზოლიუციების მიღების შემდეგ კონფერენცია დაიხურა.

ორშაბათს, 11 მაისს, თბილისის აღმასკომის თავმჯდომარის კაბინეტში
(ოთახი № 1), საღამოს 6 საათზე მოწვეულია

თბილისის აღმასკომის კრება

დღის წესრიგი: 1) უნივერსალური მაღაზიის გახსნის შესახებ.
2) თბილისის გარეუბნებში ზაჰესის ენერგიის მიწოდების შესახებ.
3) მიმდინარე წლის 1 ნახევრის ბიუჯეტის შესრულების შესახებ.
4) მიმდინარე საკითხები.

დასწრება ყველა აღმასკომის წევრთა და კანდიდატთა დანიშნულ დროზე სავალდებულოა. ნის. 1139. 2—2

მუშათა ცხოვრება

დღეს, დილის თერთმეტ საათზე „კომუნისტი"-ს რედაქციის ბინაზე შესდგება რადიოს მოყვარეთა წრის მეცადინეობა.

ახალი მოდის „დერჟიმორდები"

(განათლების სახალხო კომისარიატის საყურადღებოდ)

7 მაისს დილის 11 საათ. და 10 წუთზე სხვადასხვა საქმეების გამო მომიხდა შევლა განათლების სახალხო კომისარიატში. მსურდა მენახა სახალხო კომისარი ან რომელიმე კოლეგიის წევრი. აგერ კანცელარიის კარები უნდა შემეღო, მაგრამ უცაბედად ორმა კაცმა ხელი მკრა და შვეიცარიც გადამეღობა წინ. განცვიფრებაში მოვედი; არ ვიცოდი, თუ რაში იყო საქმე. ამიტომ შვეიცარს მოვსთხოვე აეხსნა, თუ რატომ არ მიშვებდა იგი. მან მიპასუხა, რომ თერთმეტი საათის შემდეგ „თანახმათ კანონისა" და „განკარგულებისა" არავის უშვებთო. ვსთხოვე ეცნობა სახალხო კომისარს მეთქი, რომ მე მინდა მისი ნახვა სასწრაფო საქმისათვის, მაგრამ შვეიცარმა უარი მითხრა, კარები ჩაკეტა და მოკლეთ მიპასუხა: „საქმე თუ გაქვთ, შემდეგ შემოიარეთ."

მე დიდათ აღმაშფოთა მისმა ასეთმა უდიერმა ქცევამ და მივმართე კომენდანტს, რომელსაც სამხელ შევეკითხე, რატომ დაწესებულებაში ხალხს აკრძალული აქვს თორმეტ საათამდე შემოსვლა მეთქი, მან მიპასუხა „ეს არის დაკანონებული უმაღლესი მთავრობის მიერ"-ო, რომ კომენდანტი იქვე დამეჭირა სიცრუეში მისივე კაბინეტიდან გამოვუძახე ამხ. იტრიევს, რომელმაც მიპასუხა, რომ ასეთი კანონი არ არსებობს-ო კომენდანტი დიდათ ააშფოთა ასეთმა ცნობამ და ბრაზმორეულმა დამიწყო მუქარა, ლანძღვა-გინება და უხეში სიტყვებით მისტუმრებდა.

აი შემძრწუნებელი ნიმუში იმისა, თუ როგორ უმაგრებენ ფესვებს თავხედი უპასუხისმგებლო კომენდანტები და შვეიცარები ბიუროკრატიზმს პასუხისმგებელ ამხანაგების ავტორიტეტის გამოყენებით.

საჭიროა ასეთი „დერჟიმორდები" მოვაშოროთ ჩვენ დაწესებულებებს, რომ ამ უკანასკნელთა პრესტიჟი არ დავსცეთ მშრომელი ხალხის თვალში.

მოსე ცინცაძე.

მოაგვარეთ ეს საქმე

(ჯანმრთელობის განყოფილების საყურადღებოდ)

გონივრულად მომუშავე მუშა-მოსამსახურეები მუშაობას ათავებენ 3 ნახევარ საათზე. დაწესებულებებიდან სანამ შინ მივიდოდე უკვე 4 საათია. მცირე ავადმყოფობის გამო გინდა ექიმი ინახულო. მიდიხარ ამბულატორიაში და რას ხედავ, ნომრები უკვე დარიგებულია. როცა შევეკითხე მე-7 ამბულატორიის რეგისტრატორს, რაშია საქმე მეთქი, მიპასუხა: ტერაპევტიულ ავადმყოფობათა და ექიმთან შესასვლელ ნომრებს ვარიგებთ სამი საათიდან ოთხ საათამდე-ო, ოთხ საათზე უკვე უკანასკნელი ნომრები დარიგებულია-ო.

იძულებული ვიყავი დავბრუნებულიყავ უკან, მაგრამ ასეთივე სურათი ხდება მეორე დღესაც.

ასეთ მოვლენას ყურადღება უნდა მიექცეს, რათა მოსამსახურეს საშუალება ჰქონდეს ისარგებლოს ამბულატორიულ ექიმობა-მკურნალობით და რამოდენიმე ნომრები უნდა ინახებოდეს მათთვისაც 5 საათამდე მაინც.

რკინისგზელი პ. ჩხიკვაძე.

ალაგმეთ გაბიუროკრატებული მუშა

(რკ. გზის საუბნო კავშირის საყურადღებოდ)

მეექვსე უბანში მსახურობს უფროს მუშად **შაქრო თუშურაშვილი.** ეს ვაჟბატონი ვერ იქნა და ვერ შეეგუა მუშებისადმი კეთილ-სინდისიერ მოპყრობას. არ გავა ისე დღე, რომ ის არ დაემუქროს მუშას: „არ გნებავთ, რასაც მე გიბრძანებთ, მიბრძანდით აქედან"-ო. ამავე დროს ის იგინება ბინძური ქუჩური სიტყვებით.

ყოველ უბრალო საქმისათვის ის მირბის თავის გამგეთ „ნაჩალნიკთან" და ემუდარება—„ეს ვირები მომაშორეო". აკი, კიდეც შეიტანეს ადგილკომში „ურჩ მუშების" ჩამოშორებაზე საჩივარი.

საუბნო კავშირო! მოდი, გამოიძიე ეს საქმე—და მართლაც მოაშორე—მუშებს მჩაგვრელი და ცუღლუტები

მუშკორი შხამი.

მადლობის ღირსნი არიან ასეთი დაუღალავი მუშაკები.

ს. ს. ს. რ. განათლების კომისარიატთან არსებობს საღამოს 1-ლი ტეხნიკუმი, რომელშიაც თავს იყრიან 350-მდე მუშა-მოსამსახურენი. აქ თავს იყრის ისეთი ახალგაზრდობა და მოზრდილი ხალხი, რომლებსაც დღეში ფიზიკურ და გონებრივ დარგში უხდებათ 8 საათის მუშაობა. ასეთი ხალხისათვის იქნა დაარსებული ეს ტეხნიკუმი.

მეტად მძიმე პირობებში უხდებოდათ ამ ტეხნიკუმის გამგეობას მუშაობა. პირველ ხანებში, მას დამხმარე პირების გარდა, საწუხაროდ, აღმოუჩნდა ბევრი ხელის შემშლელი პირები. მაგრამ მიუხედავათ ასეთი მძიმე პირობებისა ჩვენი ტეხნიკუმის გამგე, **გიორგი პ. გველაშვილის ენერგიული მუშაობით** მოგვარებულ იქნა ამ ტეხნიკუმის საორგანიზაციო მხარეები. ცხრა თვის განმავლობაში გაწეულმა დაუზოგავმა შრომამ ამ სკოლის მასწავლებლებისამ უკვე გამოიღო თავისი ნაყოფი, რაც ყველასათვის თვალსაჩინოა, ვინც კი ოდნავ მაინც გაცნობილია ამ სკოლის ცხოვრებას. კომუჯრედის ყოველგვარ საქმიან მუშაობაში ხელს გვიწყობენ ჩვენი მასწავლებლები, რითაც მათ დაიმსახურეს საკმაო სიმპატია მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობაში. იმედი გვაქვს, რომ განათლ. სახ. კომისარიატი და ქ. აღმასკ. განათლ. განყ. მომავალ სამოსწავლო წელში უფრო მეტ ყურადღებას მიაქცევს ჩვენს სასწავლებელს, ვიდრე ექცეოდა მას დღევანდლამდე.

ჩვენ საღამოს 1-ლი ტეხნიკუმის კ. კ. უჯრედს სკოლის მეცადინეობის დამთავრების ჟამს მხოლოდ დაგვრჩენია უთხრათ ამ სკოლის მასწავლებლობას ჩვენი გულწრფელი მუშური სალამი ასეთი უანგარო, დაუზოგავ შრომისათვის—განსაკუთრებით კი ტეხნიკუმის ხელმძღვანელ **პ. გველაშვილს** და მის თანაშემწე **ი. ნიჟარაძეს.**

უჯრედის პ|მგ. მდივანი: კ. პატარაია.

პირველი სახელმწ. თამბაქოს ფაბრიკა

ახალი კოლხელშეკრულება

დაიდვა ტრესტთან ახალი კოლხელშეკრულება, რომლის თანახმად ტრესტი ვალდებულია კურორტზე ნორმის გარეშე გადასცეს ფაბრიკის მუშებს 10 საწოლი, მისცეს მუშებს უფასოდ ტრამვაის ბილეთები, საწყობის მუშებს მისცეს განსაკუთრებული სპეცტანისამოსი; აქამდე ჩაის ღებულობდენ ცალკე უწყლოდ, ეხლა კი მიიღებენ მზა ჩაის, ექვსი მუშა—მუშაკელი უნდა იქნან განთავისუფლებული სამუშაოდან, ჯამაგირის მიღებით, აქამდე მუშა-ქალებს ეძლეოდათ წელიწადში თითო თავსაკრი, ეხლა უკვე უნდა მიეცეთ ორ-ორი.

ნარდ სისტემაზე გადასვლა.

16 დღეა, რაც ფაბრიკა გადავიდა მუშაობის ნარდ სისტემაზე. დაწყება და მიმდინარეობა ასეთ პირობებში ფაბრიკის საქმიანობისა, იმედს გვაძლევს, რომ იგი წარმოების გაზრდას ფრიად შეუწყობს ხელს.

სამუშაოს მექანიზაცია.

ფაბრიკაში ეწყობა დასამუშავებელ მასალის მექანიკურად მიწოდება, განყოფილებებისათვის და იქიდან დამზადებულის ამავე სახით გამოტანა ფაბრიკაში ამ „მექანიზაციის" მოსაწყობად ამ დღეებში დაიწყება მუშაობა.

შეკვეთილია 4 მანქანა.

მიცემულია შეკვეთა გილზის დასატენ ორმაგი მანქანის დამზადებისათვის, რაოდენობით ოთხი ცალის.

მასალის მარაგი.

ყველაფერი, რა მასალაცაა საჭირო თამბაქოს წარმოებისათვის, ფაბრიკას მოეპოება 8 თვის მარაგი.

გეგმას ასრულებენ.

საწარმოო თათბირის მიერ გამომუშავებული იყო 6 თვის საქმიანობის წინასწარი გეგმა, რომელსაც ამ მოკლე ხანში დაამთავრებენ.

შვებულებების საკითხი.

საშვებულებო სეზონის განმავლობაში, მუშებზე შვებულების გაცემა იწარმოებს კოლექტიურად.

ინფ. ტ—კა.

რკინის გზის პროფკავშირებში

7 აპრილიდან დაიწყო და სწარმოებს რევიზორებისა და ბაქნის კონტროლიორების წმენდა. მწმენდი კომისია მიმართავს მოქალაქეებს, თუ რამე იციან აღნიშნულ მოხელეთა ბოროტმოქმედებებზე, შემოიტანონ განცხადებები პოლიტ-სეკრეტარიატში. წმენდა ხდება ა.-კ. რკ. გზ. უფროსის განკარგულებით.

სათბობი მასალა დეპოსა და მთავ. სახელოსნოებისათვის. ა.-კ. რკინისგზელთა პროფკავშირმა მიმართა ადმინისტრაციას—მიაწოდოს თავის დროზე, დაუგვიანებლად, სათბობი მასალები და იარაღები ტფ. დეპოს და მთავარ სახელოსნოებს.

ყაზარმების შეკეთება. ა.-კ. რკინისგზელთა პროფკავშირმა მიმართა ა.-კ. რკ. გზათა სამმართველოს დაუყოვნებლივ შეუდგეს რკინისგზელთა საცხოვრებელ შენობების შეკეთებას.

სტიპენდიანტთა რაოდენობა. ა.-კ. რკინისგზელთა პროფკავშირის ცნობით რკინისგზელთა პროფკავშირებიდან უმაღლეს სასწავლებლებში სტიპენდია ეძლევა 36 მსმენელს.

ქრონიკა

— **დასაზღვევი გადასახადი.** აპრილის განმავლობაში სხვადასხვა დაწესებულებებიდან თბილისის დამზღვევ სალაროს შემოუვიდა 239,363 მან. დასაზღვევი გადასახადისაგან.

— **ექიმის მიერ გამოწერილი რეცეპტების დედანი** ჯანსახკომის დადგენილებით აფთიაქებში უნდა ინახებოდეს 3 წლის განმავლობაში.

— **ჯანმრთელობის სახ.** კომისარიატის კბილის საექიმო სექცია მოკლე ხანში შეუდგება წარმოებებში მომუშავეთა კბილების გამოკვლევა-დათვალიერებას.

— **დახმარება უმუშევრებს.** თბილისის დამზღვევმა სალარომ დაადგინა მისცეს ფულადი დახმარება იმ დაზღვეულ უმუშევრებს, რომლებსაც ერთი წლის განმავლობაში არ მიუღიათ დახმარება.

— **სასოფლო-სამეურნეო** იარაღ-მანქანების გამოფენა, რომელსაც აწყობს ა|კავკასიაში საგარეო ვაჭრობის კომისარიატი, გაიხსნება ოქტომბრის პირველ რიცხვებში.

— **საქონელი საზღვარგარეთიდან.** ა|კავკასიის საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა საზღვარ-გარეთიდან მიიღო სხვადასხვა საქონელი: ცელი, ავტომობილები, კინო-აპარატები და სხ.

— **თბილის-კოჯორის შორის** საავტომობილო მიმოსვლა დაიწყება 15 მაისიდან.

— **ტყის დაცვა.** სატყეო განყოფილებამ გამოიმუშავა წესები ტყის დაცვის შესახებ გაჩეხის და ხანძრისაგან.

— **სამეურნეო ხარჯზე.** ცენტრ. აღმასკომის დადგენილების თანახმად მიწად-მოქ. სახ. კომისარიატის სატყეო განყოფილება იმუშავებს გეგმას სამეურნეო ხარჯზე გადასვლის შესახებ.

— **ნიხრის გადასინჯვა.** სატყეო განყოფილება შეუდგა ახალი ნიხრის შემუშავებას ხე-ტყეზე.

— **მეფუტკრეობისთვის.** საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკმა 1924 წლის აპრილიდან მიმდინარე წლის მაისამდე გასცა სესხად 18.245 მან. საქართველოში მეფუტკრეობის აღსადგენათ.

— **საბინაო აღმშენებლობა.** ა|კავკასიაში მუშათა საბინაო აღმშენებლობისათვის ხელის შესაწყობათ საკავშირო მთავრობიდან გამოთხოვილია 2,095 ათასი მანეთი.

— ა|კ. **საბინაო კოოპერაციის** წარმომადგენელთა თათბირი გაიხსნება მაისის ბოლო რიცხვებში თბილისში.

— **ტყეების აგარაკებათ დახარისხება.** თბილისსა, ბორჩალოს და ახალციხის მაზრებში დასრულდა ტყეების აგარაკების ხარისხებათ დაყოფა.

— **ჯანმრთელობის დაცვის** ინსპექტორთა ყრილობა გაიხსნება 15 მაისს.

— **ამჟამად** თბილისში არსებობს დასახიჩრებულთა 35 არტელი.

— **შემამოწმებელი კომისია** ავადმყოფების აგარაკებზე დასაგზავნათ დღეში სინჯავს 70—105 კაცამდე.

— **საქართველოს ტეხნიკურ საზოგადოებაში.** კვირას, 10 მაისს, დღის 12 საათზე თბილისის პოლიტეხნიკურ სასწავლებელში (კამოს ქ., № 70) შესდგება საქართველოს ტეხნიკურ საზოგადოების კრება, რომელზედაც წაკითხულ იქნება ინჟ. ვ. კაკაბაძის მიერ მოხსენება შემდეგ თემაზე: „საქართველოს მრეწველობის მდგომარეობა და მისი პერსპექტივები".

— **სოფ. ამაღლების მკვიდრთა კრება.** დღეს, ამიერ-კავკასიის კომუნივერსიტეტის შენობაში (ერმოლოვის ქ. № 6) ნაშუადღევის 4 საათზე დანიშნულია ქ. თბილისში მცხოვრებ სოფ. ამაღლების (ქუთაისის მაზრა) მკვიდრთა კრება.

— **კედლის გაზეთი.** გლეხკომების ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა გამოსცეს კედლის გაზეთი „გლეხთა ურთიერთი დახმარება".

— **ქართულ საენათმეცნიერო საზოგადოებაში** სამშაბათს, 12 მაისს, საღ. 8 საათზე საქართველოს მუზეუმის სააუდიტორიო დარბაზში საზოგადოების მორიგ საჯარო სხდომაზე წაკითხულ იქნება მოხსენება არნ. ჩიქობავას მიერ: „მოთხრობითი ბრუნვის გენეზისისათვის ქართულში". შესვლა თავისუფალია.

— **36 ათასი მანეთი უცოდინარობის აღმოსაფხვრელად.** ა.-კ. რკინისგზელთა პროფკავშირმა მიაწოდა საორგ-განმანათლებელო განყოფილებას წერა-კითხვის უცოდინარობის აღმოსაფხვრელად გაანაწილოს უბნებზე 36 ათასი მანეთი.

— **კლუბებისათვის.** ახალ კლუბების ასაგებად და მოსაწყობად ა.-კ. რკინისგზელთა პროფკავშირმა გადასდო 6 ათასი მანეთი. ახალი კლუბები არსდება: ზესტაფონში, ევლახსა და სანაინში.

— **ექსკურსიისათვის.** ა.-კავკასიის რკინისგზელთა პროფკავშირმა მიმართა რკ. გზ. სამმართველოს მომავალ ზაფხულზე საექსკურსიოდ გასცეს 3 ვაგონი რკ. გზ. მუშა-მოსამსახურეთ.

— **ხელფასის გადიდება.** ა.-კავკ. რკინისგზელთა პროფკავშირმა შეათანხმა ა.-კ. რკ. გზ. სამმართველოსთან ხელფასის გადიდების საქმე. ხელფასი უდიდდება 1—8 ხარისხამდე მომუშავეთ.

— **ლენინგრად-მოსკოვისაკენ.** ა.-კავკ. რკინისგზელთა პროფკავშირმა მიმართა რკ. გზ. სამმართველოს გასცეს რკინისგზელებს საექსკურსიოთ ლენინგრად-მოსკოვისაკენ კიდევ 1 ვაგონი.

ახალი წიგნები

— **გამოვიდა:** ი. ქუთათელაძის მიერ შედგენილი—„მეაბრეშუმეობა". გამოცემა მიწად-მოქ. სახკომისარიატისა.

— ტიუმენევის „შრომის ისტორია" ქართულ ენაზე. გამომცემლობა „მნათობის".

წერილები პროვინციიდან

სამხთო—ხვარბეთ—მიქელ-გაბრიელის თემები

(გურია)

თუ რამდენად დიდი კულტურული და ეკონომიური მნიშვნელობა აქვს საერთოდ გზებს, რა სახისაც არ უნდა იყოს ის, ამაზედ ზედმეტათ მიმაჩნია ლაპარაკი, მაგრამ უბედურება ის არის, რომ თითქმის ყოველმხრივ დაწინაურებულ თემებს, როგორიც არიან ზემოთ დასახელებული თემები, არა აქვთ არც ერთი სავარგისი როგორც საზოგადო, ისე სასოფლო გზები... მართალია ამ თემებს გეოგრაფიული მდებარეობა არ უწყობს ხელს ადვილათ გაიყვანონ ყველა მიმართულებით სწორი და ფართე გზები, მაგრამ მონდომებულ კაცის ხელს შესაფერი ხელმძღვანელით, უფრო აღმართ-დაღმართებშიაც გაუყვანიათ შესამჩნევი გზა-ტკეცილები და თავი დაუღწევიათ ვიწრო გზების ტალახების ზელისაგან... ამ თემების გლეხებს არა აქვთ საშვალება უგზობის გამო თავისი ნაწარმოები გაიტანონ მახლობელ ბაზარზე ურმით, თუ ერთი კვირის მზიანი დარი არ აშრობს აქაურ გზებს, ან და შემოიტანონ სახლში თავისი ნამუშევარი შემოდგომაზე დაბალ საყანე ადგილებიდან და იძულებული არიან თვით ყანებში აქეთონ სასიმინდეები და იქ შეინახონ სარჩო, რასაც გაზაფხულზე დიდი ჭაპან-წყვეტით ეზიდებიან შინისაკენ მხოლოთ ის ბედნიერნი, რომლებსაც ცარიელი არ დახვდებათ სასიმინდე. დაბალ ადგილების ყანებიდან საზამთროთ ჩალის მოზარაკებაზეც ამავე მიზეზით მეტია ლაპარაკი—რაც, რასაკვირველია, ხელს უშლის მესაქონლეობას.

აღსანიშნავია შემდეგი გარემოება: ოდესღაც აქ არსებობდა სუფსა-მერიის გზა, რომლის საშვალებითაც არამც თუ დასახელებული სამი თემის, არამედ მთელი აღმოსავლეთ გურიის მცხოვრებლებს საშვალება ჰქონდათ, ნინოშვილის ენით რომ ვსთქვათ, „ჩაერბინა ფოთში", გაეყიდა ბევრი რამ გასაყიდი და დაეკმაყოფილებია მრავალი მოთხოვნილებები, მაგრამ... განსვენებულ ნიკოლოზის რეჟიმის დროს, სამაზრო მთავრობამ მოინდომა ამ ცნობილი, მაგრამ უვარგისი გზის მაგივრათ, ახალი ხაზით გზატკეცილის გაყვანა, რაზედაც აამუშავეს მთელი გურია. ომის გამოცხადების გამო ამ გზის დამთავრება არ მოხდა. ხაზი სუფსიდან მერიამდე გაყვანილია, მხოლოთ ზოგან დარჩენილია გამოუთხრელი და გამოუსწორებელი კოდმეები, ასე რომ არც ახალი გზა ვარგა და აღარც ძველი არის. ასეთი მნიშვნელოვანი გზის ასე უყურადღებოთ მიტოვება ყოვლად დაუშვებელია და აუცილებლათ საჭიროა მიექცეს ამ გზას სათანადო ყურადღება, ვისგანაც ჯერ არს. თუ ეს გზა—გზას დაემზგავსა, სხვა მისი შტოების შეკეთებას თვითონ თემები და კუთხეები იკისრებენ, ვინაიდან დღეს გლეხი ასე მსჯელობს: „რად მინდა კუთხის გზა, თუ თემის გზა არ გვივარგაო, ან თემის გზა რაღა საჭიროა, თუ იმას ვეღარ გავსცილდი და საზოგადო გზატკეცილზე გახლა აღარ შეიძლებაო."

სახახან საჩარჩალიძე.

ქალ. სამტრედიის საავადმყოფო

შეიძლება თამამად ითქვას, რომ დასავლეთ საქართველოს არც ერთ ქალაქში არ არის ავადმყოფობის გაჩენის ისეთი ხელშემწყობი პირობები, როგორც ქალ. სამტრედიაში. ეს ადვილი გასაგებიცაა. სამტრედია წარმოადგენს მეტად მნიშვნელოვან სავაჭრო პუნქტს, სადაც დიდძალი ხალხი იყრის თავს; მოჰყავთ ბაზარზე შინაური საქონელი და ფრინველი, რომელიც აბინძურებს ქუჩებს და წამლავს ჰაერს, ამას თუ იმ გარემოებას მივუმატებთ, რომ სამტრედიის ჰავა თავისთავად ხელს უწყობს ზოგიერთ ავადმყოფობის (მაგ. ციების) გავრცელებას, ადვილი წარმოსადგენია, თუ რა მნიშვნელობა ექნება ჩვენს ქალაქისათვის სანიტარულ პირობების და საექიმო დახმარების თავის სიმაღლეზე აყვანას. აქ დიდი ხანია დაარსებულია საავადმყოფო, რომელიც განსაკუთრებით საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ადგილობრივი აღმასკომის მზრუნველობის და გამოცდილ გამგის ხელმძღვანელობით თავის სიმაღლეზე სდგას.

რამოდენიმე ხანია, რაც ხსენებულ საავადმყოფოს მუშაობა შეწყვეტილია, რადგან მის შენობას კაპიტალური შეკეთება ესაჭიროება.

საავადმყოფო უკვე კარგა ხანია რაც დაკეტილია, მაშასადამე ავადმყოფთა მიღება შეწყვეტილია და ამავე დროს აქამდის არ არის მიღებული შეკეთებისათვის საჭირო პრაქტიკული ღონისძიებანი.

საჭიროა ყურადღება მიექცეს და ადგილობრივმა აღმასკომმა მიიღოს სათანადო ზომები საავადმყოფოს შეკეთებისა და მისი საჩქაროდ დასრულებისათვის.

ურო.

საჭირო რევიზია

სურამ-ხაშურის რაიონის ტყეების მდგომარეობა რომ კარგი ვერ არის, ეს დიდი ხანია ნათელი იყო ყველასათვის. ტყე იჩეხებოდა, ნადგურდებოდა, ბარათების გაცემა ყოველ გზა-ჯვარედინზე სწარმოებდა (ამით, რასაკვირველია, სოფლის შეძლებული გლეხები სარგებლობდენ და არა ღარიბები), იცემოდა წლიური ბარათები, ტყის გამგე და მცველები იჭერდენ გლეხებს, აშინებდენ და ამით ფარავდენ თავიანთ ბოროტ-მოქმედებას, სახაზინო ფულებს ჯიბით ატარებდენ.

ყველა ზემოთქმულის დასამტკიცებლად საკმაოა მოვიყვანოთ მოკლე ცნობა იმ მოხსენებებიდან, რომელიც შეადგინა გორის სამაზრო სატყეო განყოფილების გამგის თანაშემწის თანამდებობაზე ახლად დანიშნულმა ამხანაგმა ნოდიამ.

აი რას სწერს ამხ. ნოდია:

— როდესაც გავეცანი ადგილობრივ ტყის მეურნეობას, იმ დასკვნამდე მივედი, რომ არსებული წესით მუშაობა სახელმწიფოს ინტერესებს არ შეეფერება. დღემდი თემის გლეხობას არა აქვს მიჩნეული მუდმივი ადგილი, თუ სად შეიძლება ბარათებისათვის მიმართვა. ხშირად თემის კანცელარიის გარეშე იცემა ბარათები, ხაშურის სატყეო რაიონის საბუთები, ცირკულიარები და სხვა განკარგულებები სხვადასხვა ადგილას არის გაბნეული, ხშირად ქაღალდები იკარგება. ასეთ პირობებში კანტროლის გაწევა სატყეოს თანამშრომლებისათვის ყოვლად შეუძლებელია.

ამ ფაქტების მიხედვით ამხ. ნოდიამ შეადგინა გეგმა მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ვფიქრობ, რომ სიტყვის გაგრძელება საჭირო არ არის. ზემოთმოყვანილი საბუთებიც საკმაოა, რომ სათანადო ორგანოებმა შესაფერი ყურადღება მიაქციონ დღემდე თითქმის უპატრონოთ მიტოვებულ ტყეებს და გამოარკვიონ, თუ რით აიხსნება ასეთი უწესრიგობა და უსისტემობა ტყით სარგებლობის საქმეში.

ლ-ხვარი.

სიღნაღის მაზრა

ელდარის სარწყავი არხი

საქმე საბჭოთა აღმშენებლობისა დიდის ნაბიჯებით მიდის წინ. კეთდება ისეთი საქმეები, რომლის მაგვარი არ ახსოვს საქართველოს მთელს თავის წარსულში.

ამჟამად დაიწყეს ელდარის სარწყავი არხის გაყვანა, რომელიც წამოვა მდინარე იორიდან და მთავარ არხს ექნება სიგრძე 40 ვერსამდის. გამოცოცხლდება დღეს ბუნებით მდიდარი, მაგრამ უწყლობით მკვდარი, ელდარის ველი. არხი მორწყავს დაახლოებით 40.000 დესეტინას. ელდარზე მშვენივრად იხარებს ყოველგვარი მცენარე, მაგრამ უფრო კი ხელსაყრელი იქნება მებამბეობა, რომელსაც მოელის, ინჟინერ ნიკოლსკის სიტყვით, დიდი და ბრწყინვალე მომავალი. არხის გასაყვანად მთავრობის მიერ გადადებულია 668.000 მანეთი. ეს ფული ეძლევათ საქმის მწარმოებელთ ნაწილ-ნაწილად, იმისდამიხედვით, თუ რამდენი საქმე და რა ღირსებისა გაკეთდა.

გზადაგზა ნიკოლსკის სიტყვით მთის კალთებში გამოყვანილი იქნება წყაროები, რომ მომავალში შესაძლებელი გახდეს სოფლების გაშენება. ამჟამად ეს ველი უმოსახლოა. არის მხოლოდ იორის მარცხენა ნაპირზე თათრების სამი პატარა სოფელი.

ყველაზე მეტად არხის გაყვანა და ელდარის გაცოცხლება ახარებს თუშებს და ფშაველებს, რომელნიც უეჭველია მასიურად ჩასახლდებიან ელდარში და გააჩაღებენ მესაქონლეობას.

ქიზიყის მოამბე.

პროვინციის ქრონიკა

ქალ. გორი.

—2 მაისს საღამოს მუშათა კლუბში დრამწრემ გაუმართა რეჟისორ აბდუშელს ბენეფისი, დადგმული იყო პიესა შიუკაშვილისა „სულელი".

— კომუნალური განყოფილება შეუდგა გორის ჯვრის აბანოს შეკეთებას, ხოლო მომავალში დაიწყება სეზონი, აღნიშნულ აბანოს როგორც მაზრისათვის, ისე ახლო მდებარე მაზრებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს; რევმატიზმისა და სხვა და სხვა სნეულებათა განსაკურნავად. აბანოში მოდის გოგირდის წყალი.

— შესდგა თვითმშრომელთა არტელი ხარაზებისა, რომელნიც შეკერილ ჩუსტებს გაასაღებენ კოოპერატივების საშუალებით.

— ჩამოვიდა საოლქო სასამართლოს სესია.

— სამაღმასკომის აგრო-დახმარების განყოფილებამ თუშებ შორის დაარიგა სათესლე ჭირნახულის თანხები.

— გორის ეპომ მიიღო 1.000 ფუთი რუსეთის ფქვილი.

— გორის ბაზარზე შემოვიდა იმერეთიდან დიდძალი თიხის ჭურჭლეულობა.

ხელოვნება

— **სახ. თეატრში.** დღეს, სამხატვროს ორი წარმოდგენა: დილით—„ძმები კარამაზოვები", საღამოთი—განმეორებით „მეფე თედორე იოანეს-ძე" მთავარ როლში ვ. კაჩალოვის და ივან შუისკის როლში კ. სტანისლავსკის მონაწილეობით.

— **აკადემ. ვ. ბეხტერევის ლექციები.** 13 და 14 მაისს აკადემიკოსი ვ. ბეხტერევი წაიკითხავს ლექციას: „ჰიპნოზი და სწორი ხედვა".

— **წითელ თეატრში.** დღეს წარმოდგენილი იქნება ლოპე დე ვეგას პიესა: „ფუენტე ოვეხუნა". დადგმა დ. კობახიძისა.

— **კონსერვატორიაში.** ორშაბათს, 11 მაისს გაიმართება კონსერვატორიის პროფ. ჯაყელის საღამო ოპერის მსახიობთა მონაწილეობით.

— **თვითმშრომელთა კლუბში** (ყოფილი „ახალი წრე) დღეს კინო და მუსიკა.

— **სახალხო არტისტის სახლის მინიჭება მაკო საფაროვ-აბაშიძისათვის.** მაისის 17 ნაშუადღევის 1 საათზე რუსთაველის თეატრში მოეწყობა მაკო საფაროვა-აბაშიძისათვის სახალხო არტისტის სახელის მისანიჭებლათ საზეიმო სხდომა. ორგანიზაციათა და დაწესებულებათა წარმომადგენელთ, რომელთაც სურთ მონაწილეობა მიიღონ ხსენებულ ზეიმში, საგანგებო უფასო ბილეთების და სხვა ყოველგვარ ცნობების მისაღებათ უნდა მიმართონ ქართველ არტისტთა კორპორაცია „დურუჯს", რომელიც ხელმძღვანელობს ზეიმს.

ზეიმის წესრიგი გამოცხადდება ცალკე.

— **დამსახურებული მსახიობი ქალი.** მაკო საფაროვ-აბაშიძისა ამჟამად მძიმე ავადაა პლევრიტით.

— **დოლი.** დღეს დიდუბეში გაიმართება დოლი. დასაწყისი 12 ნახ. საათზე.

— **„ვინ არის დამნაშავე" ეკრანზე.** დღეს სახელმწიფო კინო-ქარხანაში გადაიღებენ ადგილს „ვინ არის დამნაშავე"-დან—„ცირკს". გადაღებაში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველას.

— **ვასილ ბარნოვი** ამჟამად სწერს ახალ რომანს: „არმაზის მსხვრევა".

— **კონცერტი.** 12 მაისს წითელ თეატრში გაიმართება ალ. მაისურაძის გუნდის კონცერტი.

— **საყმაწვილო მოთხრობა.** გამოვიდა გ. წერეთლის საყმაწვილო მოთხრობა „ღვთის წყალობა". წიგნს დართული აქვს ავტორის სურათი და ნახატები.

— **გამოვიდა „თეატრი და ცხოვრება"-ს მორიგი ნომერი (№ 10).**

დღეს კინოებში

— აპოლო—„პაპიროსების გამყიდველი ქალი მოსელპრომიდან".

— არფასტო—„მესსალინა".

— სოლეი—„სიყვარულის ჯიუტობა".

— მინიონ—„რაფკეს ასული".

— ოაზის—„ამერიკელი ქალის თავგადასავალი".

ბიბლიოგრაფია

„ჩვენი გზა" ს. კ. ც. კ. ქალთა შორის მუშაობის განყოფილების ყოველთვიური ჟურნალი № 11.

1925 წ. თებერვალი

ჟურნალი „ჩვენი გზა" გამოდის მეორე წელიწადია. უნდა აღინიშნოს, რომ მას საერთოდ წინსვლა ეტყობა და № 11 უეჭველად სჯობია გასულ ნომრებს ფორმითაც და შინაარსითაც. სარედაქციო კოლეგიას პრაქტიკული ზომები მიუღია, რომ ჟურნალის შინაარსი და ენა გასაგები იყოს დაინტერესებულ გლეხი-ქალებისათვის. გარეგნული ლამაზი ფორმა, მოკლე წერილები მოხერხებულ ადგილებზე ლოზუნგები დიდრონი ასოებით და რევოლიუციის ბელადთა სურათები არა დაინტერესებულ პირთა ყურადღებასაც მიიზიდავს.

მიზანშეწონილია კომუნისტური ფიცის პირველ გვერდზე მოთავსება—ჟურნალის გაშლისთანავე მოკლედ და გასაგებათ გამოთქმული დიდი აზრები თვალში გვხვდებათ. ჟურნალის პირველი ნაწილი შეიცავს უმთავრესად ლენინის აღთქმებს და მოწოდებებს 8 მარტის სამზადისისათვის. მოწოდებები და წერილები კარგადაა შედგენილი, მაგრამ თავს ვერ აღწევენ უცხო სიტყვებს. ის, რაც ძალიან ადვილი გასაგებია ქალაქის მუშისათვის, ხშირად გაუგებარი და უცხოა გლეხი ქალისათვის. მიზანშეწონილი იქნება ჟურნალის უკანასკნელ გვერდზე მოთავსდეს „უცხო სიტყვების ახსნა".

მეორე განყოფილება ლენინის კუთხე და მესამე—ლიტერატურა საინტერესო და შინაარსიანია.

მეხუთე განყოფილება შეიცავს პროვინციიდან მოსულ წერილებს. წერილები მოთავსებულია საქართველოს მრავალ კუთხიდან.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ მასალების დალაგება სწორია ჟურნალში, კორექტურული შეცდომები თითქმის სრულიად აცილებულია. ჟურნალს ეტყობა მცოდნე თანამშრომელთა ხელი. დასასრულ უნდა ითქვას, რომ ჟურნალი „ჩვენი გზა" ქალთა ერთად ერთი ორგანოა საქართველოში და თუ ასე განაგრძობს სვლას, შემოიკრებს მეტ ძალებს თავის გარშემო.

ექვთიმე.

იურიდიული რჩევა-დახმარება

მომეცემა თუ არა რაიმე შეღავათი ჯარში გაწვევის დროს

კითხვა

ვარ დაბადებული 1902 წელში; ჩემი ოჯახი შესდგება 5 სულისაგან, რომლებიც არიან შრომის უუნარმოკლებულნი:

1. დედა არის 50 წლისა.
2. მამა—60 წლისა.
3. ძმა—11 წლისა.
4. ჩემი შვილი ოთხი თვისა და
5. ცოლი 23 წლისა. ყველა ესენი ჩემს კმაყოფაზე იმყოფებიან.

ჩემი ჯარში გაწვევის შემდეგ უმარჩენლოდ რჩებიან. ამიტომ გთხოვთ განმიმარტოთ, მომეცემა თუ არა რაიმე შეღავათი ოჯახური მდგომარეობის გამო ჯარში გაწვევის დროს.

ა. ფუთურიძე.

პასუხი

თანახმად საბჭოთა რესპ. საკავშირო ცაკის წითელ ჯარში გაწვევის დროს მოქალაქეთავის ოჯახურ მდგომარეობის გამო შეღავათების შესახებ დადგენილების მუხ. 4-ისა, თქვენ გაქვთ უფლება (შესაძლებელია მიიღოთ კიდეც შეღავათი პირველ ხარისხისა) აღძრათ სამხედრო კომისარიატის წინაშე სათანადო შუამდგომლობა, რათა თქვენ ოჯახური მდგომარეობის გამო შეგეცვალოთ წითელ ჯარში ნამდვილი სამხედრო სამსახური საყოველთაო სამხედრო სწავლების გავლით.

მომეცემა თუ არა მიწა დასამუშავებლად

კითხვა

მე ვარ ქ. სამტრედიის მცხოვრები, და ვმუშაობ „ცეკავშირის" ცენტრალურ საწყობში მუშად. ვარ საბჭოთა მუშაკების პროფკავშირის წევრი (საწ. წიგ. № 1365).

მე მქონდა სამტრედიის რაიონში საყანე მიწა და ეზო, რომლებიც ერთად არ აღემატებოდა ნახევარ ნორმას. მაქვს თუ არა უფლება მოვითხოვო, რათა ეს მიწა მომეცეს მე დასამუშავებლად.

მუშა რუბენ ჯანელიძე.

პასუხი

თანახმად მიწის კოდექსის მუხ. 67-სა, ადგილობრივ სასოფლო საბჭოსთან შეთანხმებით,—ფიზიკურ შრომის მუშებს (ამ შემთხვევაში თქვენც) შესაძლებელია მიეცეთ მიწის ნახევარი ნორმა დასამუშავებლად.

ყოფილი ქმარი სარჩოს არ გვაძლევს, როგორ მოვიქცე

კითხვა

1912 წელში მე მივთხოვდი კანონიერ ქმარს მოქ. სერგო ტორონჯაძეს, რომელთანაც ვცხოვრობდი 10 წელიწადი; მასთან ცხოვრების დროს ვიყავი მეტად ცუდ მდგომარეობაში: ის ლოთობდა და მთელ ჯამაგირს ამ ლოთობაში ხარჯავდა; მიუხედავად ამისა, მე მაინც პატიოსნად განვაგრძობდი მასთან ცხოვრებას და უვლიდი მას და ბავშვებსაც (მყავს ორი ბავშვი, რომლებიც ჩემთან ცხოვრობენ). ამ ცუდი ყოფაქცევით იმან გამიფლანგა ჩემი ნამზითვი, გაყიდა ჩემთვის მამის მიერ მოცემული მიწა. შემდეგ ის შევიდა სამსახურში ბათომში, საიდანაც მაძლევდა წინადადებას: „მე მივდივარ საზღვარ გარეთ; საქართველოში არ ჩამოვალ და უნდა განვშორდეთ ერთმანეთს კანონიერადო". მეც დავთანხმდი, რადგან მასთან ცხოვრება აუტანელი იყო და განვშორდი მას კანონიერად 1921 წელს. ბოლოს გაირკვა, რომ მან მე მომატყუილა, ის არსად არ წასულა და ამჟამად სცხოვრობს სამტრედიაში, სადაც ის მსახურობს პარკის საღებ ქარხანაში.

ჩემთან განშორების შემდეგ ჩემი ყოფილი ქმარი ხშირად იცვლის ცოლებს; ამ უკანასკნელად ერთი კვირის მოყვანილი ქალი გაუშვა.

მე, როგორც ორი ბავშვის მარჩენალ დედას, მინდოდა შევსულიყავ ამავე ქარხანაში სამუშაოდ, მაგრამ ყოფ. ქმრის წყალობით მე იქ არ მიმიღეს, ვცხოვრობ გაჭირვებულად, არა მაქვს არავითარი სახსარი ცხოვრებისა. განვიცდი უკიდურეს გაჭირვებას ყოველმხრივ...

მინდა რა ჩემ ყოფილ ქმარს მოვთხოვო სარჩო-საზრდელი ბავშვებისათვის, რომელნიც მეყოლა მის ხელში და ჩემთან არიან, გთხოვთ მიპასუხოთ, როგორ მოვიქცე.

ოლია ივანეს ასული ტორონჯაძისა.

პასუხი

თანახმად დეკრეტის 28-ის მუხ. 124—128-ისა, თქვენ გაქვთ სრული უფლება აღძრათ საჩივარი თქვენ ყოფილ ქმარზე სახალხო სასამართლოში თქვენი ბინადრობის მიხედვით და მოითხოვოთ მისგან ბავშვების სასაზრდოებლად და გასაზრდელად სარჩო მისი ქონებრივი შეძლების მიხედვით.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 22.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

საკურორტო მიწის ფონდიდან მიწის ნაკვეთების საალნაგო უფლების საფუძველზე გაცემის შესახებ.

სამკურნალო ადგილებში (კურორტები) თავისუფალ მიწის ნაკვეთებზე სააგარაკო ხასიათის შენობების აგებისათვის ხელის შეწყობისა და კერძოდ კურორტებზე საბინაო კრიზისის შესუსტების მიზნით, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. ნება მიეცეს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მთავარ საკურორტო სამმართველოს გასცეს ხოლმე საალნაგო უფლების საფუძველზე საკურორტო მიწები, რაც მის განკარგულებაშია, (საქ. სოც. საბჭ. რეს. ც. ა. კ.-ის და საქართველოს ს. ს. რ. ს. კ. ს. 1923 წლ. თებერვლის 3-ის დეკრეტი და 29 №-ის დადგენილება) სამოქალაქო სამართლის კოდექსის 71—84 მუხლში გათვალისწინებულ წესისამებრ.

2. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
თავმჯდომარე ფ. მახარაძე.
სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
მდივანი ს. თოდრია.

1925 წლ. მაისის 1.
თბილისი-სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

10 მაისს დილის 10 საათზე დანიშნულია ახ. ლენ. კომკავშირის ახ. უნივერსიტეტის „ა" და „ბ" უჯრედების ბიუროების გაერთიანებული სხდომა. ადგილობრივ დასწრება სავალდებულოა ბიუროს ყველა წევრისა და კანდიდატებისათვის. თხოვნა ამხანაგებისადმი არ დაიგვიანონ.

— ს. კ. პ. თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება მეორეჯერ წინადადებას აძლევს ქვემოჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდენ ამხ. ვატიაშვილთან.

1. ბუდანოვა არუს ისაკის ასული, 2. გორგოშიძე ალექსანდრე მოსეს ძე, 3. ჯარაჯოვა ნინა სტეფანეს ასული, 4. კაჭახიძე ონიფანტე სპირიდონის ძე, 5. კაჭახიძე თამარა სპირიდონის ასული, 6. ოგანესიანი გაიანე სერგის ასული, 7. ასლამაზოვი კარაპეტ ბაგრატის ძე, 8. გორდაძე დავით მიხეილის ძე, 6. ბანნიკოვი ვასილ მათეს ძე, 10. ჯემსონი ანნა.

— ს. კ. პ. თბილისის ორგანიზაციის მე-3 რაიკომი წინადადებას აძლევს არტემ აკოპოვს, მიხეილ სტეპანოვს და არსენ მანუკოვს სამი დღის განმავლობაში გამოცხადდენ მე-3 რაიკომის სააღრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში.

მდივანი გართაპეტიანი.

— სამშაბათს ა/წ. 12 მაისს საღამოს 6 საათზე შესდგება **ცეკას სააგიტ.-საპროპაგ. განყოფილებასთან არსებულ კოლეგიის მორიგი სხდომა.** დღის წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები:

1) ოზურგეთის სამაზრო კომიტეტის სააგიტ. საპროპ. განყ. წარმომადგენელის ამხ. გორდელაძის მოხსენება აგიტ-პროპის მუშაობის შესახებ.

2) ოზურგეთის მაზრის პოლიტ-განის წარმომადგენელის ამხ. მინდაძის მოხსენება პოლიტგანის მუშაობის შესახებ.

3) ლენინის კუთხეების შესახებ.

დასწრება სავალდებულოა შემდეგი ამხანაგებისათვის: რუხაძე, მურავიოვი, ასრიბეკოვი, სიხარულიძე, ძიგრაშვილი, გიორგაძე, ოვანესიანი, ჭელიძე, ქაცარავა, მხიტაროვი და ეგიკოვი.

ცეკას სააგიტ. საპროპ. განყ. მდივანი **ბარათაშვილი.**

— თბილ. კომიტეტი იუწყება: სამშაბათს, 12 მაისს, საღამოს 6 ნახ. საათზე, პარტიულ ცენტრ. კლუბში გაიმართება საინსტრუქტორო მოხსენება ამხ. **ნაზარეტიანისა:**

„მე-14-ე პარტკონფერენციის შედეგების შესახებ".

დასწრება სავალდებულოა უჯრედებში მომხსენებლებისა და უჯრედების მდივნებისათვის.

თ. კ. მდივანი—**ასრიბეკოვი.**

— კვირას, 10 მაისს, საღამოს 5 საათზე, საქართველოს კომპარტიის ბინაზე შესდგება

ცეკას საორგანიზაციო კოლეგიის სხდომა.

დღის წესრიგში დასმულ საკითხების მნიშვნელობის გამო დასწრება სავალდებულოა შემდეგი ამხანაგებისათვის: მურავიოვი, ათოევი, სვანიძე ნ., ბლუაშვილი, კრუგლიკოვი, რუხაძე ლ., გეურქოვი, აფციაური, დუმბაძე ლ., ქავთარაძე ა. და ცეკას ყველა განყოფილების და ქვე-განყოფილების გამგეები თავთავიანთი ინსტრუქტორებით.

ორშაბათს, 11 მაისს, საღამოს 6 საათზე, შესდგება აღნიშნული სხდომის გაგრძელება, სადაც გარდა აღნიშნული ამხანაგებისა მოწვეული არიან: ტრაპაიძე ზევედეი და გველესიანი (რ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი).

ამხანაგებს ვთხოვთ ნუ დაიგვიანებენ.

ს. კ. პ. ცეკას საორგანიზაციო კოლეგიის მდივანი **ჟღენტი.**

განცხადებები

სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის მე V-თე კურსის სტუდენტობა მწუხარებით აუწყებს ნაცნობებს და მეგობრებს დაუვიწყარ და საყვარელ ამხანაგის ამავე კურსის, სტუდენტის

გრიგოლ (გრიშა) სიმონის-ძე
ქელბაქიანის

უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება საკუთარ სახლიდან (წილკანის ქუჩ. № 5) დღეს 10 მაისს, დილის 11 საათზე. დაკრძალვა ვერის სასაფლაოზე.

№ 1281—1—1

ს. კ. პ. თბილისის ორგანიზაციის მე-3-ე რაიკომი აუწყებს ამხანაგებს პარტიის წევრის

ამხ. გიორგი მენაბდეს

უეცრათ გარდაცვალებას.

ცხედრის გამოსვენება დღეს, 10 მაისს, დილის 11 საათზე მთავარ საავადმყოფოდან (ყოფ. მიხეილის საავადმყოფო). დასაფლავება ვერის სასაფლაოზე.

№ 1285—1—1

ღრმა მწუხარებაში მყოფნი მშობლები სიმონ (სერგო) გრიგოლის ძე და თებრონე დიმიტრის ასული, ძმები: ვალერიანე, გიორგი, ბიძინა და მარგალიტა, ბიძები: ვასილი, დათიკო და კაკო გრიგოლის ძე ქელბაქიანები აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ ა/წ. 6 მაისს საღამოს 4 ს. 5 წ. ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობით გარდაიცვალა მათი დაუვიწყარი, სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის მე-V კურსის სტუდენტი

გრიგოლ (გრიშა) ქელბაქიანი

პანაშვიდი ყოველ დღე საღ. 6 საათზე, ვერა, წილკანის ქუჩა, სახლი № 5. ბინიდან გამოსვენება დღეს 10 მაისს, დილის თერთმეტ საათზე. დაკრძალვა ვერის ნიკოლოზის სასაფლაოზე

ნ. № 1146—1—1

მოსკოვის უნივერსიტეტის ყოფილ ქართველ სტუდენტების ჯგუფი მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას მოსკოვის ქართულ კოლონიის აქტიურ წევრის, საყვარელ ადამიანის და თავდადებულ მეგობრის

გრიგოლ ბეჟანის ძის მენაბდის

უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოდან დღეს, დღეს, მაისის 10-ს, დილის 11 საათზე

№ 1282—1—1

---

10 მაისს მცირე თეატრი 10 მაისს

ტერენტი გრანელის
პოეზიის საღამო

1. სიტყვები.
2. პოეზია.
3. მუსიკა.

ნ. 1124 4—4

მუშკოოპის წევრთა საყურადღებოდ

ორშაბათს, 11 მაისს, საღამოს 6 საათზე მუშკოოპის მაღაზიის შენობაში კირკის ქუჩა № 7 ზევითა სართულის რგვალ დარბაზში შესდგება პლეხანოვის რაიონის თბილისის მუშკოოპის წევრთა

სარაიონო კრება

დღის წესრიგი: 1. მოხსენება გასულ წელში მუშკოოპის მოღვაწეობის შესახებ.
2. რწმუნებულთა და სარაიონო სადუქნო კომისიის წევრთა არჩევნები.

ამ კრებაზე უნდა გამოცხადდენ მუშკოოპის ყველა წევრები, რომლებიც სცხოვრობენ და მუშაობენ ხსენებულ რაიონში.

ნის. 1130. 1—1.

ქართველი ავტორების საყურადღებოდ
ს. ს. ს. რ.
სახელმწიფო გამომცემლობა

ამით აცხადებს, რომ გადაწყვეტილია დამზადდეს და გამოიცეს წიგნები შემდეგ თემებზე:

1. ქართული ძველი ლიტერატურის ისტორია—დაახლოებით 250 გვერდი.
2. ქართული ახალი ლიტერატურის ისტორია, დაახლოებით 300 გვერდი.
3. საზოგადოებრივ ფორმათა განვითარების ისტორია (ქართული მასალების მიხედვით), დაახლოებ. 200 გვ.
4. ბატონ-ყმობის ისტორია საქართველოში—დაახლ. 100 გვ.
5. საქართველოს ეკონომიური განვითარების ისტორია—დაახლ. 120 გვ.
6. საქართველოს რევოლიუციონური მოძრაობის ისტორია—დაახლოებით 160 გვ.
7. 1905 წელი საქართველოში—დაახლ. 80 გვ.
8. 1917 წელი საქართველოში—დაახლ. 80 გვ.
9. აგრარული მოძრაობა საქართველოში—დაახლ. 80 გვ.
10. ქართული კულტურის ისტორია—დაახლ. 240 გვ.
11. ფეოდალიზმი საქართველოში—დაახლ. 200 გვ.

ყველა ზემოხსენებული თემა უნდა დამუშავდეს მარქსისტული თვალსაზრისით.

ავტორებმა ორი კვირის განმავლობაში დღიდან ამ განცხადებისა, უნდა წარუდგინონ სახელგამის გამგეს განცხადება და აგრეთვე დაწვრილებითი გეგმა არჩეული თემისა.

მოწონებულ გეგმის ავტორებს პირობების შესახებ სახელგამი ცალკე შეუთანხმდება.

ნ. 1145. 1—1 ს. ს. ს. რ. სახელმწიფო გამომცემლობა.

მუშკოოპი
ამით აცნობებს მომხმარებლებს
რომ კვირაობით, ჩვეულებრივ წესით სწარმოებს
ვაჭრობა შემდეგ მაღაზიებში:

ცენტრალურში	დილის 8 ს. ღამ. 12-დე.	(კირკის და პლეხანოვის ქ.)
№—1		(კუთხე ლენინის ქ. და ვერა)
№—7	დილის 8 ს. ღამ. 11-მდე	(შაუმიანის მოედ. ავლაბ.)
№—9		(თავისუფლების მოედანი)
№—12	დილის 7 ს. ნაშ. 1-მდე	(ლენინის ქუჩა № 3)
№—28	დილის 7 ს. ნაშ. 2-მდე	(დეზერტირების ბაზარი)
№—29		(სალდათების „)
№—30	დილის 8 ს. ნაშ. 1-მდე	(თუმანოვის ქ. № 1)
№—31	დილის 7 ს. ნაშ. 1-მდე	(ლაზარევის ქ. № 1)
№—20	დილის 8 ს. ნაშ. 1-მდე	(პუშკინის ქ. № 9)
№—11	დილის 8 ს. ღამ. 11-მდე	(რუსთაველის პრ. № 25)
№—13	დილის 8 ს. ნაშ. 4 1/2-მდე	((ლენინის ქ. № 40)

მაღაზიებში №№ 1, 9, 7, ცენტრალურში № 11 და 13
ვაჭრობა სწარმოებს ღამის 12 საათამდი

ნის. 1147. 1—1

დაინტერესებულ პირთა საყურადღებოდ
ს. ს. ს. რ.
სახელმწიფო გამომცემლობა
აცხადებს, რომ
ჭოლა ლომთათიძის

თხზულებანი გამოიცემა სახელგამის მიერ მამია ორახელაშვილის რედაქციით. I ტომი გამოვა ა/წ. მაისის, ხოლო მე-II—ივნისის დამლევს.

ხელისმოწერა მიიღება სახელგამის მაღაზიაში № 1 (რუსთაველის პრ. № 11) და სახელგამის აგენტ ს. თავართქილაძესთან წიგნის მაღაზია „განათლებაში" (ლენინის ქ. № 6).

ყველა ძველი და ახალი ხელისმომწერნი დაკმაყოფილებულ იქნებიან სახელმწიფო გამომცემლობის მიერ.

წიგნი (ორი ტომი) ხელისმომწერთათვის [illegible] სურათით ღირს 4 მანეთად არა ხელისმომწერთათვის წიგნი უფრო ძვირად ეღირება.

ნ. 1199. 5—3 სახელგამი.

ამა მაისის 25-დან დაიწყებს მუშაობას თბილისის სასაკლაოების

საყინულე ქარხანა

ვისაც სურთ ისარგებლონ ყინულით მომავალ ზაფხულის სეზონში, თავის დროზედ უნდა მიმართონ სასაკლაოების ადმინისტრაციას საჭირო პირობების დასადებად.

ტელეფონ. №№ 8—66, 17—94.
3—1 ნ. 1148. სასაკლაოების დირექცია.

გამოვიდა და იყიდება
ა. წ. ინწკირველის შედგენილი შენიშვნები
ანგარიშწარმოების შესახებ
წიგნში განხილულია რამოდენიმე პრაქტიკული კითხვა. ფასი ათი შაური
იყიდება აგრეთვე ამავე ავტორის
ბუხჰალტერიის ზოგადი კურსი

1260. 2—2

მოითხოვეთ ყველგან
სახლვინტრესტის
მიერ გამოშვებული ყველა ხარისხის
ლუდი

ლუდი მზადდება საუკეთესო ბოჰემური მაჭიკისაგან
მოსკოვის ლუდის ქარხნის მთავარი მხდელის ამხ. მიკლერის მიერ
ქარხანა № 6, კამოს ქუჩა ტელ. № 11—92.

ნ. 1101. 5—4

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ს. ს. რ. სახელმწიფო გამომცემლობა

სამმართველო:
რუსთაველის პრ. № 31
ტელეფ. 6--43

სამმართველო:
რუსთაველის პრ. № 31
ტელეფ. 6--43

სახელგამის წიგნის მაღაზიებსა და განყოფილებებში მიღებულია და იყიდება

ქართულ-რუსულ ენებზე უახლოესი გამოცემანი ლიტერატურის ყველა დარგებიდან

მაღაზიებს აქვს დამზადებული და აწვდიან ორგანიზაციებს, დაწესებულებებს და კერძო პირთ ბიბლიოთეკებს სხვადასხვა დარგებიდან მათი მოთხოვნილების მიხედვით. საკანცელარიო ნივთები, გასართობ-სათამაშოები, პორტრეტები, პლაკატები, ქარტები.

პარტიულ, პროფესიონალურ, საბჭოთა და კოოპერატიულ დაწესებულებებს

ფასდაკლება და ნისია

გამოიწერეთ
ამხ. ლენინის და
ფ. მახარაძის
სრული თხზულებანი

დაიკვეთეთ სახელგამის
მაღაზიაში № 4
პიანინო და სხვა მუსიკალური ინსტრუმენტები.

მოითხოვეთ:—ლიტერატურა. იყიდება

1) **მახარაძე**—თხზულებანი ტ. ტ. I, II, და IV. 2) **გორევი**—სოციალიზმის ისტორია, 3) **ვოლფსონი**—საზოგადოებათმეცნიერება, 4) **სორინი**—ლენინის მოძღვრება, 5) **ლენინის ბიბლიოთეკა**—19 წიგნი. 6) ლენინი—თხზულებანი ტ. XIV, XIX, XIV, 7) ზინოვიევი—რ. კ. პ. ისტორია, 8) ორახელაშვილი.—პროლეტარ. რევოლ.?? 9) ლენინი—წერილები და სიტყვები, 10) ლენინი—მემარცხენეობის სენი, 11) პლეხანოვი—ნარკვევი მატერიალ. ისტორიიდან, 12) სტალინი—ლენინი და ლენინიზმი 13) ბოგდანოვი—დაწყებ. კურსი პოლიტ. ეკონომიისა, 14) პლეხანოვი—სარწმუნოების შესახებ, 15) ჩეკინი—პროფმოძრაობის ანბანი, 16) ტროცკი—ტერორიზმი და კომუნიზმი 17) ყაზბეგი—თხზულებანი ტ.ტ. I და II, 18) ნინოშვილი—თხზულებანი ტ. I და II, 19) ბარათაშვილი—პოემები, 20) ნ. ლორთქიფანიძე—მოთხრობები, 21) ერისთავ-ხოშტარიასი—მიწა, 22) ბარბიუსი—ცეცხლი, 23) ჯავახიშვილი—ჯაყოს ხიზნები, 24) ჯავახიშვილი—კვაჭი კვაჭანტირაძე, 25) კოტეტიშვილი—ალ. ყაზბეგი, 26) ბოგდანოვი—ინჟენერი მენნი 27) უზნაძე—ფსიქოლოგია, 28) გაბლიანი—სვანეთის ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა 29) გეხტმანი—მსოფლიოს ეკონომ. გეოგრაფია, 30) ორბელიანი—ფრანგული ენის სახელმძღვანელო, 31) გომართელი—ტვინი და სული, 32) ახალი ქართული ქრესტომატია ტ. II და მრ. სხვა. 33) ნაკადული № 2—1925 წ., 34) წითელი სხივი № 2 1925 წ.

საბავშვო ბიბლიოთეკა--26 წიგნი--10 მანეთი, სასოფლო მეურნეობის ბიბლიოთეკა--45 წიგნი—6 მანეთი, პედაგოგიური ლიტერატ. 18 წიგნი---8 მან.

მაღაზიები) № 2, 3, 4
თბილისში)

სათამაშოები:

განყოფილებანი პროვინციაში) ქუთაისში ლიბკნეხტის ქ. ტელ. № 28
) ბათომში მესამე ინტერნ. ქუჩა, ტელ. 25

1) საამშენებლო აგურები ყუთებში №№ 1, 2, 3, 4, 5 და 6, 2) ჭადრაკი ყუთით—ხის მასალის და რკინაჩამოსხმულები, 3) კოჯი (кегли), 4) ცხოველები: დათვი, სპილო, აქლემი, მგელი და სხვა. ხის მასალისა და ჭინჭულობისაგან, 5) დომინო სხვადასხვა სიდიდის, 6) მუსიკალური ინსტრუმენტები: გიტარა, ჭიანური (скрипка), ბალალაიკა, როიალი, პიანინო და სხვ. 7) გასართობები: „ორთქლმავალი“, „ზღარბი“, „ხალმა“, „დიდ-დინი“, „მგელი და მელა“ და სხვ. 8) სილის სათამაშო იარაღებ-მოწყობილობანი №№ 1, 2, 3, 4 და 5, 9) დედოფლები ფორფორის და ჰინჯის, 10) ავტომობილები, ორთქლმავლები, ეტლები, ვაგონები და გემები და სხვ. რჩეული **მუსიკალური ნაწარმოებები**: (ფორტეპიანოსთვის) ბეტხოვენის, შოპენის, მოცარტის, მენდელსონის, შუმანის, სენ-სანსის, ჩაიკოვსკის, რუბინშტეინის და სხვ.

უახლოეს დროში გამოვა ქართველ მუსიკოსთა ნაწარმოებები.

სახელგამის მაღაზიები თბილისში და პროვინციებში:

მაღაზია № 1
რუსთაველის პრ. № 11
ტელეფ. 3—89

მაღაზია № 2
პლეხანოვ. პრ. № 100
ტელეფ. 22—11

მაღაზია № 3
კახეთის მოედანი № 1
ტელეფ. 18—72

მაღაზია № 4
თავისუფ. მოედ. № 1.
ტელეფ. 12—71

ბათომის განყოფილება
მე-3-ე ინტერნაციონალის ქ. №127
ტელეფონი № 25

ქუთაისის განყოფილება
ლიბკნეხტის ქ. ტელ. 28

გორის განყოფილება
(გაიხსნება)
ლენინის ქუჩა

ნ. 1144. 1—1

თბილისის კომუნალურ ბანკის გამგეობა

აცხადებს, რომ თანახმად ბანკის წესდების მე-8 §-ისა, დანიშნულია ბანკის აქციონერთა ჩვეულებრივი

საზოგადო კრება

31 მაისს, დღის 12 საათზე, ბანკის შენობაში, პუშკინის ქუჩა № 3

დღის წესრიგი:

1) გამგეობის მოხსენება ბანკის მოქმედებაზე,
2) ბანკის განყოფილებათა და საგენტოების გახსნა,
3) გამგეობის წევრის არჩევა,
4) მიმდინარე საკითხები.

გამგეობა.

1—1 ნ. 1151

ქალთა საყურადღებოდ

ვიღებთ შეკვეთებს: ქალთა ქუდებს გადასაკეთებლად, შესაღებათ, ჩალის და აბრეშუმისას. აქვე ვიღებთ ქალის და კაცის ყოველგვარ თეთრეულს და ტანისამოსს ხელმისაწვდომ ფასებში

უმუშევარ ქალთა კოლექტიური არტელი.

მისამართი: სასახლის ქუჩა № 3. ეზოში.

1—1 1292

სახალხო განათლების კომისარიატის ტეხნიკური განყოფილება

ამით აცხადებს, რომ ამა თვის 14, 12 საათზე კომისარიატის შენობაში (რუსთაველის პრ. № 31) დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

კოჯრის აგარაკების შეკეთებისა.

დაწვრილებითი პირობები და კონდიციები შეიძლება მიიღოთ ყოველ დღე 12—2 ნახ. საათ. განათლების კომისარიატის ტეხნიკურ განყოფილებაში.

ტეხნიკური განყოფილების გამგე ინჟინერი დ. ჯორჯაძე.

1137. 2—2

---

10 მაისს დილის 10 საათზე მუშათა მთლიან კოოპერატივის ეზოში ჟორესის (ყოფილ პარკის) და კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქუჩების კუთხე—დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

4 ცხენის და ერთი ვირის გასასყიდათ

იქვე ცალიერი ყუთები იყიდება დიდძალი რაოდენობით 20 კაპეიკიდან ცალი. ცნობების მიღება შეიძლება ყოველდღე, გარდა უქმე დღეებისა, დილის 8 საათიდან დღის 3 საათამდე. მიმართეთ მომარაგების განყოფილების გამგეს.

მისამართი: კირკის და კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქუჩის კუთხე, მუშათა მთლიან კოოპერატივის მთავარი საწყობი, შესავალი ეზოდან.

ნ. 1141 2—2

თბილისის სასაკლაოების დირექციისაგან

თითქმის ყოველ დღე თბილისის სასაკლაოებში დაიარებიან დასათვალიერებლად სხვადასხვა ექსკურსანტების ჯგუფები და ყველა დარგში ერთობ უშლიან მუშაობას.

სასაკლაოების ადმინისტრაცია აცხადებს, რომ ამიერიდან სასაკლაოების დათვალიერება დაშვებული იქნება მხოლოდ კვირაში ერთხელ ოთხშაბათობით, ისიც თუ მსურველები აიღებენ ადმინისტრაციის ნებართვას ორი-სამი დღის წინად.

3—1 ნ. 1149. სასაკლაოების დირექცია.

თბილისის კომუნალური ბანკის ბალანსი

1925 წლის 1 მაისისათვის.

აქტივი.

კასა და მიმდინარე ანგარიშები	198,608—28
ფასიანი ქაღალდები, ვალიუტა საკუთარი საქონელი	533,764—31
სათამასუქო ოპერაციები	1,822,180—80
საქონლის და სესხის ოპერაციები	857,298—18
გრძელვადიანი სესხები	942,493—28
კორესპოდენტები	564,415—25
სხვადასხვა პირები და დაწესებულებები	90,645—33
ანგარიში განყოფილებებთან	545,199—91
ანგარიში სავაჭრო განყოფილ.	128,764—71
მოძრავი ქონება	4,095—25
საორგანიზაციო ხარჯები	5,276—00
მიმდინარე ხარჯები	56,464—92
პროცენტები და გადახდილი კომისიები	59,324—43
გასაჩივრებული თამასუქები	41,944—89
სხვა აქტივები	23,749—57
	5,874,225—11

პასივი.

კაპიტალები: ძირითადი	832,591—00
„ სათადარიგო	26,054—37
საგანგებო დანიშნულების სპეციალური საშუალებები	648,350—00
ანაბარები და მიმდინარე ანგარიშები	1,841,199—58
სესხები	260,000—00
სპეციალური მიმდინ. ანგარიშები სახელმწიფო ბანკში	715,809—83
კორესპოდენტები	1,176,448—17
სხვადასხვა პირები და დაწესებ.	36,137—62
გაუსტუმრებელი ამანათები და თანხები	5,369—40
პროცენტები, კომის. და სხვა ხარჯები	303,422—02
სხვა პასივები	28,848—12
	5,874,225—11

ნ. 1150 1—1

თბილისის აღმასკომის თანამშრომელთა კლუბთან

სოლოლაკის და ფრეილინის ქუჩ. კუთხე

გაიხსნა

ბაღი-რესტორანი

სამზარეულო ევროპიული და აზიური საუკეთესო კულინარის ზედამხედველობით.
უაღრესად დაცულია სისუფთავე

გაიცემა საუკეთესო სადილები სახლშიაც დღის 2 საათიდან—ორი თავისაგან 50 კაპეიკად, 3 თავისაგან—70 კაპ. ვახშამი ღამის 3 საათამდე, ფასები პორციების ყველასათვის მისაწვდომია. ღვინოები საუკეთესო ფირმების 50 კაპეიკიდან ზევით. 2—2

საჯარო ვაჭრობა

ამით ცხადდება, რომ ქ. ბაქოში, კოოპერატიულ ქ. № 8

ამიერ-კავკასიის საბამბო კომიტეტის

აზერბეიჯანის განყოფილების კანტორაში 1925 წ. 30 მაისს, დღის 12 საათ. შესდგება

საჯარო ვაჭრობა

შემდეგი საამშენებლო სამუშაოების გასაცემათ იჯარით

1. **სადგურ ევლახში:** ა) ბამბის საწმენდი ქარხნის რკინა-ბეტონის შენობის აგება საერთო კუბატურით—500 კუბ. საჟ.
   ბ) 24 ოთახიანი ორსართულიანი ქვის სახლის აგება საერთო კუბატურით—495 კუბ. საჟ.
   გ) ორი ფარდულის აგება რკინა-ბეტონის ბოძებზე საერთო კუბატურით—710 კუბ. საჟ.
   დ) მატერიალური საწყობის აგება საერთო კუბატურით—68 კ. ს.
2. **სადგურ უჯარაში:** ბამბის საწმენდი ქარხნის რკინა-ბეტონის შენობის აგება საერთო კუბატურით—355 კუბ. საჟ.
3. **სადგურ აქსტაფაში:** ფარდულის აგება საერთო კუბატურით—162 კუბ. საჟ.
4. **ბარდაში:** 16 ოთახიანი ორსართულიანი ქვის სახლის აგება—410 კუბ. საჟ.
5. **ხინდრისტანში:** ა) 16 ოთახიანი საცხოვრებელი სახლის აგება—410 კუბ. საჟ.
   ბ) აბანოს აგება—52 კუბ. საჟ.
6. **ზუბოვკაში:** ა) აბანო—52 კუბ. საჟ. ბ) ფარდული—162 კუბ. საჟ.
7. **განჯაში:** ა) ერთსართულიანი ქვის სახლი ქარხნის სამმართველოსა და ინჟინრისათვის საერთო კუბატურით—216 კუბ. საჟ.
   ბ) ორი ერთსართულიანი ქვის სახლი მუშებისათვის საერთო კუბატურით—416 კუბ. საჟ.
   გ) ორი ერთსართულიანი ქვის სახლი ცოლშვილიანებისათვის საერთო კუბატურით—290 კ. ს.

სამუშაოები შეიძლება მიეცეს ცალ-ცალკე ანდა რამოდენიმე ერთად ერთდაიმავე დაწესებულებას ანდა პირს

იმ პირებმა, რომლებსაც სურთ მონაწილეობა მიიღონ საჯარო ვაჭრობაში, უნდა შეიტანონ განცხადებები დახურულ კონვერტებში და აღნიშნონ თვითეული სამუშაოს ერთი კუბიკური საჟენის ღირებულება; კონვერტებზე დაწერილი უნდა იქნეს: „ა | წ. 30 მაისის საჯარო ვაჭრობისათვის“; საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველებმა **ამიერ-კავკასიის საბამბო კომიტეტის აზერბეიჯანის განყოფილების სალაროში უნდა შეიტანონ აგრეთვე** არა უგვიანეს ა | წ. 29 მაისისა საწინდარი სამუშაოების საერთო ღირებულების 10 პროც. რაოდენობით. ქონება საწინდრათ მიღებული არ იქნება. სახელმწიფო დაწესებულებები საწინდარის შეტანისაგან თავისუფლდებიან. საწინდარი დაბრუნებული იქნება უკანვე საჯარო ვაჭრობის შედეგების გამორკვევისათანავე.

ყველა საჭირო ცნობების მიღება, და აგრეთვე კონდიციების და საპროექტო ნახაზების გაცნობა შეიძლება **ამიერ-კავკასიის საბამბო კომიტეტის აზერბეიჯანის განყოფილების ტეხნიკურ ნაწილში;** მსურველებს მათი გაცნობა შეუძლიათ ა | წ. 25 მაისიდან ყოველდღე დღის 12 საათიდან 2 საათამდი კანტორაში, ქალ. ბაქოში, კოოპერატიული ქ. № 8.

1—1 ნ. № 1143 ამიერ-კავკასიის საბამბო კომიტეტის გამგეობა

არარის უკეთესი
კეფირი, ვიდრე

ო. კორონასი

ლორის მელიქოვის ქ. № 6.

ცნობილია მრავალ სამედიცინო გამოკვლევების დროს ყველაზე საუკეთესო კეფირად, როგორც თავისი ღირსებით, ისე დამზადებით, რაც მიღწეულია 45 წლის გამოცდილებისა და დაკვირვების შემდეგ. ამიტომ ვსთხოვ ყველას, შეადარონ ჩემს ლაბორატორიაში დამზადებული კეფირი სხვა კეფირს. მსურველთ შეიძლება სახლში მივაწოდოთ ნ. 1106 25—3

დაიკარგე დაიკარგე დათიკო ტომარაძემ დროებითი პარტ. ბილეთი № 127 ჩაითვალოს გაუქმებულათ. 1279 1—1

დაიკარგე მეტრიკული მოწმობა № 3671, 1915 წლ. სოლომონ ნავთიქოვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 1280 1—1

დაიკარგე რეგისტრაციის მოწმობა მოცემული ს. ასურეთიდან ხერო ბეროიანცის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1284 1—1

დაიკარგე პასპორტი, მეტრიკული მოწმობა თამარა მასხაროვა-პარაჯანოვის სახელზე და მეტრიკული მოწმობები შვილებისა შალიკო და ლიპა მასხაროვების სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 1283 1—1

დაიკარგე სიმწიფის მოწმობა № 838 გაცემული თბილისის 11 ტეხნიკუმის მიერ 1924 წელს ივნისის 24-ს ვასილი ივანეს ძე მელიქიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1286 1—1

დაიკარგე მოწმობა გაცემული თბილისის დეპოს სამმართველოს მიერ ბარბარე ივანეს ასული მენთეშაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1290 1—1

დაიკარგე გაბიტაშვილი გიორგი ელიაძემ პირადობის წიგნაკი № 550, ჩაითვალოს გაუქმებულათ. 1287 1—1

დაიკარგე ვასო გოგოჩაშვილმა რეგისტრაციის ქაღალდი № 1014. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 1288 1—1

დაიკარგე ქვითარი გაცემული ქალაქის ლომბარდის მიერ № 12336. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1

დაიკარგე რკინის გზის კოოპერატივის (ЗАКТПО) წიგნაკ. № 1924 მართა დავითის ასულის ბახტაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 1291 1—1

ტირაჟი—21.993

„ზარია ვოსტოკა“-ს სტამბა, საშა წულუკიძის ქ. №